CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 16 ოქტომბერი, 2009 წელი. №225 (2263) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

რთველი

A11



# ვინ ქუჩაში გავა, ვინ - არჩევნებზე

## ოპოზიციას კვლავაც ერთიანობის პრობლემა აქვს

ვერიკო თევზაძე

*მას შემდეგ, რაც ოპოზიციური საპროტესტო მოძრაობა, მიხეილ სააკაშვილის გადაყენების ნაცვლად, საზაფხულო არდადეგებით დასრულდა, რამდენიმე თვე გავიდა და ოპოზიციამ ქუჩის აქციების განახლება გადაწყვიტა.*

გუშინ "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ნოემბრიდან ოპოზიცია ახალ საპროტესტო ტალღას დაიწყებს. მთავარ მოთხოვნად კვლავ მიხეილ სააკაშვილის გადაყენება რჩება. "24 საათის" კითხვას - მიხეილ სააკაშვილი 2013 წლამდე რომ არ გადადგეს, გაგრძელდება თუ არა აქციები 4 წელიწადს? - ბესელიამ ასე უპასუხა: **"ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის ამდენ ხანს ყოფნა არარეალურია, მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, ჩათვალეთ, რომ აქციები მთელი ამ წლების მანძილზე გაგრძელდება."**

ეკა ბესელიას ინფორმაციით, მალე დასრულდება პარტიებს შორის მოლაპარაკებები და გაირკვევა, ვინ ჩაერთვება საპროტესტო მღელვარებაში. ამის შემდეგ კი, მოქმედების კონკრეტული გეგმა გახდება ცნობილი. ამასთანავე, ბესელია წინასწარ აცხადებს, რომ ქუჩის ბრძოლაში ნინო ბურჯანაძის "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო", "საქართველოს გზა", "ეროვნული ფორუმი" და "კონსერვატორები" ჩაერთვებიან.

გაგრძელება A2 გვერდზე

ოპოზიციას სახელმწიფო დუმაში დაბრუნების იმედი აქვს

A7



# გლობალური ფინანსური კრიზისის გაკვეთილები

## საქართველოში მსოფლიო ბანკის მმართველი დირექტორი ჩამოვა

17-21 ოქტომბერს მსოფლიო ბანკის მმართველი დირექტორი ნგოზი ოკონჯო-ივეალა სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს ეწვევა. მისი ვიზიტის მიზანია სამხრეთ კავკასიაში ფინანსური კრიზისის შედეგების განხილვა აღნიშნული ქვეყნების მთავრობებთან, განვითარების საკითხებზე მომუშავე პარტნიორებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან კრიზისის დაძლევის გზების გამონახვის ხელშეწყობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტიმულირების მიზნით.

ნგოზი ოკონჯო-ივეალა საქართველოს, სომხეთის და ზერბაიჯანის ლიდერებს, მთავრობის ოფიციალურ პირებს, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდება. მოინახულებს იმ ობიექტებს, სადაც მსოფლიო ბანკის დახმარებით სხვადასხვა პროექტები ხორციელდება.

საქართველოში მისი ყოფნის დროს გათვალისწინებულია ჩასვლა იძულებით გადაადგილებული პირების დასახლებაში, გზის მშენებლობის ობიექტსა და პირველადი სამედიცინო დახმარების ერთ-ერთ დაწესებულებაში.

გაგრძელება A4 გვერდზე



პიანისტთა კონკურსის დასასრული აპოლიტიკური შედეგებით

A10



# "უკანასკნელი აფხაზი პრეზიდენტი"

*ოკუპირებულ აფხაზეთში საარჩევნო მარათონი ოფიციალურად გაიხსნა. კანდიდატების რეგისტაცია 12 ნოემბერს დასრულდება. სოხუმში ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა კანდიდატმა გამოთქვა არჩევნებში მონაწილეობაზე ოფიციალური თანხმობა. უპარტიო 54 წლის ვიტალი გამბას კანდიდატურა საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა. მაგრამ, სერგეი ბაგაფშის მთავარ კონკურენტებად ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა და "აფხაზეთის ეკონომიკური პარტიის" ლიდერი ბესლან ბუთბა მოიაზრებიან.*

დათო გამისონია

აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესები ოფიციალურმა თბილისმა კომენტარის გარეშე დატოვა. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ **"კომედიებზე, ფარსსა და თეატრალურ დადგმებზე კომენტარს არ ვაკეთებ."** თუმცა, აფხაზეთში ძალაუფლებისთვის ბრძოლა თანდათან აქტიურ ფაზაში შედის. უკვე დარეგისტრირებული კანდიდატი, ფილოსოფიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი გამბა სერიოზულ პოლიტიკურ ძალად არ განიხილება. მისგან განსხვავებით, სერგეი ბაგაფშის მთავარ კონკურენტებად მოიაზრებიან ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა და "აფხაზეთის ეკონომიკური პარტიის" (ერა) თავმჯდომარე ბესლან ბუთბა.

მიმდინარე კვირას "კავკაზსკი უზელში" გამოქვეყნდა სტატია, სადაც ბესლან ბუთბა ბაგაფშის პოლიტიკას აკრიტიკებს. ბუთბას თქმით, დღესდღეობით აფხაზეთის ხელისუფლებას არა აქვს სახელმწიფოს განვითარების სტრატეგია და არ არსებობს პოლიტიკური ნება, რათა აფხაზმა ხალხმა ჩამოაყალიბოს ასეთი სტრატეგია. ბუთბას აზრით, აფხაზმა ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი ერთ ადგილზე დგომასა და რეალური დამოუკიდებლობის, განვითარების გზით სვლას შორის.

გაგრძელება A3 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

№ 714 2009 წლის 15 ოქტომბერი
ქ. თბილისი

## საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატთა შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად 2009 წლის 16 ოქტომბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) შვიდი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. მეურვეობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება.

4. მეურვეობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. № 1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო სამეურვეო საბჭოს წევრისათვის "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღეში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების სიის გამოქვეყნება.

6. ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (ე. შარაშიძე) 2009 წლის 16 ოქტომბრამდე შექმნას ღია კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

*მიხეილ სააკაშვილი*

---

შვილები თამაზ და ჯუმბერ ხატიაშვილები, რძლები ნანა შანიძე, რუსუდან მაჩხანელი, შვილიშვილები ირინე, მანანა, რამაზ, შოთა ხატიაშვილები, მაზლები გაიოზ, რეზო ხატიაშვილები მულისშვილი გია ქორიძე ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**კლავდია მაქსიმეს ასული კობახიძე**

პანაშვიდები: 15 და 16 ოქტომბერს 16.00 საათზე

დაკრძალვა: 17 ოქტომბერს 14.00 საათზე.

---

# ვინ ქუჩაში გავა, ვინ - არჩევნებზე

პირველი გვერდიდან

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წარმომადგენელმა რომან კუსიანმა "24 საათს" განუცხადა, რომ "დემოკრატიულ ფრონტში" შემავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვინაობა მოკლე დროში გაირკვევა და ამის შემდეგ ფრონტი ფართომასშტაბიან აქციებს დაიწყებს.

"ეროვნულმა ფორუმმა" აქციებში მონაწილეობა კატეგორიულად უარყო. როგორც ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი მელაშვილმა ჩვენთან საუბარში განმარტა, ვიდრე აქციების მიზანი და ორგანიზატორთა სამოქმედო გეგმა არ გაირკვევა, დემონსტრაციებში "ფორუმელთა" მონაწილეობაზე საუბარი ნაადრევია.

"რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო და განაცხადა, რომ ისინი საპროტესტო აქციებს არ შეუერთდებიან. ასეთივე პოზიციაზე დგას პოლიტიკურ გაერთიანებაში "ალიანსი საქართველოსთვის" შემავალი კიდევ ერთი პარტია "ახალი მემარჯვენეები". **"პატივს ვცემთ ყველას არჩევანს, მაგრამ ჩვენ ჩვენი მოქმედების გეგმა გვაქვს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძემ. "მემარჯვენეებს" ყველაზე ოპტიმალურ და შედეგზე ორიენტირებულ ქმედებად ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა მიაჩნიათ.

ზურაბ ნოღაიდელის პარტია "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ქუჩის აქციების მიმართ პოზიციას არ იცვლის. პეტრე მამრაძის განმარტებით, მათ პერმანენტულ აქციებში მონაწილეობა გაუმართლებლად მიაჩნიათ. **"ასეთ აქციებს შედეგად ხალხის გაწბილება და სააკაშვილის რეჟიმის გაძლიერება მოჰყვება,"** - განუცხადა მამრაძემ "24 საათს".

"ლეიბორისტები" საპროტესტო აქციებში მხოლოდ მას შემდეგ მიიღებენ მონაწილეობას, თუკი აქციის ორგანიზატორები მათ მიერ წამოყენებულ პირობებს შეასრულებენ. "24 საათს" ეს მოთხოვნები "შრომის პარტიის" წარმომადგენელმა გიორგი გუგავამ გააცნო. ნომერ პირველი მოთხოვნაა ერთიანი ეროვნული ლიდერის გამოკვეთა. უფრო სწორად, ასეთი ლიდერი შალვა ნათელაშვილის სახით უკვე არსებობს და ოპოზიციამ იგი მიხეილ სააკაშვილის ალტერნატივად უნდა ცნოს. "ლეიბორისტების" მოთხოვნები ასევე გულისხმობს ერთიანი ეროვნული მთავრობის შექმნას, საერთო სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას, სააკაშვილთან ნებისმიერი ტიპის შეხვედრაზე უარის თქმას და საერთო სახალხო დაუმორჩილებლობის გამოცხადებას. "ლეიბორისტები" ასევე მოითხოვენ საგარეო ორიენტირების წინასწარ განსაზღვრას და რაც მთავარია - ნატო-ზე უარის თქმას.

გუგავას განმარტებით, ამ მოთხოვნების შესრულების გარეშე ოპოზიციის ქმედება **"ქუჩაში სპონტანურად გავარდნა"** იქნება, რაც **"სააკაშვილთან ნადიმით"** დასრულდება.

---

# "პატრიოტის აქტი"

ნათია მსხილაძე

ქართველი დეპუტატები "აშშ-ს პატრიოტის აქტის" მსგავსი ტიპის კანონმდებლობის შემუშავებაზე პირველად 2006 ზაფხულში, კოდორის მოვლენების დასრულებისთანავე ალაპარაკდნენ.

განათლების ამჟამინდელმა მინისტრმა ნიკა გვარამიამ, 2006 წლის 29 ივლისს, როცა იგი პარლამენტარი იყო, განაცხადა, რომ ექსტრემიზმის, მათ შორის პოლიტიკური ექსტრემიზმის, და სამშობლოს მოღალატური განცხადებების წინააღმდეგ საჭიროა საკანონმდებლო ინიციატივა, იმის მსგავსი, რაც არსებობს აშშ-ში "პატრიოტის აქტის" სახით და ასევე, არსებობს ისრაელში.

"პატრიოტის აქტი" ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წელს 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ შეიქმნა. მის მიზანს ტერორიზმთან და გარეშე საფრთხეებთან ეფექტური ბრძოლა წარმოადგენდა - მნიშვნელოვნად გაფართოვდა ძალოვანი სტრუქტურების უფლებამოსილებები, გამარტივდა მოსმენისა და ჩხრეკის პროცედურები და ა.შ.

საქართველოში კი "პატრიოტის აქტის" პროექტზე საპარლამენტო ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე, "ლუსტრაციის შესახებ" კანონპროექტის ავტორი გია თორთლაძე მუშაობს და უახლოეს მომავალში პარლამენტში ინიცირებასაც გეგმავს. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ ასეთი კანონი კოლაბორაციონიზმისა და უცხო ქვეყნის ჯაშუშობის მხილების და აღკვეთის რეალური საშუალება გახდება.

"პატრიოტის აქტის" შესახებ გია თორთლაძის ინიციატივას ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" კატეგორიულად ემიჯნებიან. მათი განმარტებით, "პატრიოტის აქტის" თორთლაძისეული ინიციატივა ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოების სისტემის მშენებლობას. **"ასეთმა აქტმა თვით აშშ-შიც კი გაუჩინა სპეცსამსახურებს იმის ცდუნება, რომ უკანონო მოსმენები განეხორციელებინათ და ადვილი წარმოსადგენია, რა თავისუფლად დაარღვევენ ქართული სპეცსამსახურები კონსტიტუციის მე-20 მუხლს, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ითვალისწინებს. ასეთი ტიპის დოკუმენტი ქართული სპეცსამსახურების პოლიტიზების ლეგალიზებას მოახდენს, რადგან პოლიტიკური ოპონენტების თვალთვალსა და მოსმენებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები არც აქამდე ამბობდნენ უარს,"**- აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

"რესპუბლიკელთა" პოზიციით, "პატრიოტის აქტი" უკონტროლო ძალოვანი სტრუქტურებისთვის კიდევ უფრო მეტი ძალაუფლების მინიჭებას ემსახურება. თუ ახალი კანონპროექტი კანონად იქცევა, იგი გახდება პირდაპირი იარაღი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების წინააღმდეგ. **"არ მახსოვს, ვანო მერაბიშვილს ან დათა ახალაიას როდესმე დაეჩივლოთ, რომ ვინმეს შესახებ რაღაც აინტერესებდათ და ეს ინფორმაცია კანონის არსებობის ან არარსებობის გამო ვერ მოიპოვეს, ან ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან. ამ სტრუქტურებისთვის საჭიროა ძალაუფლების შეზღუდვა და არა კიდევ უფრო გაზრდა. ახალი ინიციატივა კი სწორედ მათი ძალაუფლების გაზრდას ემსახურება,"** - განაცხადა "რესპუბლიკური" პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა.

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერის ნინო ბურჯანაძის აზრით, "პატრიოტის აქტმა", თუ ის დემოკრატიულ თავისუფლებებს შეზღუდავს, შესაძლოა ქვეყნის შიგნით კრიზისი უფრო გაამწვავოს. **"მე არ ვარ საქმის კურსში, რას გულისხმობს ხელისუფლება ამ აქტში, ან რა შინაარსს დებს მასში, მაგრამ თუ ეს დოკუმენტი შეზღუდავს დემოკრატიულ თავისუფლებებს, ადამიანის უფლებებს, პრესის და სიტყვის თავისუფლებას, ეს მხოლოდ გაამწვავებს ქვეყანაში არსებულ შიდა პოლიტიკურ ვითარებას, არასწორ მიმართულებას მისცემს პროცესებს და მხოლოდ დააჩქარებს კრიზისს,"** - აღნიშნა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ.

რაც შეეხება თავად პროექტის ავტორის პოზიციას, მისი აზრით, სანამ დოკუმენტის დეტალები ცნობილი არ გახდება, აჟიოტაჟის ატეხვა მიზანშეუწონელია.

როგორც თორთლაძემ განმარტა, ამ დოკუმენტის მიღება განსაკუთრებით აუცილებელია ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ რუსეთის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ. თავად დოკუმენტის პროექტი კი, თორთლაძის მტკიცებით, ამერიკაში 11 სექტემბრის შემდეგ მიღებული დოკუმენტის ასლი არ იქნება და ქართულ რეალობაზე იქნება მორგებული. **"ეს დოკუმენტი ხელს შეუწყობს ტერორიზმთან ბრძოლას და ითვალისწინებს ელექტრონულ თვალთვალს, ოპერატიულ თვალთვალს ინტერნეტში, ინფორმაციის გაცვლას, ფინანსურ მონიტორინგს საბანკო გადარიცხვებზე, საემიგრაციო კონტროლის გამკაცრებას, ტვირთების გადაზიდვაზე მონიტორინგს, ადმინისტრაციული საზღვრების კონტროლს და ა.შ. "პატრიოტის აქტის" პროექტში გათვალისწინებული არ იქნება სატელეფონო მოსმენების დაკანონება. შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმის დაზუსტება, თუ საიდან ირეკება და ვინ რეკავს,"** - განაცხადა თორთლაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობისთვის ოპოზიციის ერთი ნაწილის მხრიდან "პატრიოტის აქტის" კრიტიკა გაუგებარია. **"ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება. აშშ-მ "პატრიოტის აქტი" 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მიიღო და საქართველოც, რომელსაც აგრესიული ჩრდილოელი მეზობელი ჰყავს, მზად უნდა იყოს უსაფრთხოების დასაცავად,"** - განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა.

---

# მშვიდობისა და დიალოგის არქიტექტორები ევრაზიაში

ნინო ხარატიშვილი

გუშინ სასტუმრო "შერატონ-მეტეხი-პალასში" გაიმართა კონფერენცია, თემაზე - **"შვიდობისა და დიალოგის არქიტექტორები ევრაზიაში (დავით აღმაშენებელი და ფეთჰულაჰ გიულენი)."**

კონფერენცია "დიალოგ-ევრაზია" საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე გიული ალასანიას თაოსნობით ჩატარდა. მას ისტორიკოსები, ხელოვანები, სხვადასხვა უნივერსიტეტის რექტორები და თურქეთიდან მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. შეხვედრის მონაწილენი მრავალ თემას შეეხნენ: განათლება, კულტურა, ძეგლთა დაცვა, ტოლერანტობა და სხვა.

გიული ალასანიას განცხადებით, "დიალოგ-ევრაზია" 1998 წელს დაარსებული ორგანოა, რომელიც რამდენიმე წელია სხვადასხვა ქვეყნებთან თანამშრომლობს. "ეს არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია. აქ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქველმოქმედებას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვეხებით იმ პოლიტიკურ ასპექტებს, რომლებიც საზოგადოებას უკავშირდება."

კონფერენციის ძირითადი ნაწილი თურქი ფილოსოფოსისა და მეცნიერის, ფეთჰულაჰ გიულენისა და დავით აღმაშენებლის იდეათა შედარებას დაეთმო. თურქი სტუმრების განცხადებით, დიალოგსა და ტოლერანტობაზე კონკრეტული ღონისძიებების გატარება, პირველად, 1990 წელს სწორედ ფეტჰულაჰ გიულენმა დაიწყო. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, 1991 წელს ის მსოფლიო პატრიარქს, ბართლომეოსსაც შეხვდა. ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და სხვა მოლაპარაკებების საფუძველიც გახდა.

მნიშვნელოვანი როლი ეჭირა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელ მეუფე დანიელის გამოსვლას. "ქართული ეკლესია მაქსიმალურად ცდილობს მონაწილეობა მიიღოს კულტურათა დიალოგში. ამ იდეის მხარდამჭერთა რიგში, პირველი უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, ილია მეორეა. ეს შეხვედრა ერთგვარი პრეცედენტი უნდა გახდეს სხვა ქვეყნებს შორის დიალოგისა და მეგობრობის დასაწყებად."

გიული ალასანიას თქმით, საქართველოს შემდეგ, მსგავსი შეხვედრა, თურქეთში იგეგმება. მას უფრო ოფიციალური სახე ექნება და სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული სტუმრებიც დაესწრებიან.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "უკანასკნელი აფხაზი პრეზიდენტი"

პირველი გვერდიდან

მან გართულებული ვითარებიდან თავის დასაღწევად პროქტი წარმოადგინა, რომელიც ხუთი მიმართულებისგან შედგება: "მცირე ბიზნესი - დიდი შემოსავალი"; "ჯანმრთელი ერი - ძლიერი აფხაზეთი"; "მდიდარი სოფელი - მყარი განვითარება"; "ეროვნული კულტურა - ერის სული"; "ახალი სკოლიდან - თანამედროვე უნივერსიტეტში."

რაც შეეხება ბაგაფშის ყოფილ კონკურენტ რაულ ხაჯიმბას, ის წინა საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით მოსკოვის ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობს. "24 საათი" ესაუბრა ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს. მას მიაჩნია, რომ **"მათგან, ვინც ამ ეტაპზე ჩანს, არავის შეუძლია ბაგაფშისთვის კონკურენციის გაწევა. უკვე აფიშირებულთაგან ბესლან ბუთბას აქვს შედარებით დიდი რეიტინგი, რადგან ცნობილია როგორც ენერგიული ოპოზიციონერი, თანაც მას მხარ უჭერს ვეტერანთა ერთი ნაწილი და განსაკუთრებით მისი ნათესავი ვალმერ ბუთბა. ხოლო ხაჯიმბა, რომელსაც კონკურენტად მიიჩნევენ, ჩემი აზრით, არ არის კონკურენტი."** არეშიძემ იმ არგუმენტების შესახებაც ისაუბრა, რომლებიც ოპოზიციას აქვს სერგეი ბაგაფშის წინააღმდეგ. ეს არის, ძირითადად, ეკონომიკური კონცეფციის არარსებობა. გარდა ამისა, აფხაზეთში მიაჩნიათ, რომ ბაგაფშმა რუსეთს ბევრი სტრატეგიული ობიექტი გადასცა. ასევე, ბაგაფშმა ვერ მოახერხა მუჰაჯირების შთამომავლების დაბრუნების შესახებ დაპირების შესრულება. ასევე უკმაყოფილებას იწვევს რესპუბლიკაში გამეფებული უკანონობა, ადამიანის უფლებათა დარღვევები. **"ბაგაფშის მიმართ არსებული უკმაყოფილების პაკეტის ნაწილი ძალიან ჰგავს დანარჩენ საქართველოში ხელისუფლების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს,"** - განაცხადა არეშიძემ. ექსპერტმა ისაუბრა სავარაუდო კანდიდატების ხედვებზე. მისი თქმით, ყველაზე ნაციონალისტურად სერგეი ბაგაფშია განწყობილი, ხოლო ხაჯიმბა - პრორუსულია. არეშიძის თქმით, **"ნაციონალიზმში ბუთბა და ბაგაბში ერთმანეთს ეჯიბრებიან. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამისა, მაინც მოსკოვზე ხდება აპელირება. დანარჩენ საქართველოში ოპოზიცია და ხელისუფლება ორიენტირებულია ამერიკაზე, იქ კი - რუსეთზე. თუმცა ბაგაფში, ანქვაბთან ერთად, გაცილებით უფრო ნაციონალისტებად მიიჩნევიან."**

შექმნილ ვითარებაში, მამუკა არეშიძეს აზრით, საქართველო აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში მხოლოდ შორიდან მაყურებლის როლი რჩება. მისი აზრით, ქვეყანას იმისთვის, რომ სიტუაცია გარკვეულწილად მოეგვარებინა, კარგი შანსი ჰქონდა ბაგაფშის პირველი საპრეზიდენტო ვადის დასაწყისში. ექსპერტმა განაცხადა: **"დავიწყოთ იქიდან, რომ ბაგაფში, ფაქტობრივად, გალის მოსახლეობამ აირჩია. უფრო სწორად, მისი გამარჯვება გალის მოსახლეობის ხმებმა გადაწონა, თორემ ხაჯიმბას ნამდვილად ვერ მოუგებდა. დღეს კი ბაგაფშს აღარ ჰყავს ეს მოკავშირეები, რადგან ბაგაფშის საკანონმდებლო ინიციატივების მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოში ვერ გაიტანა ყველასთვის მოქალაქეობის მინიჭების კანონპროექტი. ოპოზიციამ ისიც კი მოახერხა, რომ ფორმა 9-ით გალის რაიონის მოსახლეობა კენჭისყრაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. ისინი, ფაქტობრივად, კანონგარეშე დატოვეს, ეს ბაგაფშის კიდევ ერთი დამარცხებაა."** არეშიძის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო გალის მოსახლეობასთან ვირტუალური კავშირი (მით უმეტეს, ბაგაფშს ცოლი ქართველი ჰყავს) გამოეყენებინა. მან გაიხსენა ბაგაფშის არჩევის პერიოდი, როდესაც ქართველი ჟურნალისტების შეკითხვას - როგორი ურთიერთობა ექნებოდა საქართველოსთან? ბაგაფშმა უპასუხა: **"ნუ ავჩქარდებით, ყველაფერს მოევლება კონსტრუქციული დიალოგის შემთხვევაში."** ექსპერტის თქმით, აქ კეთილგანწყობა ჩანდა. მით უფრო, მისი აზრით, მაშინ ბაგაფშზე ასეთი ზეწოლა არ იყო.

რაც შეეხება ამჟამად შექმნილ ვითარებას, არეშიძე მიიჩნევს, რომ ბაგაფში, მისი მოჩვენებითი აგრესიის მიუხედავად, მაინც საინტერესოა საქართველოსთვის. **"სერგეი ბაგაფში ძალიან კარგად ხვდება, რომ აფხაზები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. სოხუმიდან, ასე ვთქვათ, კულუარული თანხმობა განმიცხადეს, როდესაც ვთქვი, რომ ჩემი ვარაუდით 12 დეკემბერს ბოლო აფხაზ პრეზიდენტს აირჩევენ, რადგან მდგომარეობა ისეთი რთულია, რომ შეიძლება აფხაზი ეთნოსის არსებობა-არარსებობის საკითხი დადგეს,"** - განაცახადა არეშიძემ. ბაგაფშის მიმართ საქარველოს ანტაგონიზმის მიუხედავად, არეშიძე მიიჩნევს, რომ ის არ არის ბოლომდე რუსეთზე მიბმული. უბრალოდ, იძულებულია, აბსოლუტურად პრორუსული ინტერვიუები მისცეს და რუსეთს ბევრ რამეში ანგარიში გაუწიოს.

არეშიძეს თქმით, ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობაში რუსეთი ინტენსიურად მუშაობს, რათა მათი ნაციონალიზმი გატეხონ. ამიტომ თუკი მათ არ ეყოლებათ შესაბამისი ლიდერი, აფხაზების დამორჩილება რთული არ იქნება. მისი თქმით, ამის ნიშნები უკვე აშკარაა, რადგან ბაგაფშს ძლიერი პრორუსული აფხაზი კანდიდატი რომ ჰყავდეს, მისი დამარცხება დღესაც ადვილი იქნებოდა.

# ანტიკრიზისული საბჭო განახლებას ცდილობს

თამარ ივანიძე

*გაზაფხულის შემდეგ პრაქტიკულად ჩავარდნილი მუშაობის აღდგენა ანტიკირიზისული საბჭოს ხელმძღვანელმა გია თორთლაძემ საშემოდგომოდ სცადა. ოქტომბერში საბჭომ უკვე ორი შეხვედრა ჩაატარა: პირველი - თვის დასაწყისში ენერგეტიკის მესვეურებთან, მეორე კი - გუშინ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანთან.*

გუშინდელი შეხვედრა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან ანტიკრიზისული საბჭოს ისტორიის მანძილზე რიგით მეორე იყო და თავისი შინაარსითა და ტონალობით პრაქტიკულად მთლიანად განსხვავდებოდა წინამორბედისაგან.

თუ საბჭოს წევრები 2009 წლის გაზაფხულზე მინისტრ სუბელიანს თავიანთი კითხვების იგნორირებას, ლტოლვილთა დახმარებების არათანაბარ განაწილებას, დევნილთა კომპაქტურად დასახლების ადგილებში არსებულ ანტისანიტარიას საყვედურობდნენ და დიალოგსაც საკმაოდ მწვავე წარმართავდნენ, ახლა შეხვედრა "ურთიერთგაგების ატმოსფეროში" ჩატარდა.

ანტიკრიზისული საბჭოს წევრები ამჯერად იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებიდან შემოსული კოლექტიური განცხადებების და მონიტორინგის შედეგებით დაინტერესდნენ და მინისტრისგან სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საბჭოს წევრების შეკითხვები დევნილთა კომპენსაციას, მათთვის შეშით და ღუმელებით უზრუნველყოფას, აბანოების მოწყობას, ავარიული სახლების შეკეთებას და სახნავსათესი ნაკვეთების შემოღობის საკითხებს შეეხო.

კობა სუბელიანის ინფორმაციით, სამინისტრო დევნილთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე ღონისძიებას ახორციელებს. მისი განცხადებით, სამინისტრო იძულებით გადაადგილებული პირის სურვილის მიხედვით, საქართველოს ნებისმიერ ადგილას უზრუნველყოფს საცხოვრებელი ფართის შეძენას ან კომპენსაციის სახით 10 ათასი აშშ დოლარის ოდენობის თანხას გადასცემს. ასევე ხორციელდება მათი შეშით და ღუმელებით უზრუნველყოფა. აღნიშნული ღონისძიებისთვის მიმდინარე წელს 600 ათასი ლარია გამოყოფილი, შეშის დარიგება 2-3 კვირაში დაიწყება, ხოლო იმ დევნილებს, რომელთა ჩასახლების ადგილებზე სახელმწიფომ გაზიფიკაცია უკვე განახორციელა, გაზის მოხმარების საფასურს სახელმწიფო გადაუხდის. რაც შეეხება საცხოვრებელი სახლების შეკეთებას, მინისტრის ინფორმაციით, აშენებული სახლების კეთილმოწყობას, ხელშეკრულების თანახმად, მშენებარე კომპანიები განახორციელებენ და ამ კუთხით სამინისტრო აქტიურად მუშაობს. მინისტრის ინფორმაციით, პოლონეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში უახლოეს დღეებში აბანოების მშენებლობა დაიწყება.

ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარემ გია თორთლაძემ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს საბჭოში შემოსული იძულებით გადაადგილებულ პირთა წერილები და განცხადებები გადასცა.

ცნობისათვის - ანტიკრიზისული საბჭო საქართველოს პრეზიდენტის 24 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზეა შექმნილი. საქართველოს ანტიკრიზისული საბჭოს 12 წევრი შვიდი პოლიტიკური პარტიიდან არის წარმოდგენილი. საქართველოს ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე გია თორთლაძე. საბჭომ 2009 წლის 8 იანვრიდან დაიწყო მუშაობა და თავიდანვე ფუნქციებად, ზოგადად საერთაშორისო დაფინანსების მონიტორინგის გარდა, უშუალოდ აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა მდგომარეობის მონიტორინგიც განესაზღვრა.

საბჭოს ანგარიშის თანახმად, იძულებით გადაადგილებულთათვის კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში ჩატარებული მონიტორინგი სამ ეტაპად განხორციელდა.

I ეტაპი (მარტის თვე) მოიცავდა იძულებით გადაადგილებულთათვის კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში ჰუმანიტარული (სასურსათო, არასასურსათო) და ფულადი დახმარების მონიტორინგს;

II ეტაპი (აპრილის თვე) მოიცავდა იძულებით გადაადგილებულთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში მიწის ფართის გამოყოფისა და მათი დამუშავების მიმდინარეობაზე მონიტორინგს;

ორივე ეტაპზე მონიტორინგმა ცხადყო, რომ პრობლემების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო უწყებების მხრიდან მეტი ოპერატიულობა და მაქსიმალური ძალისხმევა იყო საჭირო.

III ეტაპი (ივნისის თვე) მოიცავდა წინა ორი ეტაპის პროცესში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიმდინარეობის მონიტორინგს.

ამ ფუნქციის შესრულების ერთგვარი ანგარიში საბჭოს ხელმძღვანელმა გია თორთლაძემ 2009 წლის ივლისში წარმოადგინა, სადაც აქცენტები შემდეგ დარღვევებზე იყო გაკეთებული:

"საქართველოს ანტიკრიზისული საბჭოს აპარატში მოწვეული ექსპერტების მიერ აპრილის თვეში გამოვლენილი დარღვევა - გაეროს "მსოფლიო სასურსათო პროგრამის" ჰუმანიტარული დახმარებით დარიგებული პურის ფქვილის უხარისხობა - ფართო განსჯის საგნად იქცა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის "მსოფლიო სასურსათო პროგრამის" საქართველოს ოფისის დირექტორის, ქალბატონ ლოლა კასტროს ჩარევით შემდგომში უხარისხო პურის ფქვილის დარიგების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში დარეგულირებულია ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებში საკვები პროდუქტების მიწოდება, მაგრამ კვლავ პრობლემებია საყოფაცხოვრებო პირობების გამო, ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანის, სასმელ-სამეურნეო წყლის მიწოდების, საკარმიდამო ნაკვეთების შემოღობვის, სანიტარული კვანძების მოწესრიგებისა და საცხოვრებელი სახლის მიღების სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხებში.

რთული მდგომარეობა შეიქმნა მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის ზოგიერთ რაიონში იძულებით გადაადგილებულთა მიწით უზრუნველყოფის, მიწის დამუშავებისა და მარცვლეული კულტურების დათესვის გამო. დუშეთის რაიონში (ბაზალეთში), მცხეთის რაიონში (საგურამოში) 168 ოჯახისთვის, ქარელისა და ხაშურის რაიონებში 261 ოჯახისთვის არ არის გამოყოფილი მიწის ფართი (მოსახლეობა მიწის ინდივიდუალურად შესასყიდად მოითხოვს ფულად კომპენსაციას).

კასპის რაიონის სოფელ თელიანში 54 ოჯახისთვის, გორის რაიონის სოფელ ხურვალეთში 139 ოჯახისთვის და სოფელ შავშვებში 177 ოჯახისთვის დამუშავებული მიწის ფართზე მარცვლეული კულტურები დაუთესავია (მოსახლეობას დაურიგდა ვაუჩერები)."

როგორც საბჭოს ხელმძღვანელი აცხადებს, ეს ინფორმაცია რეაგირებისთვის პრემიერ-მინისტრს ჯერ კიდევ ზაფხულში გადაეცა და საბჭოს 8-კაციანი ჯგუფი ამჟამად ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებს. საბჭოს მუშაობის მორიგი ანგარიში უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება, თუმცა მანამდე საბჭო მორიგი სამუშაო შეხვედრის გამართვას გეგმავს.

## საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიტანეთიდან დაბრუნდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დიდი ბრიტანეთიდან გუშინ დაბრუნდა. 11-14 ოქტომბრის განმავლობაში მინისტრმა შეხვედრები გამართა საგარეო და თანამეგობრობის საკითხებში სახელმწიფო მდივან დევიდ მილიბენდთან და სახელმწიფო მინისტრთან ევროპულ საკითხებში კრის ბრაიანტთან, რომელმაც 12 ოქტომბერს, ბრიტანეთის მთავრობაში მომხდარი საკადრო ცვლილებების გამო ბარონესა გლენის კინოკი შეცვალა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, **"შეხვედრების დროს ბრიტანულმა მხარემ ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა დიდი ბრიტანეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ცალსახა მხარდაჭერა."**

ამასთან, ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან ვიზების გამარტივებისა და რეადმისიაზემხარეებმა ასევე ხაზი გაუსვეს ნატო-საქართველოს საბჭოსა და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის მნიშვნელოვან როლს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ჯეიმს არბუტნოტთან და პარლამენტის სხვა წევრებთან. პარლამენტის წევრებთან გამართული შეხვედრების დროს მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და ბრიტანეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე. გრიგოლ ვაშაძე კონსერვატიული პარტიის ჩრდილოვან საგარეო საქმეთა და თავდაცვის მდივნებს უილიამ ჰეიგსა და ლიამ ფოქსსაც შეხვდა. მხარეებმა განიხილეს როგორც საქართველოში არსებული ვითარება, ისე მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები.

მხარეებმა განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რთული ვითარებაც და იმსჯელეს საერთაშორისო ორგანიზაციების სასიცოცხლო როლზე ვითარების დარეგულირების საქმეში.

ლონდონში ყოფნისას "ბი-ბი-სის" რუსული რედაქციისათვის მიცემულ ინტერვიუში ვაშაძემ განაცხადა: **"დღეს რუსეთს საქართველოს ტერიტორიის ნაწილები ოკუპირებული აქვს. ის აცხადებს, რომ ამ ტერიტორიებიდან გასვლას არ აპირებს, ხოლო საქართველოს ახალ რეალობასთან შეგუებისკენ მოუწოდებს. ასეთ შემთხვევაში, რუსეთთან საუბრის დაწყებას აზრი არა აქვს. ჩვენ სახლში შემოგვივარდნენ, ჩვენი საცხოვრებელი ფართის ნაწილი დაიკავეს და აცხადებენ, რომ ამას უნდა შეეგუოთო."**

ვაშაძის აზრით, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ფუნდამენტალური პრობლემა ისაა, რომ ოფიციალური მოსკოვი საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ არ განიხილავს.

**"რუსეთი ბედნიერი იქნებოდა, რომ ლონდონში, ბრიუსელსა და ვაშინგტონში ჩასვლამდე საქართველოს დელეგაცია მოსკოვში ჩაფრენილიყო და თბილისს გარე სამყაროსთან ურთიერთობის უფლება მოსკოვისაგან აეღო. მაგრამ ეს ასე არასოდეს აღარ იქნება და სწორედ ამას უკავშირდება რუსეთთან ყველა ჩვენი პრობლემა"**, - აღნიშნა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ყოველ 10-15 წელიწადში რუსეთი მსოფლიოს წინაშე ახალი სახით წარსდგება ხოლმე, ამის გათვალისწინებით, საქართველო იმ დროს დაელოდება, როცა რუსეთში ჩათვლიან, რომ მუხლებიდან ადგომის პროცესი დასრულებულია და მოსკოვთან ცივილიზებული საუბარი შესაძლებელი იქნება.

*ნათია მაჭარაშვილი*

## აფხაზეთიდან დევნილი მედიკოსები ღირსების ორდენებით დააჯილდოვეს

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გუშინ, აფხაზეთიდან დევნილი მედიკოსები მამუკა გერლიანი, ლევან კორძაია და ვალერი ფეტელავა ღირსების ორდენებით დააჯილდოვა.

როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" აფხაზეთის მედაიცენტრიდან აცნობეს, სამივე მათგანმა ჯილდო, ზემო აფხაზეთში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიიღო. ისინი აჟარის სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები იყვნენ და 2008 წელს რუსების მიერ კოდორის ხეობის დაბომბვის დროს ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწევდნენ.

ალექსანდრე კვიტაშვილმა აფხაზეთიდან დევნილ მედიკოსებს გუშინდელი დღე მიულოცა და პროფესიული საქმიანობის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის მადლობა გადაუხადა.

## წერილები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

### წერილი 1

გრიგოლ ნიკოლეიშვილი

არსებობს ბევრი ობიექტური მიზეზი, რატომ არ განვითარდა ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. თუნდაც ის, რომ ამ ბაზრის განვითარება ნაადრევია საქართველოს ეკონომიკის განვითარების დაბალი დონის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, მაინც მიუღებელია ის სკეპტიციზმი, რომელიც ქართულ ბიზნესწრეებში და მთლიანად ქართულ საზოგადოებაში სუფევს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით.

პირველი მცდარი მოსაზრება - ეს არის ფასიანი ქაღალდების საიმედოობის შესახებ. ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ინვესტიცია. ისეთი ფასიანი ქაღალდი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების ობლიგაციები, ყოველთვის ითვლებოდა ყველაზე საიმედო ინვესტიციად. ამ ობლიგაციებმა ორ მსოფლიო ომს და ბევრ ეკონომიკურ კრიზისს გაუძლეს. მისი სრული გაუფასურება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჯერარნახული გლობალური კატასტროფის შემთხვევაში. ამ ორი მოვლენის ალბათობა დაახლოებით ერთნაირია. რა თქმა უნდა, ნაკლებ საიმედოა ცალკეული კორპორაციების ფასიანი ქაღალდები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კორპორაციის, განსაკუთრებით დიდის, გაკოტრების შედეგად მისი ფასიანი ქაღალდების სრული გაუფასურება საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა.

მცდარი მოსაზრება ფასიანი ქაღალდების დაბალი საიმედოობის შესახებ დაკავშირებულია იმასთან, რომ ფასიანი ქაღალდების, განსაკუთრებით აქციების, ფასები განუწყვეტლივ იცვლება. მრავალწლოვანი სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ აქციების ფასები, მიუხედავად მათი ცვლილებისა, წლიურად საშუალოდ 12%-ით იზრდება. არსებობს ინვესტიციების სხვადასხვა სფერო: უძრავი ქონება, ძვირფასი ლითონები და ქვები, ანტიკვარი და ა.შ. ზოგიერთი მათგანი უაღრესად შემოსავლიანია ამა თუ იმ პერიოდში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის სტაბილურად ისეთი მაღალშემოსავლიანი, როგორიცაა აქციები. ამასთანავე, ინვესტიციები აქციებში არის უაღრესად მარტივი და ხელმისაწვდომი თვით ყველაზე მოკრძალებული შესაძლებლობების პირისათვისაც. ამიტომ ინვესტორი, რომელიც გამუდმებით გონივრულად აბანდებს ფულს აქციებში, მრავალი წლის განმავლობაში, ყოველთვის მოგებული რჩება.

ფასიანი ქაღალდების ფასების განუწყვეტელი ცვლილება უამრავ სპეკულაციურ შესაძლებლობას ქმნის. თავად სპეკულიანტი უაღრესად საჭირო ფიგურაა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რადგან თავისი ხშირი გარიგებებით ხელს უწყობს ამ ბაზრის ლიკვიდურობას. მაგრამ მისი საქმიანობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამიტომ, თუ თქვენი ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია, აგრეთვე ნებისმიერი დამწყებისათვის, ასეთი საქმიანობა არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს. ეს იგივეა, რომ ჩვეულებრივმა ადამიანმა, ყოველგვარი მომზადების გარეშე, მძიმეწონოსან მოკრივეთა შეჯიბრში მონაწილეობა გადაწყვიტოს. შედეგი ცნობილია წინასწარ. საერთოდ, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მისვლა, თუნდაც ყველაზე უფრო ფრთხილი ინვესტორის როლში, სათანადო მომზადების გარეშე არ ღირს. კერძო ინვესტორისათვის წარმატების ყველაზე კარგი ორი რეცეპტია: 1.გაიგოს და ისწავლოს რაც შეიძლება მეტი ფასიან ქაღალდებზე და 2. ერიდოს სპეკულაციებს. ქართველს ფასიანი ქაღალდების მიმართ კიდევ ერთი რამ ხდის სკეპტიკურს. 12 პროცენტი შესანიშნავია ამერიკელი ინვესტორისათვის, მაგრამ არა ქართველისთვის, რომელიც შეჩვეულია სხვა პროცენტებს და სხვა განაკვეთებს. ვფიქრობ, ეს მაინც დროებითი მოვლენაა. დარწმუნებული ვარ, საჭიროა სულ რამდენიმე წელი ქართული ეკონომიკის აღმასვლისა, რომ ჩვენი პროცენტები და განაკვეთები საყოველთაოდ მიღებულს დაუახლოვდეს.

აქვე ავღნიშნოთ, რომ ინვესტიციების არც ერთი სფერო არ იძლევა ისეთი მაღალი შემოსავლების შესაძლებლობას, როგორც ინვესტიციები აქციებში. ამისათვის აუცილებელია არაა, იყოთ სპეკულიანტი. თუ თქვენ იყიდდით 1000 დოლარის ღირებულების IBM-ს აქციებს 1929 წელს, 1977 წლისათვის დივიდენდებისა და აქციების ფასის ზრდის გათვალისწინებით თქვენ იქნებოდით 17 მილიონზე მეტი ღირებულების ქონების მფლობელი. მრავალ ათას აქციათა შორის თქვენ დღესაც შეიძლება იპოვოთ ასეთი პერსპექტიული აქციები. მათი ძიება ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო საქმიანობაა. შეიძლება ის გახდეს საინტერესო საქმიანობა ზოგიერთი ჩვენი მკითხველისათვისაც, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება დიდ წარმატებასაც მიაღწიოს ამ სფეროში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველას გვჭირდება მეტი ცოდნა ამ სფეროში და თუ თქვენ ბოლომდე წაიკითხეთ ეს წერილი, ჩათვალეთ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრისაკენ პირველი ნაბიჯი გადადგით. და ეს ძალიან კარგია, რადგან ფასიანი ქაღალდების ბაზარი არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილი, რაც ადამიანს მოუგონია.

*გაგრძელება შემდეგ პარასკევს*

# გლობალური ფინანსური კრიზისის გაკვეთილები

პირველი გვერდიდან

მსოფლიო ბანკმა ახლახან გამოაქვეყნა ქვეყანასთან თანამშრომლობის სტრატეგია სომხეთისა (2009 წ. ივნისი) და საქართველოსათვის (2009წ. სექტემბერი). ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აზერბაიჯანისათვის თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავებაზე. სომხეთისათვის გამოყოფილი მთლიანი თანხები დაახლოებით 1.3 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოსთვის შემუშავებული თანამშრომლობის სტრატეგის მიზანია ორმაგი კრიზისით - 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტითა და გლობალური ეკონომიკური დაღმავლობით გამოწვეული მდგომარეობის დაძლევა. იგი მიზნად ისახავს კონფლიქტის შემდგომი პრობლემებისა და სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან დაკავშირებული გადაუდებელი საკითხების მოგვარებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მომავალი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის გამყარებას. საქართველოსთვის გამოყოფილი მთლიანი თანხები დაახლოებით 1.2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. აზერბაიჯანისათვის მომავალი თანამშრომლობის სტრატეგიის დასაფინანსებლად კი 2.2 მილიარდი აშშ დოლარია გამოყოფილი.

**მსოფლიო ბანკის მმართველი დირექტორის დოქტორი ნგოზი ოკონჯო-ივეალას შესახებ** 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის ნოემბრამდე ნგოზი ოკონჯო-ივეალა ვაშინგტონში ბრუკლინის უნივერსიტეტის პროფესორია. მანამდე კი, სამი წლის განმავლობაში, მას ნიგერიის ფინანსთა მინისტრის და შემდგომში, საგარეო მინისტრის პოსტები ეკავა. ამავე პერიოდში იგი გაუძღვა მოლაპარაკებებს პარიზის კლუბის კრედიტორებთან, რის შედეგადაც ნიგერიას ეპატია 18 აშშ მილიარდი დოლარი, ანუ ქვეყნის საგარეო ვალის 60 პროცენტი. დოქტორი ნგოზი ოკონჯო-ივეალა არის მრავალი საბჭოსა და მრჩეველთა ჯგუფის წევრი ან თავმჯდომარე, მათ შორის ONE Campaign, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის, როქფელერის ფონდის, აფრიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტისა და, აგრეთვე, გლობალური განვითარების ცენტრის.

მან 21 წლი გაატარა მსოფლო ბანკში, როგორც ეკონომისტმა, სადაც მას ვიცე-პრეზიდენტის და კორპორატიული მდივნის თანამდებობა ეკავა.

დოქტორმა ოკონჯო-ივეალამ განათლება ჰარვარდის უნივერსიტეტში მიიღო. მას გააჩნია მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის რეგიონული ეკონომიკის და განვითარების დოქტორის წოდება. მინიჭებული აქვს მრავალი ჯილდო.

**"24 საათი" გთავაზობთ მსოფლიო ბანკის მმართველი დირექტორის სტატიას, რომელიც ექსკლუზიურად, საქართველოში მის ვიზიტთან დაკავშირებით დაიწერა.**

**16 ოქტომბერი, 2009**

### კრიზისის "დარტყმა" სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე

*ნგოზი ოკონჯო - ივეალა*
*მსოფლიო ბანკის მმართველი დირექტორი*

მსოფლიო უპრეცედენტო ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა გახვეული. გასაკვირი არ არის, რომ ასეთმა გლობალურმა შოკმა, მართალია განსხვავებული სიმწვავით, მაგრამ მაინც იქონია გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, პატარა, ღია ეკონომიკური სისტემების მქონე ქვეყნებია, სადაც მაღალია საგარეო ვაჭრობის მთლიან შიდა პროდუქტთან (GDP) ფარდობის კოეფიციენტები. ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), ფულადი გზავნილები, მაღალი სასაქონლო ფასები, რამაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ქვეყნებში სწრაფი ზრდა განაპირობა, ახლა გლობალური შოკის გავრცელების არხებად იქცა. სომხეთში კრიზისი, ძირითადად, ვაჭრობის და ფულადი გზავნილების შემცირებაზე აისახა. საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ვარდნა ყველაზე კრიტიკული აღმოჩნდა, აზერბაიჯანში კი ექსპორტის კლება აღინიშნა, რაც ნავთობის ფასების და მოცულობების შემცირებამ განაპირობა.

სამივე ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა. 2009 წელს სომხეთში მოსალოდნელია 15 პროცენტიანი ვარდნა, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი დაახლოებით 4 პროცენტი იქნება. აზერბაიჯანმა ზრდის დადებითი მაჩვენებელი დაახლოებით 2 პროცენტის ოდენობით შეინარჩუნა, რაც უმნიშვნელოა წინა წლების 25 პროცენტიან ზრდასთან შედარებით. მძიმე დარტყმა განიცადა სამშენებლო სექტორმა ისევე, როგორც ვაჭრობისა და სამთომომპოვებელმა სფეროებმა. აღნიშნულ დარგებში ბევრი არაკვალიფიცირებული და ღარიბი ადამიანია დასაქმებული. ამიტომ მოულოდნელი არ არის სიღარიბის და უმუშევრობის ზრდა.

გლობალური ეკონომიკური ცუნამის უარყოფითი შედეგები გაცილებით სავალალო იქნებოდა, მთავრობებს სათანადო რეაგირება რომ არ მოეხდინათ გარეშე შოკის მიმართ. ასეთი რეაგირება მოიცავდა (სხვადასხვა ხარისხით) გაცვლითი კურსის მოქნილობას, ანტიკრიზისული ზომების შემუშავებას, საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფას, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების ზრდას, ძირითადი სახელმწიფო მომსახურებების დაფინანსების შენარჩუნებას, შერჩევით ინვესტირებას სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნას და დონორებისაგან დამატებითი დაფინანსების მიღებას.

თუმცა, ასეთ რთულ პერიოდში ისმის რამდენიმე შეკითხვა - როგორ უნდა უზრუნველყონ ამ ქვეყნებმა სიღარიბის დაძლევასა და სამუშაო ადგილების შექმნაში მიღწეული მდგრადი პროგრესის შეუქცევადობა? როგორ შეიძლება მოსახლეობის, განსაკუთრებით ღარიბი და მოწყვლადი ფენების დაცვა? რა ზომები უნდა იქნეს მიღებული კრიზისის შემდგომ მსოფლიოში დაჩქარებული ზრდისკენ სწრაფი შემობრუნების უზრუნველსაყოფად? რა შეუძლია საერთაშორისო თანამეგობრობას, მსოფლიო ბანკის ჯგუფის ჩათვლით, გააკეთოს ამ ქვეყნების დასახმარებლად?

ბევრი დაიწერა გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ. მაგრამ ერთი დასკვნა უკვე ნათელია: კრიზისის შემდგომი მსოფლიო განსხვავებული იქნება. დიდი ოცეულის (G-20) ბევრ წამყვან ქვეყანაში პოსტკრიზისული აღდგენის ნიშნების მიუხედავად, მოსალოდნელია დაბალი იყოს გლობალურად აღდგენის ტემპი, ხოლო პროცესი - რისკით აღსავსე. კერძო ინვესტიციები და იაფი კრედიტები, რამაც წარსულში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ზრდას, უფრო იშვიათი და რისკის თავიდან აცილებაზე ორიენტირებული გახდება. შენელებული ეკონომიკური ზრდა ნიშნავს, რომ ფულადი გზავნილების მოცულობა გაცილებით მოკრძალებული იქნება. სახელმწიფო ვალი ყველგან მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფო ფინანსებს. სოციალური პრობლემები გამძაფრდება და წინა წლებთან შედარებით გაცილებით მწირი რესურსების პირობებში, მთავრობებს მართებთ უფრო მეტი გულმოდგინება სიღარიბის შესამცირებლად.

### რა უნდა იღონონ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა?

პირველი, საჭიროა დაუყოვნებელი რეაგირება კრიზისის ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე. მეორე, საჭიროა სათანადო ზომების მიღება მდგომარეობის გამოსწორებისა და კრიზისის შემდგომი პერიოდის ინვესტიციების განხორციელების და ზრდის დაჩქარების უზრუნველსაყოფად. ნება მომეცით, თანმიმდევრულად შევეხო თითოეულს.

### კრიზისის უშუალო შედეგზე რეაგირება

კრიზისის ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესასუსტებლად მთავრობებმა უნდა იმუშაონ ორი მიმართულებით:

**- გონივრული ფისკალური სტიმულირება,** რითაც კომპენსირდება სამეწარმეო საქმიანობაში არსებული ვარდნა. ეს შეიძლება განხორციელდეს მათი საკუთარი საბიუჯეტო რესურსებით ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან ან ორმხრივი დონორებისგან დაფინანსების შემოდინებით. მთავრობის მიერ აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მასშტაბი, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება ფისკალურ ინტერვალზე ხარჯვის ზრდის ან გადასახადების შემცირებისათვის. ეს შეიძლება რთული იყოს გარემოში, სადაც საგადასახადო შემოსავლები მკვეთრად შემცირდა. მაგრამ დონორების მხრიდან დაფინანსების მიღება საკმაოდ ხელსაყრელი აღმოჩნდა საქართველოსთვის და სომხეთისთვის. აზერბაიჯანი ფლობს საკუთარ ნავთობრესურსებს, რასაც იმ ფართომასშტაბიანი სახელმწიფო ინვესტიციების პროგრამის მხარდასაჭერად იყენებს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას და ოჯახების შემოსავლების ზრდას.

**- საზოგადოების ღარიბი და მოწყვლადი ფენების დაცვა.** სამივე ქვეყანამ გაზარდა იმ სოციალური პროგრამების მასშტაბი, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება კარგად დაგეგმილი მიზნობრივი სოციალური დახმარება. უკანასკნელ წლებში მთავრობები გაცილებით ეფექტიანად უნაწილებენ რესურსებს გაჭირვებულ ფენებს. მაგრამ ეს ვერ იქნება საკმარისი. საჭიროა დაჩქარდეს სამუშაო ადგილების შექმნის პროცესი. ამგვარად, საშუალოვადიანი ეკონომიკური სარგებლის მაქსიმალური ზრდის მიზნით, სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად ყურადღებით უნდა შეირჩეს სახელმწიფო ინვესტიციები. ინვესტიციები სახელმწიფო სამუშაოების განხორციელების ისეთ პროგრამებში, როგორიცაა ირიგაცია, ადგილობრივი და მეორადი გზების ან სათემო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შენარჩუნებას ან შექმნას განსაკუთრებით, არაკვალიფიცირებული მუშახელისთვის და ღარიბებისთვის.

**საფუძვლის განმტკიცება მომავლისთვის**

არსებულ რთულ პერიოდშიც კი აუცილებელია წარსულის მიღწევებზე დაყრდნობა, სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ მოთხოვნების ზრდა და საშუალოვადიანი კონკურენტუნარიანობის და ზრდის გაძლიერება. ამ პატარა ქვეყნებში ცხოვრების მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად გადამწყვეტია შრომის ნაყოფიერების ამაღლება. საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ აღნიშნული მიზანი ყველაზე კარგად შემდეგი გზით მიიღწევა:

**- კერძო ინვესტიციების მოსაზიდად უფრო ძლიერი გარემოს შექმნა:** გლობალური ფინანსური კრიზისის გაკვეთილიდან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორები ხშირად დიდი დანახარჯების ფასად ცდილობენ რისკისგან თავის არიდებას და იჩენენ შერჩევითობას. იმ ქვეყნებს, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს კორუფციის შემცირებაში, მთავრობის გამჭვირვალობის ზრდაში, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებაში და კორპორაციული მართვის გაუმჯობესებაში, კერძო ინვესტიციების მოზიდვის უკეთესი შესაძლებლობა ექნებათ. პროფესიულ უნარ-ჩვევებში და უმაღლეს განათლებაში ინვესტირება ხელს შეუწყობს გაცილებით კონკურენტული სამუშაო ძალის შექმნას, ხოლო ინვესტიციები, ძირითად ინფრასტრუქტურაში, შეამცირებს სატრანსპორტო ხარჯებს და აამაღლებს ეფექტიანობას. საბაზრო გაცვლითი კურსის შენარჩუნება უზრუნველყოფს ფირმების და პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. ის ქვეყნები, რომლებიც ვერ შეძლებენ აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას, სავარაუდოდ კერძო ინვესტიციების გარეშე დარჩებიან.

**- სახელმწიფოს ეფექტიანობის უზრუნველყოფა:** კრიზისმა აჩვენა ეფექტიანი სახელმწიფოს მნიშვნელობა, რომელიც ახორციელებს ადეკვატურ მარეგულირებელ ღონისძიებებს, მაგრამ ასევე უზრუნველყოფს ძირითად სოციალურ მომსახურებას და ინფრასტრუქტურის არსებობას. უცხოური ვალდებულებების განახლებით გამოწვეული ადრეული სტრესი ეფექტიანად იქნა დაძლეული, მაგრამ თუ უმოქმედო სესხების ზრდასთან ერთად ბანკების საბალანსო მაჩვენებლები გაუარესდება, ეს კიდევ უფრო გაართულებს ბანკების მდგომარეობას და შეანელებს კრედიტების ზრდას. ამგვარად, აუცილებელია საბანკო სექტორში არსებული ეფექტიანი ზედამხედველობა, რათა საბანკო სისტემამ შეძლოს რთული მდგომარეობიდან გამოსვლა. ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია გონივრული მაკროეკონომიკური მართვა არა მარტო ვალუტის კურსის და ფულად-საკრედიტო, არამედ ფისკალური საკითხებიდან გამომდინარე. თუ არ მოხდა ზრდის დაუყოვნებელი განახლება, ამას ყველგან ბიუჯეტების კორექტირება მოჰყვება. უნდა შეწყდეს არაეფექტიანი პროგრამები. საჭირო გახდება რესურსების გადანაწილება ზრდაზე ორიენტირებულ ინვესტიციებზე და ძირითად სოციალურ პროგრამებზე. გადასახადების ამოღების გამკაცრება, გადასახადებისთვის თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლასთან და საგადასახადო ბაზის გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსური რესურსების ნაკლებობის შევსებას.

**- რა შეუძლია მსოფლიო ბანკს?**

კრიზისმა გააძლიერა მსოფლიო ბანკის მზადყოფნა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამივე ქვეყნის დახმარებაში მათ წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. ბანკის დახმარებამ რამდენიმე ფორმა მიიღო.

პირველი - ბანკი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს აწვდის დამატებით დაფინანსებას ხარჯვითი მოთხოვნების შესასრულებლად. დღეისათვის, მხოლოდ 2009 წელს, ბანკმა უკვე დაამტკიცა ახალი სესხები სომხეთისთვის 240 მლნ აშშ დოლარის მოცულობით. მათი დაახლოებით ნახევარი გაცემულია განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კონცესიური პირობებით. საქართველოსთვის 2009 წელს ბანკმა უკვე გამოყო 300 მლნ აშშ დოლარი ძირითადი საბიუჯეტო მოთხოვნების და საგზაო ინვესტიციების დასაფინანსებლად. აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) საქართველოს ბანკებში 190 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, რამაც ხელი შეუწყო საბანკო სისტემის სტაბილიზაციას. აზერბაიჯანში მიმდინარე პროგრამების ფარგლებში ბანკმა 2009 წელს 200 მლნ აშშ დოლარზე მეტი გამოყო საგზაო პროექტების დასაფინანსებლად, სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამირების გასაძლიერებლად და მუშაობა დაიწყო პარტნიორობის ახალ სტრატეგიაზე.

მეორე - ბანკი აღნიშნულ ქვეყნებს ეხმარება სანიმუშო სახელმწიფო პოლიტიკის მიღებაში, რაც, არა მარტო დაეხმარება მათ კრიზისიდან გამომდინარე მოკლევადიანი პრობლემების მოგვარებაში, არამედ აღდგენისკენ მიმავალ სწორ გზაზე დააყენებს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მომავალი მდგომარეობს მსოფლიოსთან უკეთეს ინტეგრაციაში. მაგრამ ამისათვის ამ ქვეყნებს უნდა ჰქონდეს უკეთესი პოზიცია აღნიშნული ინტეგრაციის უპირატესობის სრულად გამოყენებისათვის. ეს კი მიიღწევა კვალიფიცირებული მუშახელის არსებობით, კერძო ინვესტიციებისთვის მიმზიდველი პირობების და ადეკვატურად ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურის შექმნით, რაც შეამცირებს ბიზნეს საქმიანობის ხარჯებს და აამაღლებს ეკონომიკურ ეფექტიანობას.

მესამე - ბანკი აღნიშნულ ქვეყნებს გადასცემს ცოდნას კრიზისის დაძლევაში დახმარების მიზნით. მაგალითად, ბანკის დროული ანალიზი სიღარიბის დონეზე სოციალური პროგრამების გავლენის შესახებ აღნიშნული ქვეყნების მთავრობებს დაეხმარა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელების დაჩქარებაში. ანტიკრიზისული ფისკალური პოლიტიკის შემუშავებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბანკის ანალიტიკურმა სამუშაომ და რეკომენდაციებმა.

და ბოლოს, მსოფლიო ბანკი სხვა დონორებთან ერთად მუშაობს საერთაშორისო დახმარების გავლენის მაქსიმიზაციისთვის. არც ერთ დონორს დამოუკიდებლად არ შეუძლია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის სრულყოფილი დახმარების აღმოჩენა, მაგრამ თანამშრომლობის შედეგად ჩვენი დახმარება შესაძლებელს გახდის ამ ქვეყნების საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ერთი რამ, რაც კრიზისმა შეგვახსენა, არის ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთზე. ასეთმა ურთიერთდამოკიდებულებამ შესაძლებელი გახადა კრიზისის გლობალური გავრცელება, მაგრამ მეორე მხრივ ინვესტირების და ზრდის წყარო გახდა. მთავრობებთან, განვითარების პარტნიორებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ბანკს თავისი წვლილი შეაქვს ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაში, როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე სხვა ქვეყნებში. ერთად ჩვენ შევძლებთ კრიზისის შემსუბუქებას და ქვეყნებს ზრდის, განვითარებისა და სოციალური პროგრესის ახალ ტრაექტორიაზე დადგომის შესაძლებლობას მივცემთ.

# საქართველოს ბანკის ახალი გუნდი

ნინო ნატროშვილი

"საქართველოს ბანკის" ახალი გუნდი საზოგადოებას დღეს გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა წარუდგინა. "საქართველოს ბანკის" მენეჯმენტის ახალი სახეები სხვა კომერციული ბანკების უკვე ყოფილი ხელმძღვანელი პირები არიან.

მიმდინარე წლის 15 ნოემბრიდან "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობას, "თიბისი" ბანკის გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე არჩილ გაჩეჩილაძე დაიკავებს. არჩილ გაჩეჩილაძე დირექტორის მოადგილე კორპორატიული საბანკო საქმიანობის დარგში იქნება. ამ პოსტზე არჩილ გაჩეჩილაძე რამაზ კუკულაძეს შეცვლის, რომელიც საქმიანობას "გაერთიანებულ ტელეკომში" გააგრძელებს. ამავე დროს იგი "საქართველოს ბანკის" მფლობელობაში მყოფი სადაზღვევო კომპანია "ალდაგი ბისიაის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე რჩება.

საინტერესოა ისიც, რომ "საქართველოს ბანკში" ახალი პოზიცია შეიქმნა, კერძოდ - გენერალური დირექტორის მოადგილე საერთაშორისო საბანკო საქმიანობის დარგში. ამ პოსტს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკოლოზ შურლაია დაიკავებს. იგი "საქართველოს ბანკის" საერთაშორისო საბანკო ოპერაციებს უხელმძღვანელებს და ბელორუსის "ბნბ" ბანკის სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარის თანამდებობას დაიკავებს. იგი ასევე უკრაინული "ბგ ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იქნება.

ცვლილებები უკრაინასა და ბელორუსში "საქართველოს ბანკის" მფლობელობაში არსებულ კომერციულ ბანკებსაც ეხება.

"ბნბ" ბანკის გენერალურ დირექტორად კოტე წერეთელი დაინიშნება, რომელიც მანამდე "საქართველოს ბანკის" საცალო საბანკო საქმიანობის თანადირექტორი იყო. "ბნბ" ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილედ კი, სეიდ დევდარიანი დაინიშნა, რომელიც საქმიანობას მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის მიმართულებით გაუძღვება. გარდა ამისა, "საქართველოს ბანკის" ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას "BTA ბანკი საქართველოს" ყოფილი გენერალური დირექტორი გიორგი ჭილაძე აგრძელებს.

ირაკლი გილაურის განცხადებით, საქართველოს ბანკში ამ ცვლილებებით მენეჯმენტი ძლიერდება. მენეჯმენტის გაძლიერება კი, მოსალოდნელი საბანკო აქტიურობის ზრდითაა გამოწვეული.

"ამ ცვლილებების მიზეზი არის საბანკო აქტივობის ზრდის მოლოდინი. შესაბამისად გვინდა, რომ ამ ზრდას მომზადებულები შევხვდეთ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ამ ცვლილებებისა. 2009 წლის დასაწყისში ბანკში 2650 ადამიანი მუშაობდა. ბოლო მონაცემებით დაემატა 286 ახალი თანამშრომელი. შტატში ძირითადად ის თანამშრომლები ავიყვანეთ, რომლებიც განხორციელებული შემცირებების დროს ბანკიდან წავიდნენ. საქართველოს ბანკი არის ერთი გუნდი და გადაწყვეტილებების მიღებაც ერთობლივი ძალებით ხდება ", - განაცხადა გილაურმა.

# საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა შედარებით ნაკლებად იგრძნობა

## ინვესტიციები მსოფლიო კრიზისის ფონზე

სოლომონ პავლიაშვილი
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი**



მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა სხვადასხვა ქვეყნის მიმართ განსხვავებულია, ეს დამოკიდებულია იმაზე თუ თითოეული ქვეყანა, რამდენად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში, რომელიც მოიცავს ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებას ექსპორტ-იმპორტზე, ტრანსნაციონალური კომპანიების არსებობას, მეზობელ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ასევე მნიშვნელოვანია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, გააჩნიათ თუ არა ეკონომიკური საფრთხის დამცავი მექანიზმები და ღონისძიებები. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის არსებული დონის და სტადიის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლებია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, ინფლაციისა და უმუშევრობის დონე, საფინანსო საბანკო სისტემის ნდობა, ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა და მისგან მიღებული მოგების პროცენტი, მოსახლეობის სოციალური დაცულობა, განათლების დონე, სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების ხარისხი და სხვა. იმ შემთხვევაში თუ ამ მაჩვენებლების დაცემას აქვს ხანგრძლივი ხასიათი მაშინ ეკონომიკის ასეთ მდგომარეობას ეწოდება რეცესია, ხოლო თუ ეს პროცესი ხანგრძლივია შემდეგ ყალიბდება დეპრესია,

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ძირითად მიზეზად მიჩნეულია ამერიკის შეერთებული შტატების იპოთეკური კრიზისი, მისი გაუმჭირვალეობა, საკრედიტო და საინვესტიციო ფუნქციების შერწყმა, არევა, რამაც გაამარტივა იპოთეკური კრედიტების აღება მომხმარებლისთვის და გამოიწვია დოლარის მოცულობის მკვეთრი გაზრდა მიმოქცევაში და შედეგად მივიღეთ საბანკო სექტორის სრული კრახი, რასაც თან სდევდა საფონდო ბირჟის კრიზისი; ფინანსური ინსტრუმენტების (ფიუჩერსული გარიგებები, ოფციონი, სვოპი, ფორვარდი და სხვა.) არასწორად გამოყენება; ნავთობის ფასების შესამჩნევი გაძვირება; საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების Standard & Poor's, Fitch da Moody's არასწორი შეფასებები. მეცნიერული კვლევების და პროგნოზირების უგულვებელყოფა და რაც მთავარია მაკროეკონომიკური მართვის გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელი მოდელის არსებობა (კეინსიანიზმი, მონეტარიზმი, ინსტიტუციურ-სოციოლოგიური და სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა თავს იკავებდა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევაზე, მათ მაინც მოუწიათ იძულებითი ნაბიჯის გადადგმა. ამის ნათელი მაგალითია გერმანიის სახელმწიფო. თავდაპირველად გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელი ეკონომიკური კრიზისის მიმართ უყურადღებობას იჩენდა რის გამოც მას ხშირად აკრიტიკებდნენ. ის არ აპირებდა სახელმწიფოს მხირდან მილიარდების ხარჯვას. პირველ ეტაპზე მან წარადგინა ეკონომიკური სტიმულირების 31 მილიარდევროიანი გეგმა, რაც დაწუნებული იქნა, ვინაიდან ძალიან მცირე იყო. შემდგომში იგი იძულებული გახდა წარედგინა 50-მილიარდიანი სტიმულირების პაკეტი და პლიუს 100-მილიარდიანი გარანტია სახელმწიფოს მხრიდან ბანკებთან, რომლებიც გასცემდნენ კრედიტებს კერძო კომპანიების დასახმარებლად. ასევე ყველას გვახსოვს, რომ სწორედ მისი დავალებით გერმანიის ეკონომიკის მინისტრი კარლ თეოდორ გუტენბერგმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გადაერჩინა ძოპელის" მსხვილი ავტო ინდუსტრია და პირადად თვითონ მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა მონათესავე კომპანიებთან (ჯენერალ მოტორსი, კრაისლერი და სხვა). ასევე განსაზღვრულია საშემოსავლო გადასახადის შემცირება 15,5%-დან - 14,9%-მდე. გადაწყვეტილია ორი წლის მანძილზე ინფრასტრუქტურისათვის გამოიყოს 18 მილიარდი ევრო. ყველა ოჯახი თითო ბავშვზე ერთჯერადად მიიღებს 100 ევროს. გაიზრდება კომპანიების სუფსიდირება, რათა მათ შვებულებაში გაუშვან კრიზის გამო დროებით დახურული საწარმოების მუშები. ყველა ვინც 9 წელზე მეტი ხნის ავტომობილს ახლით შეცვლის მიიღებს 2500 ევროს სახელმწიფოსაგან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაბიჯები სახელმწიფოს კანცლერის მიერ ოდნავ მოგვიანებით იქნა გადადგმული მაინც ყოველივე ამან ხელი შეუწყო მისი რეიტინგის ამაღლებას რაც საბოლოო ჯამში მისი არჩევნებში გამარჯვებით დადასტურდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად ამერიკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 787 მილიარდი მიიღო, როგორც მოგეხსენებათ აღნიშნული გეგმა 100-დღიანია და ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: საფინანსო საბანკო სისტემის მოწესრიგებას, მსხვილი საავტომობილო კომპანიების დახმარებას, 4 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, არალიკვიდური აქტივების ყიდვას, გარკვეული კონტიგენტის მოქალაქეებისათვის საბანკო საპროცენტო ტარიფების შემცირებას. მიუხედავად ამისა დღეის მდგომარეობით უმუშევრობამ შეადგინა 9,4%, რომელიც ბოლო 50 წლის განმავლობაში არასდროს არ იყო 5%-ზე მეტი. სამუშაო საათების რაოდენობა 39 საათიდან 36 საათამდე შემცირდა მხოლოდ სექტემბერში სამუშაო ადგილი დაკარგა 263 000 კაცმა.

აღნიშნულ ქვეყნებს მიუხედავად თავისი ლიბერალური ეკონომიკისა არც იაპონიის სახელმწიფო ჩამორჩა მან 270 მილიარდი გამოყო ბანკებისთვის მოსახლეობის და კომპანიების ბანკებიდან აღებული კრედიტების ვადის გაგრძელებისათვის, ხოლო 20 მილიარდი ერთჯერადი დახმარება საშუალო და დაბალ შემოსავლიან ოჯახებზე. მიუხედავად აღნიშნულისა, იაპონელი ექსპერტები მიანიშნებენ, რომ კრიზისი დაიწყო 2007 წელს და სახელმწიფომ არაფერი გააკეთა აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად.

აღსანიშნავია რომ კრიზისმა ხელი შეუწყო ცალკეული რეგიონების დაახლოებას და უკვე არსებული გაერთიანებების მჭიდროდ თანამშრომლობას და ერთიანი გადაწყვეტილებების მიღებას. მაგალითად ოპეკის ქვეყნები რომლებიც მსოფლიო სანავთობო მარაგის 70%-ზე მეტს აკონტროლებენ (ირანი, ერაყი, კატარი, ალჟირი, ანგოლა, ვენესუელა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და სხვა) ცდილობენ თავიანთ რიგებში გააერთიანონ მექსიკა, რუსეთი და სხვა... ასევე გამოიკვეთა მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების შექმნა, მაგალითად შანხაის ორგანიზაციას (რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი) აქვს სურვილი ევროპასთან ერთად შექმნას ერთიანი ენერგეტიკული ბაზარი.

საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა შედარებით ნაკლებად იგრძნობა, რაც ძირითადად გამოწვეულია, ქვეყნის ეკონომიკის დაბალი ინტეგრულობით მსოფლიო ეკონომიკაში. საქართველო, წარმოდგენილია მსოფლიო ბაზარზე, როგორც იმპორტიორი ქვეყანა ვინაიდან იმპორტი თითქმის 5-ჯერ აჭარბებს ექსპორტს და არც ჩვენს საექსპორტო პროდუქციას აქვს მაინცდამაინც სასიცოცხლო მნიშვნელობა სხვა ქვეყნებისთვის. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენ დიდი ოდენობით დახმარება მივიღეთ საერთაშორისო ინსტიტუტებიდან გამოიყო 4,5 მილიარდი დოლარი, რამაც საშუალება მოგვცა შეგვენარჩუნებინა ინფლაციური პროცესები და გარკვეული ეკონომიკური სტაბილურობა. აღნიშნული თანხები მიმართული იქნება საწარმო იმფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებაზე.

2009 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი 21,3 მილიარდით იყო განსაზღრული. დაგეგმილი იყო მთლიანი შიდა პროდუქტის 2,5%-ით ზრდა. სინამდვილეში ცნობილი საომარი მოქმედებებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზემოქმედების გამო მთლიანი შიდა პროდუქტში პროგნოზით შემცირდება 1,5%-ით.

ძირითადი ეკონომიკური პრობლემები ქვეყანას შეექმნა უფრო აგვისტოს საომარი მოქმედებებისგან ვიდრე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან. 2004 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 499 მილიონი დოლარი; 2005 წელს - 450 მილიონი დოლარი (გარკვეული კლება წინა წელთან შედარებით გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრებით); 2006 წელს - 1190 მლნ დოლარი; 2007 წელს - 2014 მლნ დოლარი. 2008 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1 564 მილიონი დოლარი შეადგინა რაც წინა წელთან შედარებით 600 მილიონით ნაკლები იყო, რაც გამოწვეული იყო აგვისტოს საომარი მოქმედებებით. რაც შეეხება მიმდინარე წელს ინვესტიციების შემოდინება საგრძნობლად შემცირებულია, ეს გამომდინარეო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან, ვინაიდან უცხოური ინვესტიციები მთელს მსოფლიოში 30%-მდე შემცირდა. გარკვეულ ეტაპზე ბევრმა უცხოურმა კომპანიამ გააჩერა ინვესტიციების განხორციელება საქართველოში, მაგალითად ყაზახეთმა ამ ეტაპზე უარი თქვა ბათუმში ნავთობ ტერმინალის მშენებლობაზე, თითქოსდა ტერიტორიის უკმარისობის გამო. ასევე ყაზახურმა კომპანიამ ს.ს. ძპროდკორპორაციამ" უარი თქვა ფოთში მარცვლეულის ტერმინალის მშენებლობაზე, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წელს უნდა დაეწყო. ცნობისათვის ეს კომპანია არის ყაზახეთის სახელმწიფოს 100%-იანი წილით -შექმნილი კომპანია, რომელიც ყაზახური ხორბლის 70%-ს აკონტროლებს. აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ქართული მხარის წილი 50% უნდა ყოფილიყო, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისია ქვეყნის ეკონომიკისათვის. მიმდინარე წელს დაახლოებით 900 მილიონამდე ინვესტიციებია მოსალოდნელი, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება გასულ წელთან განხორციელებულ ინვესტიციებს. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2008 წელთან შედარებით 0,15 ტრილიონი დოლარით შემცირდება და 1,2 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

ინვესტიციების შემოდინებას და გაზრდას გასულ წლებში ხელი შეუწყო ქვეყანაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, როგორიც არის სახელმწიფოს პოლიტიკური ნება ინვესტიციების მოზიდა და ამ საკითხში ყველა ინსტიტუტების ჩართვა, ინფლაციური პროცესების მართვა, გადასახადების შემცირება, ლიცენზირებისა და ნებართვების გამარტივება და შემცირება, უძრავი ქონების რეგისტრაციის გამარტივება, გაკოტრების კანონის ამოქმედება და სხვა.

მიუხედავად ჩვენს მიერ მოყვანილი პოზიტიური ცვლილებებისა, რომელიც განხორციელდა ბოლო წლებში და რომელმაც ხელი შეუწყო საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უარყოფითი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომელმაც ნაწილობრივ დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა და ხელი შეუშალა ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების შემოდინებას, საკუთრებითი ურთიერთობის განმტკიცებას, თავისუფალ ფასწარმოქმნასა და თავისუფალ კონკურენციას. ესეთებია:

საქართველოს ტერიოტირიული მთლიანობის გადაუჭრელი პრობლემა, 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედება, შიდა პოლიტიკური დაძაბულობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, საკუთრების უფლებების ხელყოფა, რუსეთის ემბარგო (ალკოჰოლურ და მინერალურ სასმელებზე), განუვითარებელი სავალუტო საფონდო ბირჟა, ანტი-მონოპოლიური სამსახურის გაუქმება, ბიზნეს ასოციაციების არ არსებობა და სხვა.

ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქცია რითაც საქართველო გამოირჩევა ეს არის სატრანზიტო ფუნქცია, რომლის სრულად განხორციელებაშიც ხელს უშლის ქვეყნის დაკარგული ტერიტორიების არასტაბილური პოლიტიკური სტატუსი. ამის გამო ქვეყანამ თავის დამოუკიდებლობის პერიოდში ვერ შეძლო ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის შესაძლებლობების სრული რეალიზაცია და ინვესტორებისათვის დაკარგულ ტერიტორიებზე ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური კრიზისი გარკვეულად ბიძგს მისცემს სახელმწიფოს მიერ ახალი საბიუჯეტო სტიმულების განხორციელებას, რაც გამოიხატება ინოვაციური პროცესების ხელშესწყობასა და განხორციელებაში, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური კრიზისის პოზიტიური ბუნებაც, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების აუცილებელ და სრულ დემოკრატიზაციას, პროგრესისაკენ მიდრეკილებას, ეკონომიკის მართვის ახალი ტექნოლოგიების ძიებას, ეკონომიკური სუბიექტების მიერ მათთვის შესაფერისი ადგილის მიჩენას, რასაც განსაზღვრავს თავისუფალი ფასწარმოქმნა და თავისუფალი კონკურენცია. ზოგიერთ დარგებში არსებულ საწარმოთა მონოპოლიზირებული ფუნქციის დემონოპოლიზაციას.

საქართველოს უნდა ქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ანტიკრიზისული პროგრამა, როგორც პრევენცია მოსალოდნელი კრიზისებისა და აქედან გამომდინარე მისი ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. ანტიკრიზისულ პროგრამაში მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ეროვნული წარმოების განვითარებას და იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებას ადგილობრივი საქონლით. აუცილებელია შემუშავებული იქნას ისეთი ფულად საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მინიმალური საბანკო საპროცენტო ტარიფების არსებობას, რათა სტიმული მიეცეს ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. დღევანდელი საბანკო საპროცენტო ტარიფები თითქმის 8-10-ჯერ აღემატება განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. საჭიროა შემუშავდეს ისეთი ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, პროგრამა, ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც გაითვალისწინებს, როგორც არსებულ რეალობებს ისე მოსალოდნელ ეკონომიკურ პროცესებს, როგორც რეგიონალურ ჭრილში ასევე მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში.

დღეს როგორც არასდროს საჭიროა ისეთი პროგრამების ამუშავება სახელმწიფოს მხრიდან როგორიცაა ექსპორტის მხარდაჭერის, იმპორტშემცველი წარმოების მასტიმულირებელი, იაფი კრედიტის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები. ამ პროგრამებში უნდა ჩავრთოთ რიგორც სართაშორისო საფინანსო ორგანიზაციები ,ისე უნდა განვახორციელოთ საბიუჯეტო პირდაპირი თუ ირიბი სუბსიდიები.ამ პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ბიზნეს ასოციაცებმა,რომელთა მიე კონკურსის საფუძველზე უნდა მოხდეს აღნიშნული პროექტების შერჩევა.

## ჩაგდებული საკანონმდებლო ინიციატივა

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" წევრის დიმიტრი ლორთქიფანიძის საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტის რეგლამენტის შესახებ მხარი არ დაუჭირა.

დიმიტრი ლორთქიფანიძე ცვლილებების შეტანას რეგლამენტის მე-17 მუხლში ითხოვდა. პროექტის თანახმად, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ მონიტორინგის სამუშაო ჯგუფს უნდა მიენიჭებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე გამარტივებული წესით შესვლის უფლება. სპეციალური ნებართვა კი მოქმედი ნორმის მიხედვით მათ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით ეძლევათ.

დიმიტრი ლორთქიფანიძის განმარტებით, პარლამენტის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლის გადაუდებელი აუცილებლობაა, ჯგუფის წევრებს პრობლემა ექმნებათ და მის მიერ მომზადებული ინიციატივაც სწორედ აქედან გამომდინარეობს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის განმარტებით, რეგლამენტში ცვლილების განხორციელების ნაცვლად, მიზანშეწონილი იქნება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლის პროცედურების დეტალური გაწერა და დამატებითი მოლაპარაკება პარლამენტის თავმჯდომარესთან.

"იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს არ დაუჭერს ასეთი ღია კარის მექანიზმს, იმისათვის რომ არ მოხდეს საკითხის ზედმეტად პოლიტიზირება," - განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

*პირველი*

## საერთაშორისო ორგანიზაციების და საელჩოების წარმომადგენლები პრობაციის ბიუროში

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლები პრობაციის ეროვნული სამსახურის ტერიტორიული ბიუროების საქმიანობის გაცნობას განაგრძობენ.

პრობაციის ეროვნული სამსახურის ცნობით, თბილისის პრობაციის ბიუროში სტუმრად მისულ აშშ-ს, უნგრეთისა და ბულგარეთის საელჩოების დიპლომატებსა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თანამშრომლებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგები პრობაციის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ იობიძემ გააცნო.

უცხოელი სტუმრები თბილისის ბიუროში დანერგილი ტექნოლოგიური სიახლეებით დაინტერესდნენ და დაქტილოსკოპიური სკანერით პრობაციონერთა ვიზიტის აღრიცხვის მეთოდს ადგილზე გაეცნენ. თეიმურაზ იობიძის განმარტებით, აღრიცხვის თანამედროვე სისტემის დანერგვამ პრობაციის ოფიცრებს საშუალება მისცა, უფრო მეტი დრო დაუთმონ პრობაციონერთა რესოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციის ღონისძიებებს.

*ინტერპრესნიუსი*

## სრულად დაკმაყოფილებული სარჩელი

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სრულად დაკმაყოფილდა შპს "ეკო ჯორჯია"-ს სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების - მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის, შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველი საბჭოს მიმართ ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, რომლითაც მოსარჩელეს დაეკისრა ფულადი ჯარიმა სალარო აპარატის გამოუყენებლობისთვის.

სასამართლომ საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ შპს "ეკო ჯორჯია"-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გათავისუფლებული იქნა დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარეთა მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ახალი საპყრობილე ქუთაისში



*დღეს ქუთაისში სასჯელაღსრულების N2 საპყრობილე გაიხსნება. ახალ დაწესებულებას სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი ადგილობრივი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დეპუტატების თანდასწრებით გახსნის. როგორც სამინისტროში აცხადებენ, ახალი დაწესებულება ციხეებში გადატვირთულობის პრობლემას მოხსნის, მათ შორის რუსთავის N2 დაწესებულებაში, რის გამოც ცოტა ხნის წინ მინისტრს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა. თუმცა, შაშკინის დაპირებით, ციხეების მშენებლობა არ მთავრდება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კიდევ რამდენიმე დაწესებულების მშენებლობა მიმდინარეობს, რომელებიც ექსპლუატაციაში 2010 წლის გაზაფხულზე შევა.*

თანამედროვე სტანდარტების, 1900 პატიმარზე გათვლილი ქუთაისის N2 დაწესებულება ოთხი კორპუსისაგან შედგება. სარემონტო სამუშაოები კომპანია "სუპერ V"-მ ჩაატარა და 5 მილიონ ლარზე მეტი დაჯდა. დაწესებულება ქუთაისის გარეუბანში, მოსახლეობისგან აბსოლუტურად იზოლირებულია. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში განმარტავენ, ახალ დაწესებულებაში სამუდამო პატიმრობამისჯილთა გარდა, ყველა კატეგორიის მსჯავრდებული მოხვდება. ვინმეს მიმართ პრივილეგია გამორიცხულია. თუმცა, გათვალისწინებულია მსჯავრდებულთა ოჯახების ინტერესები. როგორც ირკვევა, ციხე ძირითადად, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მსჯავრდებულებით შეივსება, რადგან სამინისტრო პატიმართა ოჯახების ტრანსპორტირებისა და სხვა ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილებას ითვალისწინებს.



**"ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ახალი დაწესებულების გახსნა ციხეებში გადატვირთულობის პრობლემას მოხსნის, მათ შორის რუსთავის N2 დაწესებულებაში. როგორც ცნობილია, 2009 წლის აპრილს ქალთა ციხეში მომდარი ბუნტის გამო, სიტუაციის განეიტრალების მიზნით, ქალი მსჯავრდებულები რუსთავის N1 დაწესებულებაში გადაიყვანეს, მაგრამ ვინაიდან, საპირისპირო სქესის ერთ დაწესებულებაში ყოფნა დაუშვებელია, ადმინისტრაცია იძულებული გახდა N1 საპატიმროდან, მსჯავრდებულები მამაკაცები რუსთავის N2 დაწესებულებაში გადაეყვანა. გადატვირთულობა სწორედ ამან გამოიწვია,"** - აცხადებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე ლევან ზარანდია.

მინისტრის მოადგილის თქმით, ქუთაისის N2 საპყრობილეში ხანმოკლე პაემნებისთვის საგანგებო ოთახებია და მსჯავრდებულებს ახლობლებთან შეხვედრის კომფორტული საშუალება ექნებათ. თანაც, დაახლოებით ორ თვეში ძალაში შედის ახალი პატიმრობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულებს არა მხოლოდ ოჯახის წევრების, როგორც აქამდე იყო, ფაქტობრივად, ყველა ნათესავის ნახვის უფლება ეძლევათ. უფლება ეძლევათ შეხვდნენ იმ პირებსაც კი, ვისთანაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში ბოლო 2 წელი იმყოფრბოდა, ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ვინმესთან საერთო მეურნეობას ეწეოდა.

**"როგორც ბევრ სხვა დაწესებულებაში, ქუთაისშიც თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ცალკე სამედიცინო განყოფილება, მათ შორის სტომატოლოგიური კაბინეტი იქნება. თუმცა, განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ნარკომანიით დაავადებული მსჯავრდებულები, რადგან ახალ დაწესებულებაში "დამოკიდებულების მქონე პირთა ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა - "ატლანტისი" მოქმედებს. პროგრამის ფარგლებში არსებობს სპეციალური განყოფილება, სადაც ნარკომანი მსჯავრდებულებისთვის საგანგებოდაა მოწყობილი ჯგუფური თერაპიის, ინდივიდუალური გასაუბრებისა და სპორტული ოთახები,"** - ამბობს ლევან ზარანდია, რომელიც ირწმუნება, რომ სამინისტროსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი პატიმართა უფლებების დაცვაა. ამისათვის, სამინისტროში გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი და სპეციალური საგამოძიებო დეპარტამენტი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს.

# დერმოტ ჰენრის საქმე

*საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტს შუამდგომლობით მიმართა ირლანდიის მოქალაქე დერმოტ ჰენრიმ, რომელიც ითხოვდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებების აღსრულებას.*

საქმე ისაა, რომ სასამართლო განჩინებების საფუძველზე, მოქალაქე დერმოტ ჰენრის მიეცა უფლება ყოფილი მეუღლის, მანანა ჰენრის თანხლებით წელიწადში ორჯერ თავისი ხარჯებით წაეყვანა თავისი არასრულწლოვანი ქალიშვილები ირლანდიაში.

მოქალაქე დერმოტ ჰენრიმ, თავისი წარმომადგენლის - ადვოკატ დავით ბახუტაშვილის მეშვეობით მოსთხოვა მეუღლეს - მანანა ჰენრის, რომ ბავშვები გაეგზავნა მისთვის ირლანდიის რესპუბლიკაში, ვინაიდან, დერმოტ ჰენრის ჩამოსვლა საქართველოში ბავშვების წასაყვანად დაკავშირებული იყო ზედმეტ ხარჯებთან.

ყოფილი მეუღლის წინადადებაზე მანანა ჰენრიმ კატეგორიული უარი განაცხადა და მოსთხოვა დერმოტ ჰენრის თავად ჩამოსულიყო საქართველოში ბავშვების წასაყვანად.

ყოფილ მეუღლეებს შორის ბავშვების მგზავრობის გამო წარმოქმნილი დავა საბოლოოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა და გამოტანილ განჩინებაში აღნიშნა; "მოქალაქე დერმოტ ჰენრის უფლება აქვს მისთვის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით გადაწყვიტოს დედასთან ერთად თუ მის გარეშე წაიყვანოს შვილები ირლანდიაში".

სასამართლოს გადაწყვეტილება აღასრულა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ. კერძოდ, მოქალაქე მანანა ჰენრის თანხმობით მისი უფროსი ქალიშვილი გაეგზავრა ირლანდიის რესპუბლიკაში მამის მოსანახულებლად.

სხვათა შორის, ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შევიდა მომართვები: ირლანდიის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროდან, რუსეთის ფედერაციაში ირლანდიის რესპუბლიკის საელჩოდან, საქართველოში ბრიტანეთის საელჩოდან და ევროპარლამენტიდან.

საბოლოოდ, მამა-შვილისთვის გაწეული დახმარებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მადლობის წერილი მიიღო ირლანდიის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროდან.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ოპოზიციას დუმაში დაბრუნების იმედი აქვს



პარტია "სპრავედილვაია როსიას" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ნიკოლაი ლევიჩევმა განსაზღვრული გარანტიების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო დუმის პლენარულ სხდომაში მონაწილეობისთვის მზადყოფნა გამოთქვა. "სპრავედილვაია როსიამ", "კომუნისტურ პარტიასა" და "ლიბერალურ-დემოკრატიულ" პარტიასთან ერთად, არჩევნების შედეგების პროტესტის ნიშნად ოთხშაბათს პარლამენტის ქვედა პალატის სხდომა დატოვა.

ლევიჩევი იმედოვნებს, რომ პრეზიდენტისა და ოპოზიციონერთა შეხვედრა შედგება, არჩევნების დროს მომხდარი დარღვევები სასწრაფოდ იქნება გამოძიებული და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი ვლადიმირ ჩუროვი სახელმწიფო დუმაში "უხერხულ კითხვებს" უპასუხებს.

ამასთან, პარტიები, რომლებმაც ოთხშაბათს დარბაზი დატოვეს, დუმის რეგლამენტის შეცვლას მოითხოვენ, რაც ოპოზიციას საშუალებას მისცემს, უფრო ხშირად გამოხატოს თავისი აზრი. სახელმწიფო დუმის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, რეგლამენტის ცვლილებას კრემლიც უჭერს მხარს. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაადასტურეს, რომ კრემლი მზად არის, მოაწყოს პრეზიდენტისა და ოპოზიციის შეხვედრა 27 ოქტომბერს - იმ დღეს როდესაც ისედაც იყო დაგეგმილი პრეზიდენტის მიმართვის განხილვა.

"სპრავედილვაია როისიას", "კომუნისტური პარტიისა" და "ლიბერალურ-დემოკრატიული" პარტიის წევრებმა პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრა მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სხდომათა დარბაზში დაბრუნებაზე უარი განაცხადეს. ბორის გრიზლოვმა მათი საქციელი საბოტაჟად შეაფასა და მათ სამუშაოზე დაბრუნებისკენ მოუწოდა. ამ ინციდენტის გამო შესაძლოა მხოლოდ "მწუხარება გამოხატო," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა პუტინმა. მისი აზრით, მომხდარში "დიდი წილი აქვს შიდაპარტიულ რიტორიკას". ფედერალური პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატების დემარშს მხარი დაუჭირეს ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების დეპუტატებმაც ამ პარტიებიდან. მათ რამდენიმე ქალაქში დემონსტრაციულად დატოვეს სამუშაო ადგილები.

11 ოქტომბერს რუსეთის 75 რეგიონში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა. ჯერ კიდევ საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე "ედინაია როსიას" უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელმა ბორის გრიზლოვმა განაცხადა, რომ სახელისუფლებო პარტიამ თითქმის ყველგან გაიმარჯვა. (არჩევნების შედეგებზე უკვე წერდა "24 საათი"). როგორც ოპოზიცია ირწმუნება, არჩევნებზე დარღვევები მასობრივად აღინიშნა.

პოლიტოლოგ დიმიტრი ორეშკინის განცხადებით, ამ დემარშს ნაკლებად შეუძლია სიტუაციაზე გავლენის მოხდენა, მიუხედავად იმისა, რომ "სერგეი მირონოვს ადმინისტრაციული რესურსი აქვს, "კომუნისტებს" კი - ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმების საშუალება." "კომუნისტური პარტიის" დამკვირვებლებმა შეიძლება რაღაც დააფიქსირეს, თუმცა ყველას კარგად ესმის, რომ საარჩევნო კომისიის წევრების კეთილდღეობა და კარიერული ზრდა დამოკიდებულია ადგილობრივ ხელმძღვანელობაზე, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება - "ედინაია როსიაზე". ამიტომ მათ "კარგად ესმით", რა უნდა გააკეთონ", - განაცხადა ექსპერტმა. ორეშკინი მიიჩნევს, რომ პარლამენტარებისთვის მიცემული რჩევა - მიემართათ სასამართლოსთვის - ნაწილობრივ სწორია და ამასთან ცინიზმის გარკვეულ დოზასაც შეიცავს. ძნელი მისახვედრი არ არის, ვის მხარეს იქნება სასამართლო. ორეშკინის აზრით, ძალიან სამწუხაროა, რომ საჯარო პოლიტიკა მოსაწყენი და არაეფექტური ხდება, ხოლო კულისებს მიღმა ადმინისტრაციული პოლიტიკა სულ უფრო აფართოებს თავის გავლენას და ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს საბჭოთა რეალობას.

სახელმწიფო დუმის დეპუტატს "კომუნისტური პარტიიდან" ვადიმ სოლოვიოვს ასევე მიაჩნია, რომ სასამართლოს გზით ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. **"დღეს სასამართლოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის მიმართვა უშედეგოა, ეს პრობლემის ჩაძირვას ნიშნავს. შექმნილია ისეთი სასამართლო სისტემა, რომელიც არ მუშაობს. ამიტომ ამ სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთი გზა პროტესტია - როგორც სახელმწიფო დუმის დეპუტატების, ასევე ამომრჩევლის მხრიდან,"** - დარწმუნებულია სოლოვიოვი.

უკმაყოფილო პოლიტიკურ ძალებს ოთხშაბათ საღამოს სასამართლოსკენ მოუწოდა ქვეყნის პრემიერმა ვლადიმირ პუტინმაც. არჩევნების შესახებ კომენტარის გაკეთებისას პუტინმა განაცხადა: "მე კმაყოფილი ვარ შედეგებით, თუ ვინმეს მის უტყუარობაში ეჭვი ეპარება, მაშინ სასამართლოს უნდა მიმართოს და დაამტკიცოს." მისი სიტყვებით, წაგებული ყოველთვის უკმაყოფილოა, თუმცა გამარჯვებულმა "თავი უნდა შეიკავოს, ეიფორია არ არის საჭირო."

გუშინ დღის მეორე ნახევარში რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატაში პოლიტიკური დაპირისპირება მეტ-ნაკლებად განიმუხტა. პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ტელეფონით ესაუბრა "კომპარტიისა" და "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიების" ხელმძღვანელებს გენადი ზიუგანოვსა და ვლადიმირ ჟირინოვსკის. ამგვარად ოპოზიციონერებმა ნაწილობრივ გამოუშვეს ორთქლი. გუშინვე ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ ალბათ მომავალი კვირიდან პარლამენტში ყველა ფრაქცია დაბრუნდება. ისინი 21 ოქტომბერს ბიუჯეტის განხილვას დაესწრებიან და აუცილებლად მივლენ 23 ოქტომბრის სხდომაზეც, როდესაც პარლამენტართა კითხვებს საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი ჩუროვი უპასუხებს. სხვა ოპოზიციური პარტიებიც, სავარაუდოდ, მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებენ. ასეთ შემთხვევაში, ბოლო ცხრა წლის მანძილზე სახელმწიფო დუმის ყველაზე მასშტაბური დემარში შესაძლოა მხოლოდ რამდენიმედღიანი გამოდგეს. თუმცა ბოლო ინფორმაციით კომპარტიის ფრაქცია არ აპირებს სახელმწიფო სათათბიროში დაბრუნებას პრეზიდენტთან შეხვედრამდე.

ცნობისათვის - 2000 წელს რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის სხდომა თანამდებობების განაწილების მიმართ პროტესტის ნიშნად "იაბლოკომ", "მემარჯვენე ძალთა კავშირმა", "ოტეჩესტვომ" და "რუსეთის რეგიონების" დიდმა ნაწილმა დატოვეს.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# ხულიგანი ხელყუმბარით

*ხელყუმბარით შეიარაღებულმა ადამიანმა მოლდოვას გენერალურ პროკურატურაში შევარდნა სცადა. გენერალური პროკურატურის პრესსამსახურის უფროსის მირიუ ვიერუს ინფორმაციით, რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა. მამაკაცი, რომელიც შენობაში შევარდნას ცდილობდა, სამართალდამცველებს ჩაბარდა. ხელბორკილების დადებამდე მან პოლიციელებს რაღაც დოკუმენტები გადასცა.*

ხელყუმბარით შეიარაღებული დამნაშავე, ვიდრე პოლიციას ჩაბარდებოდა, ხეყუმბარის აფეთქებით იმუქრებოდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა მას ხელზე ჰქონდა მიბმული. უცნობი დამნაშავე შვილის გათავისუფლებას მოითხოვდა, რომელიც შვიდი წლის წინ მკვლელობისთვის გაასამართლეს.

**"ჩემი ვაჟი უსამართლოდ დააკავეს და გაასამართლეს, ნამდვილი დამნაშავეები კი დღემდე თავისუფლად დადიან, რადგან მათ მფარველები ჰყავთ,"** - აცხადებდა უცნობი, რომელიც შენობის შესასვლელ კართან იდგა და გენერალური პროკურატურის შენობის აფეთქებით იმუქრებოდა.

გარდა სამართალდამცველები-



სამართალდამცველები მომხარი აფეთქების რამდენიმე ვერსიაზე მუშაობენ

სა, მასთან მოლაპარაკებებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფსიქოლოგებიც აწარმოებდნენ.

ამ ინციდენტამდე ერთი დღით ადრე, კიშინიოვის ცენტრში, ცენტრალურ მოედანზე ძლიერი აფეთქება მოხდა, რომლის შედეგად დაშავებულთა რიცხვმა, ბოლო მონაცემებით, 41-ს მიაღწია. 12 დაშავებული ჯერ კიდევ საავადმყოფოში რჩება. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, დაშავებულთაგან უმეტესობა 18-დან 25 წლამდე ასაკის მოქალაქეები არიან. მათ, ძირითადად კიდურების დაზიანება მიიღეს.

აფეთქებისას კიშინიოვის ცენტრში ათასობით ადამიანი იმყოფებოდა. შეკრებილები ქალაქის დღის აღსანიშნავ კონცერტს ესწრებოდნენ.

მომხდარიდან რამდენიმე წუთში შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მოლდოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს, უსაფრთოების და გენერალური პროკურატურის თანამშრომლები გაერთიანდნენ.

სამართალდამცველები მომხდარი აფეთქების რამდენიმე ვერსიაზე მუშაობენ. შესაძლოა, მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მიეცეს, თუმცა ვერსიებს შორის აქტიურად განიხილება ასევე ხულიგნობის ვერსიაც. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქდა საბრძოლო "РГ-42".

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მოწყობილობა დაზიანებული იყო და ის ბოლომდე ვერ აფეთქდა. ამ ვარაუდის საფუძველს ის დაზიანებები იძლევა, რომლებიც აფეთქების შედეგად დაშავებულ მოქალაქეებს აქვთ მიღებული.

როგორც ცნობილი გახდა, აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე, მოლდოვის პრემიერ-მინისტრის პირად ტელეფონზე ანონიმური ზარი განხორციელდა. ზარის ავტორი მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ფიზიკური განადგურებით იმუქრებოდა.

## გერმანული ენის

პროფესიონალი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი გთავაზობთ ენის შესწავლას სხვადასხვა, თქვენთვის მისაღები პროგრამით. სასკოლო პროგრამა, აბიტურიენტთათვის, ბიზნესგერმანული. სწავლენა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფებისთვის. მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

8 93 57 70 53

# პაკისტანის სამართალდამცავები თალიბთა დარტყმის ქვეშ

მარიკა იაშვილი

სულ ცოტა, 38 ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე პოლიციის საწვრთნელ ბაზებზე თალიბთა თავდასხმების სერიის შედეგად. შეიარაღებული თავდასხმა პოლიციელთა მომზადების ორ ცენტრსა და ლაჰორის ფედერალურ საგამოძიებო სააგენტოზე განხორციელდა.

ოფიციალურ პირთა განცხადებით, ლაჰორის ფედერალური საგამოძიებო სააგენტოს შენობაში 4 ბოევიკი მაშინ შეიჭრა, როცა იქ 300-დან 500-მდე ადამიანი იმყოფებოდა. ტერორისტთა წინააღმდეგ საგანგებო დანიშნულების ძალები გამოიყენეს. გავრცელებული ინფორმაციით, შენობის გათავისუფლებისას ოთხივე ბოევიკი და სამი პოლიციელი დაიღუპა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ბოევიკი დაესხა თავს მანვანისა და ბედიას რაიონებში მდებარე გადამზადების ცენტრებს, თუმცა ცნობილია, რომ ტერორისტებმა ხელყუმბარები და ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს. პოლიციასა და თავდამსხმელებს შორის ორმხრივი




სროლა შუადღემდე გრძელდებოდა. იქ დაიღუპა, სულ ცოტა, 24 ადამიანი: 8 ბოევიკი, 8 სამოქალაქო პირი და 8 პოლიციელი.

კიდევ ერთი თავდასხმა ქალაქ კოჰატში მოხდა. თვითმკვლელმა ტერორისტმა ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული მანქანა პოლიციის შენობის კედელთან ააფეთქა, რასაც ნახევარი შენობის დანგრევა მოჰყვა. 11 ადამიანი დაიღუპა. თვითმხილველთა თქმით, შემთხვევას, პოლიციელების გარდა, რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქეც ემსხვერპლა.

ბოლო ინფორმაცია ფეშევარიდან მოვიდა. იქ თვითმკვლელმა ტერორისტმა მანქანა სახელმწიფო დაწესებულების შენობასთან ააფეთქა. არიან დაშავებულები.

თავდასხმები, რომლებსაც ლახორში ცხოვრების პარალიზება მოჰყვა, იმაზე მეტყველებს, რომ ბოევიკები კარგად არიან ორგანიზებულნი, მათ შეუძლიათ კოორდინირებულად მოქმედება და შეტევის განხორციელება დაცულ ობიექტებზეც კი. თავდასხმებზე პასუხისმგებლობა ჯერ არც ერთ ორგანიზაციას არ აუღია, მაგრამ ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, თალიბების გაკეთებულია, რომლებმაც მსგავსი აქციები აქამდეც მოაწყვეს. სამხედროები მიიჩნევენ, რომ თალიბების თავდასხმები რეგიონში ბოლო პერიოდში პაკისტანის არმიის მიერ ჩატარებულ წარმატებულ ოპერაციებზე პასუხს წარმოადგენს. მათ იმის დამტკიცება უნდათ, რომ პაკისტანში ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეუძლიათ თავდასხმის მოწყობა. თუმცა ეს შეიძლება თალიბებს შორის შიდა დაპირისპირებისა და გავლენის მოპოვებისთვის ბრძოლის გამოძახილიც იყოს.

ბოლო კვირების განმავლობაში პაკისტანში რამდენიმე მასშტაბური თავდასხმა მოხდა. გასული კვირის ბოლოს რავალპინდში არმიის შენობაზე თავდასხმისას 19 ადამიანზე მეტი დაიღუპა. მომხდარზე თალიბებმა აიღეს პასუხისმგებლობა.

პაკისტანის პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარიმ განაცხადა, რომ ბოლო 11 დღის განმავლობაში მომხდარი თავდასხმები ხელისუფლებას ხელს ვერ ააღებინებს ქვეყნის ექსტრემისტებისგან გაწმენდის პოლიტიკაზე. შინაგან საქმეთა მინისტრ რეხმან მალიკის თქმით, მოწინააღმდეგემ პარტიზანული ომი დაიწყო. **"ერთი ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ მთელი ხალხი უნდა გაერთიანდეს და ალაჰის წყალობით ჩვენ გავიმარჯვებთ."**

# უნდა შეაიარაღოს საფრანგეთმა რუსეთი?

ფრანსუაზ ტომი

სახელმწიფო ინტერესების დაცვის ხელოვნება ქვეყნის დროებითი ინტერესებისა და მისი გრძელვადიანი მოთხოვნილებების ერთმანეთისგან ნათლად გამიჯვნაა. არსებულმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა, როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის მმართველებს შორეული პერსპექტივის ხედვის უნარი შეუსუსტა.

ეს ჭეშმარიტება მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი როდი შემოიფარგლება, იგი სტრატეგიულ საკითხებშიც იჩენს თავს. ზემოთქმულის ყველაზე ნათელი დემონსტრირებაა რუსეთისთვის "მისტრალის" ტიპის ვერტმფრენმზიდის სავარაუდო მიყიდვის შესახებ არსებული ინფორმაცია. შეიძლება თუ არა გონივრულ გადაწყვეტილებად შეფასდეს იმ ქვეყნის შეიარაღებაში მონაწილეობა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ თავისი მეზობელი ქვეყანა წელში გატეხა და ყველას დასანახად დაუფარავად ლამობს ყოფილ საბჭოთა სივრცეში დაკარგული ჰეგემონიის ძალით თუ ნებით აღდგენას? ნიშნავს თუ არა ეს, რომ საფრანგეთი მზად არის მოსკოვთან "სტრატეგიული პარტნიორობის" ხათრით თვალი დახუჭოს მომავალში კრემლის მიერ მომზადებულ აგრესიებზე, რომლებიც 2008 წლის სექტემბერში დაწყებული ენერგიული სამხედრო რეფორმის დასრულებისთანავე იქნება შესაძლებელი? ჩვენი თუ სხვა დასავლელი მმართველები იმ არგუმენტს იშველიებენ, რომ რუსეთს ეკონომიკური კრიზისი დიდი ხნით დაასუსტებს და ის (რუსეთი) ისედაც განწირულია დემოგრაფიული და სხვა შიდა პრობლემების გამო. მაშ, რატომ ვთქვათ უარი საკმაოდ შემოსავლიან სამხედრო თანამშრომლობაზე?

ევროპაში რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის სურვილი ერთობ დიდია. გვიზიდავს უკიდეგანო რუსული ბაზრის მოჩვენებითი მომხიბვლელობა, ინდუსტრიული დასავლეთ ევროპისა და მართალია, ნაკლებად განვითარებული, მაგრამ წიაღისეულით მდიდარი რუსეთის თავსებადობა. გვჯერა, რომ ეკონომიკური კრიზისით შესუსტებული რუსეთი უხიფათო გახდება. ყოველივე ეს ნიშნავს იმის არცოდნას, თუ რა სამყაროში ცხოვრობენ კრემლის მმართველები.

ისინი შიდა სირთულეებს მხოლოდ მაშინ აგდებენ სათვალავში, როდესაც ეს პრობლემები მათ ძალაუფლებას ემუქრება. არადა, ამ ხალხის გავლენა მთლიანად რუსეთზე იმდენად დიდია, რომ პუტინის რეჟიმის შესარყევად ნავთობის ფასების გაცილებით უფრო ხანგრძლივი დაღმასვლა იყო საჭირო. მეორე მხრივ, არსებული კრიზისი მათ საოცნებო შესაძლებლობებს სთავაზობს საგარეო-პოლიტიკაში მოზღვავებული ამბიციების ხორცშესასხმელად. კრიზისი აჩქარებს ამერიკის მარგინალიზებას, რუსეთის სამეზობლოში მდებარე ქვეყნების უმრავლესობის დესტაბილიზაციას და საშუალებას აძლევს მოსკოვს, მოახდინოს პროდასავლური ელიტის ისედაც მყიფე ფენის ნეიტრალიზება.

პუტინისეული შიდა სისტემის თვალსაჩინო კრახის მიუხედავად, რუსეთის მმართველები, როგორც არასდროს, გრძნობენ მათი ნეოიმპერიალისტური მონახაზისა და დასავლეთ ევროპის "ფინლანდიზაციის" პროექტის განხორციელების მოახლოებას. მათი პრიორიტეტები აშკარაა: მაშინ როდესაც რუსეთის მთავრობა უსახსრობის გამო ფედერაციის მოსახლეობის აღწერის გადადებას მოითხოვდა, პუტინმა აფხაზეთში რუსული სამხედრო ბაზების ასაშენებლად 15 მილიარდი რუბლის გამოყოფა გადაწყვიტა.

ისტორიული პრეცედენტები სიფრთხილისკენ მოგვიწოდებენ. 1945 წლის თებერვალში დასავლელი მმართველები იალტაში სტალინთან დათმობაზე წავიდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სისხლისგან დაცლილი რუსეთი პრიორიტეტად შიდა რეკონსტრუქციას დაისახავდა, ამისთვის დასავლური კაპიტალი და ტექნოლოგიები დასჭირდებოდა და ყოველივე ამის შედეგად მისი საგარეო პოლიტიკა შემრიგებლური გახდებოდა. მსგავსმა მიდგომამ სტალინს ნახევარი ევროპა ხელში ჩააგდებინა. ამ მხრივ რუსეთის ახლანდელი ხელისუფალნი წინამორბედი ცარისტი თუ კომუნისტი მმართველებისგან არაფრით განსხვავდებიან - მათთვის რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს მიზნების შენარჩუნება საკუთარი თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე მაღლა დგას.

მაშ, ნუღა შევიქმნით ილუზიებს, როდესაც რუსეთს თავდასხმითი იარაღით მოვამარაგებთ. ჩვენ ამით მხოლოდ სამომავლო კრიზისის მარცვლებს დავთესავთ. "მისტრალის" ტიპის ხომალდი რუსეთის სამხედრო ფლოტის შესაძლებლობებს და მის ბრძოლისუნარიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის. " 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ასეთი ხომალდი შავი ზღვის რუსულ ფლოტს საშუალებას მისცემდა, თავისი მისია, 26 საათის ნაცვლად, 40 წუთში შეესრულებინა," - განაცხადა რუსული სამხედრო ფლოტის მეთაურმა ვლადიმირ ვისოცკიმ. გაფრთხილება მიღებულია. რუსეთმა ნავთობისა და გაზის საშუალებით უკვე დაიწყო ევროკავშირისთვის საკუთარი ინტერესების თავსმოხვევა. ახლა საკითხავი ის არის, შევუწყობთ თუ არა სრულიად დაუფიქრებლად ხელს რუსული სამხედრო საფრთხის აღზევებას, რომელიც ესოდენ დიდხანს აწვა ევროპას ტვირთად?

*"მონდი" 06.10.2009*

# აიათოლა ალი ჰამენეი, სავარაუდოდ, გარდაიცვალა

ივა შილაკაძე

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ირანის სულიერი ლიდერი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი აიათოლა ალი ჰამენეი გარდაიცვალა. ეს ინფორმაცია ირანის ხელისუფლებას ოფიციალურად არ გამოუცხადებია. ამ თემაზე სტატია ბრიტანულმა "დეილი ტელეგრაფმა" პორტალ "რეალიტი ეუ"-ზე (Realite EU), "ტვიტერზე" (Twitter), აგრეთვე ირანის ოპოზიციონერებზე, ძირითადად მირ-ჰოსეინ მუსავისა და მეხდი კარუბის მომხრეებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა. შესაბამისად, ინფორმაცია გავლენიანი და სერიოზული სააგენტოების ვებ-გვერდებზეც არ დევს.



სავარაუდოდ, ჰამენეი 12 ოქტომბერს გახდა ცუდად და 14 ოქტომბერს გარდაიცვალა. ირანში ვარაუდობდნენ, რომ ამ ინფორმაციას 15 ოქტომბერს გამოაცხადებდნენ ოფიციალურად, მაგრამ ეს არ მოხდა. ალი ჰამენეის გარდაცვალების არაპირდაპირ დამადასტურებლადდ ის ფაქტები მოჰყავთ, რომ ირანში სამთავრობო შენობებს შავი ლენტი შემოავლეს, ტელევიზიის ყველა წამყვანი შავ ტანსაცმელშია გამოწყობილი და ქალაქში ხალხის თავშეყრის თავიდან ასაცილებლად მოხალისეთა გასამხედროებული რაზმების "ბასიჯის" მებრძოლები პატრულირებენ.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ბოლო დროს აიათოლა ალი ჰამენეის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებული იყო. აცხადებდნენ, რომ იგი ბევრს ნერვიულობდა ზაფხულის პოლიტიკური კრიზისის გამო, როდესაც პრობლემების მშვიდობიანად მოგვარება ვერ მოხერხდა და გამოსვლების სისხლიანი ჩახშობის შედეგად, სულ ცოტა, 85 ადამიანი დაიღუპა. 70 წლის ჰამენეი თავის დროზე ირანის რევოლუციის "შემოქმედის" აიათოლა ჰომეინის უახლოესი თანამებრძოლი იყო. 1981-1989 წლებში ირანის პრეზიდენტის პოსტი ეკავა, ჰომეინის გარდაცვალების შემდეგ კი მისი ადგილი ერგო. ჰყავს 7 შვილი, აქედან ერთს - მოჯტაბა ჰამენეის თავის შემცვლელად ამზადებდა. ზოგი ინფორმაციით, მოჯტაბა ქვეყნის მართვაში უკვე მონაწილეობს. ჰამენეის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ამ სამი წლის წინაც გავრცელდა, მაგრამ არ გამართლდა.

# რევიუ

## რუსი ბაშმაჩკინი თუ იტალიელი აკაკი?

### GESCO COMPANY-ს "შინელი" მარჯანიშვილის თეატრში

თამარ კიკნაველიძე



თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დასასრულს უახლოვდება. მის ფარგლებში შემოთავაზებული დადგმებიდან ქართველი მაყურებლისთვის საინტერესო ბევრი აღმოჩნდა. მათ შორის, ერთმოქმედებიანი წარმოდგენა, სახელწოდებით "შინელი", რომელიც მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დიდი ბრიტანეთის შემოქმედებითმა გაერთიანებამ წარმოადგინა.

საფესტივალოდ გამოცემულ ბუკლეტში ვკითხულობთ, რომ კომპანია GESKO ამიტ ლაჰავმა და ალ ნეჯარმა 2001 წელს ჩამოაყალიბეს. მათი თანამშრომლობის მიზანი იყო თეატრალურ ხელოვნებაში ახალი გზების ძიება და აუდიტორიის წარმოსახვის გამოცოცხლება. ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ იმისათვის, რომ შეესწავლათ მსახიობის სხეულის შესაძლებლობები, მისი მოძრაობის კანონი და სცენაზე მოქმედების პრინციპები. მათი ჩანაფიქრის განხორციელება კი მსახიობებისგან დიდი ფიზიკურ მომზადებას მოითხოვდა...

ფიზიკური მომზადება - აი, ეს არის კომპონენტი, რომლითაც GESCO COMPANY-ს წარმომადგენლები ნამდვილად გამოირჩევიან. მათი პლასტიკა ისეა დამუშავებული, რომ სხეულის ფლობის ოსტატობას წარმოაჩენს. შემსრულებელთა ჟესტი, მიმიკა და მოძრაობა გამომსახველია, მაგრამ ნაკლებად მრავალფეროვანი - ერთხელ მიგნებულს ხშირად იმეორებენ. თუმცა, ეს, შესაძლოა, იმითაც იყოს განპირობებული, რომ ამიტ ლაჰავმა (რეჟისორი) აქცენტი გააკეთა განწყობაზე, რომელიც დეპარტამენტებშია გამეფებული და მოხელეთა {მუშაობის მექანიკურ რიტმს გამოხატავს.

ამის გარდა, სპექტაკლში ხაზგასმით არის ნაჩვენები ის, რაც გოგოლის ნაწარმოებში არ იკითხება, კერძოდ: სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მოხელეთა დამოკიდებულება და მათი სტატუსი საზოგადოებაში. როგორც ჩანს, ეს პრობლემა უცხოეთში აქტუალურია და ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთა კომპლექსადაც აღიქმება. მაგალითად, აკაკი, რომელსაც თავად ამიტ ლაჰავი განასახიერებს, იტალიელია და დეპარტამენტში ყველაზე დაბალი თანამდებობა უჭირავს. მასზე წარჩინებულთაგან ერთ-ერთი იაპონურად საუბრობს, უფროსი კი დირექტივებს ფრანგულ ენაზე იძლევა. მათი თანამდებობრივი უპირატესობა სცენაზე პერსონაჟთა ადგილების სიმაღლითაც განისაზღვრება. ყველაზე მაღლა უფროსი ზის, ყველაზე დაბლა კი - აკაკი, პერსონაჟი, რომელსაც გოგოლის ბაშმაჩკინთან საერთო ცოტა აქვს. აი, ამიტომაც დავარქმევდი ამ წარმოდგენას "რამდენიმე ეპიზოდი იტალიელი ჩინოვნიკის ცხოვრებიდან".

GESCO COMPANY-ს წარმომადგენლები თავს იწონებენ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შემსრულებელთა პლასტიკით, ასევე, დეკორაციათა ოსტატურად გამოცვლითა და გამოყენებით (მხატვარი - ტი გრინი), სპეციფიური განათებით (მხატვარ-გამნათებელი - ჯეიმს ფარნკომბი), რომელიც წარმოდგენის კინემატოგრაფიულ ნიმუშად აღქმას უწყობს ხელს და ფარავს იმ ტექნიკურ ნიუანსებს, რომელთა წყალობით აკაკი ჰაერში იწევა და წარმოსახვით სამყაროში ინაცვლებს, სცენების დამუშავებით... თუმცა, რაც შეეხება სიუჟეტს და 2008 წლის 5 მარტს The Contact Theatre-ში გაცოცხლებული დადგმის კავშირს ნაწარმოებთან, რომელიც ნიკოლოზ გოგოლმა დაწერა, რეჟისორმა მოთხრობიდან ფაბულა გამოიყენა და სცენები ისე ააგო, რომ მათი განხილვა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლება.

"ხელში ჩაიგდე შინელი, მოიპოვე გოგონა და შეცვალე სამყარო..." - ასეთი მინაწერი ახლავს დადგმას, სადაც რეჟისორს გოგოლისეული აქცენტები სათავისოდ აქვს შეცვლილი. მას დაკარგული აქვს სიუჟეთური ხაზი, გმირის ხასიათი, რომელიც მოთხრობაში ძველი შინელის ტარებისა და ახალის შეძენის აუცილებლობაში იკითხება. საკონცერტო ნომერს წააგავს სცენა, რომელშიც ამიტ ლაჰარი მიკროფონით ხელში მღერის (კომპოზიტორი - დეივ პრაისი). თუმცა, მთლიანობაში, წარმოდგენა საინტერესო აღმოჩნდა და მაყურებელმა ოვაციით დააჯილდოვა: ნატალია აიტონი, ამიტ ლაჰავი, რობერტ ლატეკი, დეიოვ პრაისი, დაი ტაბუჩი, ფრანკოის ტესტორი, სირენა ტოკო.

"კომპანია GESCO გვთავაზობს გოგოლის შედევრის თავისებურ მომაჯადოებელ ვერსიას. წაგებული მოთამაშის სურვილები კონცენტრირებულია ახალი შინელის შეძენაზე და საოცნებო ქალის გულის მოგებაზე. ეს სურვილები გადაიქცევა მისი ყოველდღიური ცხოვრების იდეაფიქსად. რეალობა და მიუწვდომელ სიყვარულზე გროტესკული ფანტაზია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. სპექტაკლი არის მწვავე კრიტიკა თანამედროვე მომხმარებლობის პნინციპებზე"-, - წერს Guardian-ი.

## საერთაშორისო ტრეინინგი მუზეუმებისათვის

გუშინ დაიწყო და 17 ოქტომბრამდე გაგრძელდება ტრეინინგი, სახელწოდებით "საგანმანათლებლო პროგრამები და კულტურული აქციები მუზეუმებში", რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონის მუზეუმების მენეჯერებისთვის ეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ტრეინინგი აგრძელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ICOM-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) თანამშრომლობითა და თანადაფინანსებით დაგეგმილი და განხორციელებული სემინარების ციკლს სამხრეთ კავკასიის რეგიონის (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) მუზეუმთა მენეჯერებისათვის.

ტრეინინგი ჩატარდება ICOM CECA-ს (საგანმანათლებლო პროგრამებისა და კულტურული აქციების საერთაშორისო კომიტეტი) ექსპერტების - მარი-კლარტე ო'ნილის (ლუვრის მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების ინსტიტუტის პროფესორი, საფრანგეთი) და ნიკოლ გეშე-ქონინგის ბრიუსელის ხელოვნების სამეფო აკადემიის პროფესორი, ბელგია) ხელმძღვანელობით.

ტრეინინგში მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის მუზეუმების საგანმანათლებლო პროგრამების 18 მენეჯერი, რომლებიც გაეცნობიან მუზეუმებში საგანმანათლებლო პროგრამებისა და კულტურული აქციების განხორციელების მიმართულებით არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას, ანალოგიური პროგრამების შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მეთოდებს.

პროექტი დაფინანსდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ICOM-ის მიერ (Support to the ICOM network: implementation of the ICOM Strategic Plan for 2008-2010 პროგრამის ფარგლებში). ის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელშეწყობით, დიუმას ცენტრში გაიმართება.

ტრეინინგის ჩატარება ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიმდინარე სამუზეუმო რეფორმას - თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საქართველოს მუზეუმებში სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამებისა და კულტურული აქციების განხორციელებას, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის რეგიონის მუზეუმების ურთიერთდაახლოებას და თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვას.

*"24 საათი"*



ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.

# პიანისტთა კონკურსის დასასრული აპოლიტიკური შედეგით

ნინო ქვანია
**მუსიკისმცოდნე**




თავიდან დაიწყო ასე: 140-მდე განაცხადი 18 ქვეყნიდან. კონკურსზე დაუშვეს 43 მონაწილე - 15 ქვეყნიდან, მათგან **13** ქართველი. თბილისის პიანისტთა IV საერთაშორისო კონკურსი, თავისი ოთხი ტურით, სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზში ორი დღის წინ დასრულდა.

ამ კონკურსის ისტორიის დასასრული წარმოდგენილი ტექსტად მეტად გრაფიკულად გამოიყურება. და აი, ისიც:

**I პრემია - ევგენი ბრახმანი** (რუსეთი) - - 10, 000 აშშ დოლარი

**II პრემია - დინარა კლინტონი** (უკრაინა) - 7, 000 აშშ დოლარი

**III პრემია - ვახტანგ ჟორდანია** (საქართველო),

ძბოზ მეიერის პრემია"- **შტეფან კონჩალი** (პოლონეთი ) - 5, 000 აშშ დოლარი

**IV პრემია - ჯულიანო მაცოკანტე** (იტალია) - - 4, 000 აშშ დოლარი

**V პრემია - შიპიონე სანჯოვანი** (იტალია) - - 3, 000 აშშ დოლარი

**ჟიურის გადაწყვეტილებით "გრან-პრი"** - 15, 000 აშშ დოლარი - **არ გაიცა**

**სპეციალური ჯილდოები:**

თბილისის მერიის ჯილდო - არტისტიზმისთვის - ბრინჯაოს მცირე ქანდაკება "ჯადოსნური ბგერა" - ევგენი ბრახმანს (რუსეთი). საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ჯილდო ნახევარფინალში სოლო პროგრამის საუკეთესო შესრულებისათვის - მოოქროვილი ბრინჯაოს მცირე ქანდაკება "მუზა" ევგენი ბრახმანს (რუსეთი). "კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციის" დამფუძნებლის და დირექტორის, საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის სტიპენდია - საუკეთესო ქართველ შემსრულებელს - 1, 000 აშშ დოლარი - ვახტანგ ჟორდანიას (საქართველო). საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის პრემია - II ტურში, კლასიკური სონატის საუკეთესო შესრულებისათვის - 1, 000 აშშ დოლარი ვახტანგ ჟორდანიას (საქართველო). თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზის პრიზი - კომპაქტ-დისკი III ტურის ჩანაწერით ნახევარფინალის ყველა მონაწილეს. საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის პრემია - "ალფრედ კორტოს სახელობის პრემია" - რომანტიული მუსიკის საუკეთესო შესრულებისათვის - 3, 000 აშშ დოლარი - ნათია ბერაიას, ანა ღლიღვაშვილს (საქართველო). პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს პრემია - შოპენის ეტიუდის საუკეთესო შესრულებისათვის - 1, 000 აშშ დოლარი - დინარა კლინტონს (უკრაინა). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს პრემია - ბახის პრელუდია და ფუგის საუკეთესო შესრულებისათვის - 1, 000 აშშ დოლარი -თინათინ კიკნაძეს (საქართველო). იტალიის საელჩოს პრემია - 1000 აშშ დოლარი - სკარლატის სონატის საუკეთესო შესრულებისათვის - ანდრეს ანაცკოს (ეკვადორი). ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს პრემია 1, 000 აშშ დოლარი - ყველაზე ახალგაზრდა ნახევარფინალისტს - ანა გოგავას (საქართველო). კორპორაცია BAGEBEY CITY GROUP-ის პრემია - ქართველ მონაწილეს ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის - 1, 000 აშშ დოლარი თინათინ კიკნაძეს (საქართველო). "ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსი"-ს პრემია - უცხოელ მონაწილეს ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის - 1, 000 აშშ დოლარი და კონცერტი (თბილისი, საქართველო, 2010, სექტემბერი) დინარა კლინტონს (უკრაინა). საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა დახმარების ფონდ SOLO-ს პრიზი - საუკეთესო ქართველ შემსრულებელს - კონცერტი ვახტანგ ჟორდანიას (საქართველო). მაია ადამია-გრიფინის წამახალისებელი პრემია - ფინალს მიღმა დარჩენილ საუკეთესო შემსრულებელს - 500 აშშ დოლარი - ნათია ბერაიას (საქართველო).

თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზის პრიზი - კომპაქტ-დისკი III ტურის ჩანაწერით ნახევარფინალის ყველა მონაწილეს გადაეცა. საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცველია **საკონცერტო ანგაჟემენტები კონკურსის გამარჯვებულთათვის.**

***

**ნ.ქ. - ქ-ნო მანანა, პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი დასრულდა. გამოცხადდა შედეგები. მოხდა ისე, რომ გრან-პრი არ გაიცა, I პრემია კი დაიკავა რუსეთის წარმომადგენელმა - ევგენი ბრახმანმა. თქვენ, როგორც ჟიურის თავჯდომარე, სრულიად იზიარებთ ჟიურის გადაწყვეტილებას?**

**მ.დოიჯაშვილი -** როგორც წესი, ბოლო ტურის გამოსვლა ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჟიურიზე, რომელიც, რატომღაც, ნაკლებად უწევს ანგარიშს წინა ტურების მიღწევებს. მოხდა ისე, რომ ფინალის უძლიერესი მონაწილე ევგენი ბრახმანი აღმოჩნდა. შესაძლებელია, ბევრი რამ იყო სადაო მის გამოსვლებში, მაგრამ ვთვლი, რომ სწორად გადანაწილდა ადგილები. კონკურსი არის კონკურსი - როდესაც ჟიურის 13 წევრი გადაწყვეტილებას იღებს, არ შეიძლება მას არ დაეთანხმო.

**- კონკურსის დაწყებამდე, მონაწილეების მიერ გამოგზავნილი აუდიო ჩანაწერებისა და მათი ბიოგრაფიების საფუძველზე განაცხადეთ, რომ წლევანდელი კონკურსის დონე ძალიან მაღალი იქნებოდა. გამართლდა თქვენი მოლოდინი?**

**-** მიუხედავად იმისა, რომ გრან-პრი არ გაიცა, მოლოდინი ნამდვილად გამართლდა. დონე მართლაც შთამბეჭდავი იყო - თითოეულმა მონაწილემ მაღალი საშემსრულებლო კლასი აჩვენა. თუმცა, მინდა გამოვხატო ჩემი განსაკუთრებული გულისტკივილი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ფინალში მხოლოდ ერთი ქართველი პიანისტი მოხვდა. სამწუხაროდ, კონკურსებზე ასეთი რამ ხშირად ხდება - შენი ხედვა ჟიურის საერთო აზრს ყოველთვის არ ემთხვევა.

**- თქვენ ხედავდით ვახტანგ ჟორდანიას გარდა სხვა ქართველებსაც ბოლო ექვსეულში?**

- როგორც ჟიურის წევრს და მის თავჯდომარეს, უფლება არ მაქვს გავაკრიტიკო ჟიურის გადაწყვეტილება. თუმცა, როგორც მსმენელმა, მინდა გულისტკივილი გამოვხატო იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ანა ღლიღვაშვილი და ნათია ბერაია - უნიჭიერესი ახალგაზრდა ქართველი პიანისტები - ვერ მოხვდნენ ფინალში. მაგრამ ეს იყო ჟიურის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილება, რომელშიც ჩარევის უფლება მე არ მაქვს. თქვენ ხომ იცით, რომ კონკურსის წესდების მიხედვით, ჟიური არ მსჯელობს კანდიდატების შესახებ, მხოლოდ ხმას აძლევს შემდეგ ტურში მათი გადასვლის საკითხს.

**- სხვათაშორის, ასეთი შედეგი ადასტურებს თქვენს სიტყვებს...**

- მე არასოდეს ვერევი გადაწყვეტილებების მიღებაში. კარგად მოგეხსენებათ, რა ხდება ბევრ კონკურსზე; რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ; მაგრამ შელახული იმიჯის მქონე კონკურსების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ამიტომაც, მე არასოდეს მივმართავ რაიმე სახის ზეწოლას ჟიურის წევრებზე. ეს ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია!

**- ჟიურის ყველა წევრმა ჩვენთან ინტერვიუებში ერთხმად აღნიშნა, რომ პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი ორგანიზების თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის კონკურსია. თქვენ, როგორც მის მთავარ ორგანიზატორს, მაინც ხომ არ გექნებათ რაიმე შენიშვნები ამ მიმართულებით? ხომ არ აპირებთ ცვლილებების შეტანას, სიახლეების დანერგვას?**

- რა თქმა უნდა, ვაპირებ. ცხოვრება ხომ წინ მიდის! ყოველთვის, როდესაც მიპატიჟებული ვარ ამა თუ იმ კონკურსზე, ვაკვირდები მას და შემდეგ, თბილისის კონკურსის ორგანიზებისას, ვითვალისწინებ მიღებულ შთაბეჭდილებებსა თუ გამოცდილებას. ორგანიზება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ჟიურის წევრების, საპატიო სტუმრებისა და, რა თქმა უნდა, მონაწილეებისთვის კომფორტული გარემოს შექმნას. ყველა ღელავს ამ ორი კვირის მანძილზე, ამიტომ, ზედმეტი სტრესის თავიდან აცილებისთვის აუცილებელია, ყოველი დეტალის ზედმიწევნით დაგეგმვა და გათვლა. ახალგაზრდობაში უამრავ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა და ზუსტი წარმოდგენა მაქვს იმაზე, თუ რა სჭირდება კონკურსანტს, ჟიურის წევრსა და სტუმარს.

**- ქ-ნო მანანა, მესმის, რომ ხელოვნება და პოლიტიკა შორს უნდა იდგნენ ერთამენთისგან, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველომ კეთილშობილურად გადასცა უმაღლესი ჯილდო რუსეთის წარმომადგენელს. გასაგებია, რომ იგი ამას იმსახურებდა, მაგრამ მაინც... რას იტყვით ამ ფაქტთან დაკავშირებით?**

- იცით, საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ხელოვნებაში პოლიტიკა არასდროს ერევა. ჩვენ ობიექტურად გამოვავლინეთ გამარჯვებული და ვაჩვენეთ მსოფლიოს ჩვენი ტოლერანტობა და კეთილშობილება. ეს განსაკუთრებით დასაფასებელია, რადგან თბილისის კონკურსს აქვს სწორედ იმის ამბიცია, რომ იყოს სამართლიანი. საბოლოო შედეგები ხაზს უსვამს ამ ამბიციის მართებულობას.

P.S. კონკურსის საზეიმო დახურვაზე ექვსივე რჩეული მსმენელის წინაში წარსდგა. მათ თავიანთი ოსტატობა კიდევ ერთეხლ დაასაბუთეს - რახმანინოვი, ბახი, ლისტი, შოპენი და ა.შ... კონკურსის ორგანიზატორები ერთი წლით დაგვემშვიდობნენ.

INTELLECT CENTER

## დიდი წარმატება, სწორი არჩევანით იწყება!

შპს "ინტელექტ ცენტრი" ერთ-ერთი მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც თავმოყრილნი არიან ერთ გუნდად შეკრული პროფესიონალთა მთელი ჯგუფი.

შპს "ინტელექტ ცენტრის" ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც პროფესიულ ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ახალი სპეციალობის შეძენაში ესაჭიროებათ ისეთი აუცილებელი სპეციალობების დაუფლება, რომლებიც ჩვენს სასწავლო ცენტრში ისწავლება და რაზეც დღეისათვის ნებისმიერ ინტელექტუალურ სამსახურში, (ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი,) მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.

ჩვენი მსმენელები არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ ჩვენთან ახალ სპეციალობას იძენენ, ან კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.

ინტელექტ ცენტრის" კურსდამთავრებულები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სპეციალობით, სადაც სრულყოფილად იყენებენ ჩვენთან მიღებულ ცოდნას.

გთავაზობთ სასწავლო პროგრამებს:

1. კომპიუტერული პროგრამების სრული პაკეტი-როგორც დამწყებთათვის ასევე სხვადასხვა სპეციალისტად მოსამზადებელი კურსები
2. საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
3. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები - (oris, super-fin, info)
4. ინგლისური ენა - საკომუნიკაციო, ბიზნეს და სპეციალიზირებული სასერტიფიკატო კურსები ( FCE ; PRE TOEFL; TOEFL; IELTS; GRE; )
5. ბიზნეს ადმინისტრირება -(მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, სამეწარმეო სამართალი, საგადასახადო საქმე, ფსიქოლოგიური ტრენინგი)
6. მენეჯერული მართვა და აღრიცხვა - მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამა
7. ფინანსური მენეჯმენტი
8. საგადასახადო საქმე
9. სპეციალური ცხრათვიანი კომპლექსური კურსები
10. ბიზნეს ფსიქოლოგიური ტრენინგები - (გაყიდვების ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია და პროექტის მენეჯმენტი)
11. უნარ-ჩვევების მოსამზადებელი კურსები

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

სწავლის ღირებულების გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით.

შპს "ინტელექტ ცენტრი" აგრეთვე გთავაზობთ

ბუღალტრულ, საგადასახადო, ფსიქოლოგიურ, ბიზნეს კონსულტაციებს

და სრულ კომპიუტერულ სერვისს.

ჩვენთან არსებული ვებ სტუდია დაგიმზადებთ პროფესიონალურ ვებ გვერდებს, შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას და მონაცემთა ბაზას.

დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი

www.intelc.ge

მის: კარგარეთელის ქ. N9, მე-2 სართ. ალმაშენებლის 133-ის კუთხეში

ტელ: 958112; 958113; 893618212;

www.intelc.ge

e-mail:intellectcenter@yahoo.com

ნინო მღებრიშვილი - სასწავლო ცენტრის მენეჯერი

# რთველი



ზაზა ფარუაშვილი

ბინაც მაქვს და ოჯახიც მყავს, მაგრამ მაინც ქუჩაში ვგდივარ და მშია. ცოტა კი ვნანობ, რომ აგულივით უხმოდ ვაგინე ყველას, "პიპინიასაც" კი და თან ვუთხარი, თქვენი არაფერი მინდა-მეთქი. ისე გამოვვარდი, ხუთი ლარიც კი არ ამიღია მაცივრის თავიდან.

ეს კიდევ არაფერი, "ორანჟზე" 13 დოლარი მაქვს დარჩენილი, შემიძლია, გამოვიტანო და გავძლე, მაგრამ ბინიდან რომ გამოვედი, ისიც შევძახე, საერთოდ არაფერი მინდა-თქო და სიტყვას ველარ გადავდივარ. თან ქართულის მასწავლებელი მახსენდება. ეჰ, მაია მასწ! მაია მასწ! ის გაკვეთილები მაინც გამეცდინა, მაღალ მატერიებზე რომ გვესაუბრებოდით. მაგრამ რას გავაცდენდი, ისე მიყვარდით. ნეტავ ახლა სად ხართ. რა ვუყო ამ ჩემს თავს.

ცოტა ხნით დაღონებული ვიჯექი განათებულ ბაღში და სიგარეტის ნამწვავებს ვითვლიდი. ჩემი ქალაქის მეეზოვეები ყოველ სამ დღეში ერთხელ გვიან აქაურობას, მაგრამ 150 "ბიჩოკამდე" მაინც დავთვალე. მერე კარგა ხანს ჩვენი უბნის ეკლესიის გუმბათს ვუყურებდი და ვნაღვლობდი, რომ ღამის თევის ლოცვა არ იყო, როცა ტაძარში მრავალი სანთელი ანთია და ძალიან თბილა. შუა ღამე იქნებოდა, პირჯვარი გადავიწერე, ხელები ჯიბეებში ჩავიწყვე და ქალაქისკენ დავეშვი.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი თავისუფალი სიარული ჩემი ერთადერთი ჰობია, მაგრამ დაუსრულებელი პრობლემების გამო, ამასაც ვერ ვახერხებდი. იმ ღამეს კი სიამოვნებით ვუსმენდი და კორპუსების ორლობეებსაც ვასმენიებდი საკუთარი ქუსლების ხმას. ვფიქრობდი, რომ ასე ფეხით მთელი ქვეყნის შემოვლასაც შევძლებდი და ცოტა გუნებაც გამომიკეთდა.

პირველი გაჩერება ხეებით დაფარულ გაზონთან მომიხდა. ძველმანების, გადაგდებული ლეიბების, საბნებისა და ადეალების გროვაში ადამიანის სახე შევნიშნე. ლამპიონის შუქი ფოთლებში გაპარულიყო და პირდაპირ სახეზე დასცემოდა. მივუახლოვდი თუ არა, მოხუცი ქალის მომღიმარი ნაოჭები დავინახე. შიშის გრძნობა ჯერ გაოცებამ შეცვალა, მერე მოულოდნელმა და აუხსნელმა სიხარულმა.

- აქ რა გინდა, ბებო, რას აკეთებ?

- რას ვაკეთებ? - ვცხოვრობ, - ისე სხარტად და მსუბუქად მიპასუხა, რომ ჩემი შეკითხვის შემრცხვა კიდეც.

- აქ როგორ ცხოვრობ, სახლი არა გაქვს?

- სახლიც მქონდა და ყველაფერიც, მაგრამ გაგვიჭირდა მე და ჩემს ბიჭს, ბინა დავაგირავეთ, ველარ გამოვისყიდეთ და დავრჩით ქუჩაში.

- შენი ბიჭი სად არის?

- რა ვიცი, ღამეს ვიღაც-ვიღაცეებთან ათევს. დღე რაღაც-რაღაცეებზე მუშაობს.

- შენც ვერ წაგიყვანს იმ ვიღაც ვიღაცეებთან?

- არსადაც არ წავყვები. ჩემი სახლი ეს არის და ძალიან კარგადაც ვარ, სუფთა ჰაერზე.

- რას ჭამ?

- ხომ ხედავ, გარშემო რამდენი კორპუსია. კეთილი ხალხი ლუკმა პურს მაწვდის. ჩემი ბიჭიც მოდის ხოლმე, რაღაცა იმასაც მოაქვს. მეტი რა მინდა.

- არ გაცივდე, ან რამე არ მოგივიდეს, არ გეშინია?

- ერთი წელი აქ ვარ, მთელი ზამთარი გარეთ გავატარე და ცუდად არ გავმხდარვარ. რისი უნდა მეშინოდეს?

- თოვლი? წვიმა?

- აი, რამხელა ცელოფანი მაქვს, გადავიფარებ და მორჩა.

- მოხუცებულთა სახლში არ გინდა?

- არა! ჩემი ქალიშვილი საზღვარგარეთიდანაც მაგას ამბობს, მოხუცებულთა სახლში მიიყვანეთ და ფულს მე გადავიხდიო. რა მინდა მაგ ციხეში. აქ მირჩევნია. ჩემი სახლი ეს არის და ძალიან კარგადაც ვარ.

- კარგი, ბებო, კარგი. წავალ, ახლა, მე. არაფერი მაქვს, თორემ რამეს დაგიტოვებდი.

- არაფერიც არ მინდა, შვილო, ყველაფერი მაქვს, დიდი მადლობა. შენ სადლა მიდიხარ ამ შუაღამისას?

- რა ვიცი, ოჯახში ვიჩხუბე და გამოვედი.

- მოდი აქ დაჯექი, გათბი. გათენდება და სახლში წადი. სახლი თუ გაქვს, მაგას არაფერი სჯობს.

- არა, არა, დიდი მადლობა. წავალ, გავივლი. მერე გნახავ. არ ვიცოდი, აქ თუ იყავი. რამდენი ხანია ამ მოკლე გზით აღარ წამოვსულვარ.

თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში ლამაზი ვიტრინები სულ ჩაუმტვრევიათ და საძინებლები მოუწყვიათ. ვიტრინის ფუძეზე თავისუფლად თავსდება ერთი ფეხსაცმელებგახდილი და წინდებაყროლებული კაცი. სულ ხუთი ასეთი წამოსაგორებელია, ამიტომ ვიღაც-ვიღაცეები ფეხზეც დგანან. ვერ ვიტყვი, რომ ყველა უსახლკარო გლახაკია. უმეტესობას ამგვარი არაფერი ეტყობა. ალკოჰოლისგან მოლრეცილი სახე კი ყველას ამშვენებს.

ერთი ჩემი ნაცნობი კი, რომელიც მეტროს ვაგონებში წვრილმანებს ყიდდა და ყველასაგან ნაყვავილარი სახითა და მიჭყლეტილი ცხვირით გამოირჩეოდა, სრულიად ფხიზელ მდგომარეობაში ნერვიულად ბოლთაობდა მწეველებს შორის.

- ვა, ვაჟა! როგორ ხარ? - მივესალმე რიხიანად.

- მადლობთ, კარგად. თქვენ საიდან მიცნობთ?

- კაი, თუ ძმა ხარ! შენ ვინ არ გიცნობს. მეტროში კბილის პასტებს და რაღაცეებს არ ყიდდი?

- ეჰ, ეგ როდის იყო. ვყიდდი, როგორ არა. მაშინ კარგი იყო, 20-30 ლარი მრჩებოდა დღეში. მე და დედას გვყოფნიდა.

- მერე?

- მერე მეტროში ვაჭრობა აიკრძალა და დავრჩით ასე უფულოდ. სოფელში მინდოდა გადასვლა, მაგრამ დედაჩემს მუშაობა აღარ შეუძლია, მე კი სოფლის არაფერი ვიცი და ველარ წავედით. ფულიც ხომ გვინდოდა, რომ ან ღორი გვეყიდა, ან ქათამი. ვიყავი, ვიყავი ასე და ვერაფერი რომ ვერ მოვახერხე, მათხოვრობა დავიწყე. კარგი ადგილები ყველა დაკავებულია. მელიქიშვილზე დავდექი. სახეს ვმალავ და ლუკმა-პურს ისე ვშოულობ, მაგრამ ხანდახან გასვლა მრცხვენია. არ ვიცი, რა მომდის... რა, და... ეს გოგოები გამაგიჟებენ. ვინც მომეწონება და რამეს ვეტყვი, ყველა მიცილებს. რა ვქნა, მეც ხომ კაცი ვარ... რახან გაჭირვებული ვარ, ცოლი ვერ უნდა მოვიყვანო? თავს ხომ არ მოვიკლავ?

- ჰოო, გოგოები, გოგოები. რა ვიცი, ძმაო, რა გითხრა. გულის გატეხვა რომ არ შეიძლება, ეგ ვიცი. დედაშენმა რაღა ქნას.

- არ ვიცი, არაფერი არ ვიცი...

- სახლში რატომ არ მიდიხარ.

- დღეს არ გავსულვარ მელიქიშვილზე, ამ გოგოებზე ვნერვიულობდი, არაფერი მიშოვია და...ხვალე მივალ სახლში.

- კარგი, აბა, წავედი. კარგად იყავი.

- კარგად ბრძანდებოდეთ.

გაზონელი ბებოსგან გახალისებულს ისევ სული შემეხუთა და ბაღში ამოვედი. აქაც იწვნენ და ხვრინავდნენ, მაგრამ ბევრი სკამია და ყველა ვერ დაეკავებინათ. გამთენიისას ნელ-ნელა გაიზმორნენ და წამოიზლაზნენ ჩემი თანაპარკელები. მეეზოვეებისა და მანქანების ხმაური ნებივრობის საშუალებას მაინც აღარ იძლეოდა. თვალები მოიფშვნიტეს, სახეები დაიზილეს, გატოკდნენ, ერთმანეთს გადახედეს და წაიზლაზნენ. ქვემოდანაც ამოიზლაზნენ თვალებდასიებული ტიპები და ცოტა ხანში მათი საძინებლები გარემოვაჭრეებმა დახლებად გადააქციეს.

სრულიად ზედმეტი ვიყავი ქვევითაც და ზევითაც. რაღა მექნა, მეც ავიწურე სკამიდან, გავიზმორე და დავდექი. პირველად ჩემს ცხოვრებაში არ ვიცოდი, რა გამეკეთებია. გუშინ რომ ხელფასი ყოფილიყო, ასე უხეიროდ სახლიდან აღარ გამოვვარდებოდი.

ისევ ბებიაჩემმა მიშველა. არა, არა, საიქიოდან ლიმუზინით არ "გაჩითულა" და არც რესტორანში დავუპატიჟებივარ, მაგრამ განსაკუთრებული გაჭირვების დროს ყოველთვის გამახსენებს, მომანატრებს ხოლმე თავს და მერე რაღაცნაირად მშველის. კახეთში, მისი მიტოვებული სახლისაკენ გამიწია გულმა. ბანკომატიდან ბოლო 20 ლარი გამოვიტანე და სადგურზე გავედი.

- ბიიჯოუ! აქ რა გინდა შენა? - მომესმა ჩემი შორეული დეიდაშვილის ხმა.

- შენ რაღა გინდა.

- მეე? მე შინ მივდივარ, არ მოიდიხარ? - გადამკოცნა, ერთი მაგრად.

- არა, კაცო, სად წამოვალ.

- მა, საითკენ.

- რავი, აბა.

- იი! გიჟია ესა. წამო, ბიჯო, მამაჩემი ვენახსა კრეფამს, უშველოთ მაინცა.

- ?!

- ჰა, რას გაყუჩდი აჯამივითა.

- წამოვალ, რა.

- ჰოდა, წამო. რაღაცა ვერა ხაარ შენ მატორზე და იქ გაგარემონტებთ.

ორ საათში ქიზიყში, სიღნაღის ზვრებში ამოვყავი თავი. რთველი დაწყებული იყო და პირდაპირ ვენახში მივედით.

- ჰაა, ტა, ტა, ტა, მოვიდნენ, აი, - შორიდანვე გვიყვირა შორეულმა ბიძაჩემმა და თავის ბიჭს გადაწვდა, - ჯოუ, არ გითხარ დილითვე ჩამეეხეტე-მეთქი. გავკრიფეთ ნახევარი ვენახი, შე ვირიშვილო, შენა.

- რა ვქნა, მამი, გუშინ მაგრა გავძეხი და ველარ ავდექი.

- რა ქნა და, ყურძნად უნდა ჭამო, ყურძნადა. გაიგე? მარა, მაგის ღირსიც არა ხარ შენა. ე, ქლაქელი სადღა ნახე?

- როგორ გამხდარხარ, ბიჯო, არაფერსა ჭაამ? - მომიბრუნდა ბიძაჩემი, ხელი ჩამომართვა და გადამეხვია.

- ჰა, როგორ ხართ, ბოლოსდაბოლოს, მიდის საქმე? - ამოვიღე ხმა, როგორც იქნა.

- შენ ეს ვედრო გამომართვი, აჰა დანაც და ეგე პლანი, დაადექი და ნახავ, მიდის თუ არა, - მომითათუნა მხარზე ბიძაჩემმა.

- კაცო, გაანებე ბავშვსა თავი, - გამოათრია უშველებელი ყურძნით სავსე ბიდონი შორეულმა დეიდაჩემმა, - ვენახში ვამუშაო, ყმაწვილი, ძლივს ველირსე მაგის დანახვას.

- არა, ბებიაშენისამ, "სტოლბასავით" რო დაეყუდოს აქა და გვიყუროს, ის იქნება უკეთესი.

- შენ გენაცვალოს დეიდა. სადა ხარ, ბიჭო, ამდენ ხანს, რატომ არ ჩამოდიხარ. მე და დედაშენს ერთმანეთზე უკეთესები ვინ გვყავდა. ისიც დედისერთა იყო და - მეც. დებივით გავიზარდეთ, - გულში ჩამიკრა დეიდაჩემმა, მართლაც დედის სურნელი რომ ჰქონია. მერე ცრემლი მოიწმინდა, - იმას მოუკვდეს ჩემი თავი. რა დროს იმისი სიკვდილი იყო. კარგი დედა დაკარგე, შვილო, კარგი დედა... მამაშენი როგორ არის, კარგად უვლის რძალი?

- კი, კი, კაცო, აბა, რას იზამს.

- ჰოო, მეც გავიგე, ძალიან კარგი გოგოაო. უნდა ჩამოგეყვანა.

- რა ვიცი, აბა, პატარა ბავშვი, ხო იცი...

- ჰო, მართლა, რა ხნისაა ეხლა, იმას ენაცვალოს ბებო. აღარ უნდა მანახო?

- ჯოუ! დეიდაშენს იტევს კახეთი და ბავშვი, რა, ველარ დეეტეოდა? - მოგვიბრუნდა ვენახიდან ბიძაჩემი და წაამღერა, - "კალხოზნი" სასწორი ველარა გწონის, ქალო, "კალხოზნი" სასწორიიი.

- მაგას არ უსმინო, შვილო, რა ვირიც იყო, იგივე დარჩა, - წაიდუდღუნა დეიდაჩემმა.

- ბიჭი წლინახევრისაა, უკვე დარბის კიდეც. აუცილებლად განახებ, - შევპირდი დეიდაჩემს.

- თქვენ ეხლა ვენახში შემოდით, საქმე მოვათავოთ და მერე გაგაყოლებ დეიდაშენს თბილისში, - ხელი დაგვიქნია ბიძაჩემმა.

- ჰო, ვიცი როგორც გამაყოლებ, შვილებს დამანატრებ ხოლმე, - ხელის აქნევითვე უპასუხა დეიდაჩემმა და მომიბრუნდა, - შენ ჩემთან წამოდი შვილო, არ გაკრეფინებ, მარტო ვედრა გამიზიდე ხოლმე.

- დავკრიფავ კიდეც, რა, - გამოვიდე თავი და ვენახში შევედი. დეიდაჩემი თავის ბიჭს მიუბრუნდა და აკოცა.

- რად დაიგვიანე, გენაცვალოს დედა, არ იცი მაგის ამბავი? დილიდანვე შემაღონა. მამაშენის ყბაში რად ჩამაგდებ ხოლმე.

- შემაღონა კი არა, ეხლა, თუ მაგან წესივრად არ იმუშავა და დამიწყო აქა ქალაქელივით, "პახმელიაო", ესაო, ისაო, ჩემ ფეხებ გავატან ქალაქში და მერე ვნახოთ, რას მოიგდებს ყბაში, - დაიმუქრა ბიძაჩემი.

- ოჰ, ოჰ, სუ შენ გიყურებ გატანებაზე, აი! - გადახედა დეიდაჩემმა.

- არაფერს არ ვამბობ, კაცო, რა გინათ, ვმუშაობ, - თავზეხელმოკიდებული შემოვიდა ვენახში დეიდაშვილი.

- მარტო ფეხების გატანება არ ეყოფა, გოგი, ხაშს ვერ გააკეთებს, - გადაიხარხარეს აქეთ-იქიდან.

- ხაშს ხვალე ჩაგაცეცხლებთ. დღეს ისეთი დაკოდილი ციკანი უნდა დავკლა... 29 კილოა. ჯოუ!, ხო იცი, შენა, რთველს ციკნის მწვადი უხდება, გიჭამნია, - შემომძახა ბიძაჩემმა.

- არა, - გავიქნიე თავი და მხიარული შეძახილებიც გავიგონე, - აბა ჩქარა, ბიჭებო, აბა ჩქარა, ციკანი არ დავღალოთ ლოდინით.

სულ ხუთი-ექვსი კაცი ეხმარებოდა ბიძაჩემს რთველშიც და ხუმრობაშიც და იმდენი ქნეს იმ დალოცვილებმა, რომ, რაც დარდი, ბოღმა და ნიკოტინი მქონდა, სულ ერთიანად ამომაყრევინეს. ეს ყურძენიც ისე იკრიფებოდა, თითქოს მადლობას მეუბნებოდა, რომ მის სილამაზეს ველოლიავებოდი და არც ერთ მარცვალს არ ვაბნევდი. ხელებიც ხომ დამიტკბო და დამიტკბო და დანაზე გაჭრილი თითიც უცებ შემიხორცა.

როგორც იქნა ბიძაჩემის ძველ, ასე ვთქვათ, საშინაო (საგარეოდ მერსედესი ჰყავს) "ტრიდცატადინზე" გამობმული ლაფეტიც გაივსო და სოფლისაკენაც დავიძარით. უკან ჟიგულითაც მოგვყვებოდნენ. ქალები ცოტა ადრე წავიდნენ ვახშმის თადარიგის დასაჭერად. ტრასაზე ავბობღდით თუ არა, უკანა სკამზე ისევ მოვიდნენ ხუმრობის ხასიათზე. ცოტა ნელა იარე, ჯო, სიჩქარის გადაჭარბებისთვის არ გაგაჩერონ.

- ეხლა ეს ხუმრობს და, - მომიბრუნდა ბიძაჩემი, - ხო იცი, სიღნაღის გამო, ეს ჩვენი სოფელიც საკურორტო ზონადაა გამოცხადებული. პატრული ისე დადის, როგორც ქალაქში. მაგრამ უბატონოდ ხმას არა გვცემენ, კაცო. ერთმა გამაჩერა და "ჩესტი" ამიღო, პატრული მათიაშვილიო. მეც ხელი ავუწიე, მძღოლი მაზიაშვილი-მეთქი. თუ შეიძლება ჩაბერეთო. ფხიზელი ვიყავი, ჩავბერე და არაფერი. დიდი ბოდიში, შეგიძლიათ მიბრძანდეთო. აბა ადრე იყო, ბიჯო, აქ ტეკზე, რო მათხოვრობდნენ? ერთხელაც გამაჩერეს და მაჯახეს, შენ დალეული ხარო. ხო დავლიე-მეთქი. რა დაილიეო. რძე-მეთქი. ჩამაბერინა, ფხიზელი ვარ, არ ესიამოვნა. რა გააჭირეთ საქმეო, ცოტ-ცოტა დალიეთ ხოლმეო, ჩვენც ხო გვინდა პურის ჭამაო.

ასე ლაპარაკ-ლაპარაკში მივრახრახდით სახლში და ვეცით კიდეც ლაფეტს. ეზოში, გამოტანილ დიდ კასრებთან ზურგით მივაგორეთ, ცხვირი ავუწიეთ და დავაყენეთ. აქა-იქ ვედრებიც შევუდგით, უკვე წვენი გასდიოდა. შევვარდით ზემოთ ორი კაცი, ვავსებთ ვედრებს, ვაწვდით დაბლა მდგარ ორს, ისინი საწურთან მდგომებს აწვდიან და მიდის საქმე. შებინდებამდე დავამთავრეთ კიდეც. სუფრა უკვე გაწყობილი იყო, ხუთი წლის წარაფი - ჩამოსხმული, ციკანი - დაკლული, მწვადი - აშამფურებული, წალამი - მოტანილი. დავსხედით და დავიწყეთ. კახურ სუფრას რა აღწერს. უნდა ნახო, რა ალალი პური იჭმევა. უნდა მოისმინო, რა ალალი სიტყვა ითქმევა. შევზარხოშდით კიდეც, მაგრამ ერთმანეთს ვუსმენთ. აბა როგორ არ მოუსმენ ამის გამგონეს.

ერთმა მეზობელმა თავისი მელოტი სტუმარი შემოიყვანა დასავლეთიდან, ნასვამი. იმან ჩვენთანაც დაამატა და ენა ველარ გააჩერა. უთმინა, უთმინა ბიძაჩემმა და უთხრა, შენა, ბიჯო, ალაგებულ სუფრას რო გიგავს თავი, ვერა ხედავ, რო ჯერ არ დაგვიმთავრებია და ვილოცებით. არ უნდა მოგვისმინო?

ჩვენ მორიდებულად ჩაგვეცინა. ის კაცი კი თვალებმოჭუტული მიაშტერდა ბიძაჩემს. იმანაც იქვე მიაშველა, რა იყო, ჯოუ, რა ჩაწეული ლამფასავით იყურებიო და გადავბრუნდით ხარხარით. იმ კაცმაც იმდენი იხითხითა, სულ გამოფხიზლდა და მერე მისი ხმა არავის გაუგია. ბოლოს დიდი სიყვარულითაც დაემშვიდობა ბიძაჩემს.

მე მეორე დღეს შეპირებული ხაშიც მივირთვი, სამი ჭაჭაც დავაყოლე და ბიძაჩემის ქებაც დავიმსახურე. კაი "პრავიზიითაც" დამტვირთეს, "მარშრუტკამდე" მიმაცილეს, პირობა ჩამომართვეს, რომ არ დავივიწყებდი და გამომიშვეს.

- სად იყავი, შეჩემალალა! - ხელები გაშალა მამაჩემმა.

- მობილური მაინც არ დაგრჩენოდა, კინაღამ გავგიჟდით, - წყლიანი თვალები მომარიდა ჩემმა ცოლმა.

- და, და, და, და, მა, მა, მა, მა, - მუხლებში მეცა ჩემი პატარა ბიჭი და ძალიანაც შემრცხვა ყველასი, მაგრამ რაღას ვიზამდი.

- სად უნდა ვყოფილიყავი... გოგიასთან ვიყავი რთველში, მივეხმარე. აგე, რა ყურძენი გამომატანა. შარშანდელთან შედარებით ბევრი არ ესხაო, მაგრამ ისეთი სალი და ტკბილი მტევნებია, სუ ჩაიტკბარუნებთო, - გავუღიმე და გადავეხვიე სუყველას, თქვენს მეტი ვინ მყავს-მეთქი.

- მეტი ასე აღარ გააკეთო, ცოლშვილი გყავს, - ჩამჩურჩულა მამაჩემმა.

მეორე დღეს სამსახურშიც გავედი. საქმეც გამოჩნდა. ერთ-ორ დღეში ხელფასიც მომცეს და გაზონელი ბებოს სანახავად გავიქეცი. მივედი, მაგრამ სადღა არის ქალი? ტელევიზიით უჩვენებიათ რომელიღაც არხზე და მეორე დღესვე "გაუქრიათ". ალბათ, მოხუცებულთა სახლში გადაიყვანეს. საწყალი.

ახლა იმ გლახაკი ვაჟას ნახვა მინდა. აი, რა მითხრა ბიძაჩემმა მაგის ამბავზე:

- თუ მუშაობას არ დაიზარებს, მაიყვა, შვილო, ჩემთან მეყოლება და ორ-სამ წელიწადში დავასახლებ კიდეც, ცოლსაც შევრთავ და სამათხოვროდაც აღარ ექნება საქმე.

ბიძაჩემი შეძლებული კაცია. ჰექტრობით მოჰყავს ხორბალი, მზესუმზირა. ვენახზე ხომ აღარ ვლაპარაკობ. საქონლის ფერმაც აქვს და მართლა დღე და ღამე მუშაობს. ამიტომ, რასაც ამბობს, აკეთებს კიდეც. მთავარია, კახურად რომ ვთქვათ, ის ვაჟა არ დამიხვდეს უარზე.

ბებიაჩემზე კიდე, რაც ვთქვი, ხო სწორი ყოფილა. იმან არ წამიყვანა კახეთში?

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 16 ოქტომბრიდან აცხადებს ტენდერს იზოლატორების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **იზოლატორების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რევიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **16 ოქტომბრიდან** 2009 წლის **5 ნოემბრის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურება | ერთ | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | **იზოლატორი საკიდი მარკით პფ-70დ**, გოსტი-12670-99 (ან ანალოგი) ნომინალური ძაბვა - 3,3 კვ; თეფშის დიამეტრი - 255 მმ; იზოლატორის სიმაღლე - 146 მმ; ღეროს დიამეტრი - 16 მმ; მრღვევი ძალა - 70კნ | ცალი | 900 |
| | **იზოლატორი საკიდი მარკით სფ-70ა**, გოსტი-12670-99 (ან ანალოგი) ნომინალური ძაბვა - 3,3 კვ; თეფშის დიამეტრი - 255 მმ; იზოლატორის სიმაღლე - 188 მმ; ღეროს დიამეტრი - 16 მმ; მრღვევი ძალა - 70კნ | ცალი | 700 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** 2009 წლის IV კვ;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;
2. ცნობა სასამართლოდან **(მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის)** რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე სატ. პაკეტების გახსნის დღიდან.

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან **(მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის)** რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება,რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე ;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე სატ. პაკეტების გახსნის დღიდან.

**7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 16 ოქტომბრიდან აცხადებს ტენდერს ნახშირის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ნახშირის** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **16 ოქტომბრიდან** 2009 წლის **5 ნოემბრის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტის № | საქონლის დასახელება და მახასიათებლები | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | მურა ნახშირი „დგ" მარკის 4200-4500 კკალ (ან ანალოგი) ფრაქცია 50X100მმ - 100X200 მმ | ტონა | 555 |

**3. მიწოდების პირობა:** DDP;

**4. მოწოდების ადგილი:** ქ. ტყიბული, რკინიგზის სადგური (ვაგონებში ჩატვირთვით);

**5. მიწოდების ვადა:** 2009 წლის IV კვ;

**6.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**2.** ცნობა სასამართლოდან **(მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის)** რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**3.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან;

**ფიზიკური პირებისათვის :**

**1.** ცნობა სასამართლოდან **(მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის)** რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე*;

**2.** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

**3.** ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**8. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

# სპორტი

## გამოცხადებული სირცხვილის ქრონიკა

### დეჟავიუ ანუ რას გვერჩით

მიხეილ აბაიშვილი

ამას უკვე სახელიც აღარ ჰქვია. რამდენად ფეხებზე უნდა გეკიდოს საკუთარი საქმე, როგორი დაჩლუნგებული უნდა გქონდეს ღირსების გრძნობა, რამდენად დაკარგული უნდა გქონდეს თავმოყვარეობა, როგორ არაფერს არ უნდა ნიშნავდეს შენთვის ეროვნულობა, რომ გააკეთო ის, რაც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა სოფიაში "მოგვართვეს" ქართველ ქომაგებს. კუპერს ბევრი რამ შეიძლება დააბრალო - საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცობის პერიოდში მან არაერთი, როგორც აღმოჩნდა, ფატალური შეცდომა დაუშვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრძოლასაც და ომსაც მხედართმთავარი აგებს, მაგრამ მარტო მხედართმთავარი ვერაფერს იზამს, თუ ჯარში ულირსი, მოროდიორი, ბრძოლის არმცოდნე და პატრიოტიზმის გრძნობადაქვეითებული ჯარისკაცები ჰყავს. იმ დროს, როცა საქართველოს "ნაკრების" ფეხბურთელთა უმეტესი ნაწილი თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ ვერ ასწრებდნენ ჯერ ლომაია და შემდეგ მამალაძე საკუთარი კარიდან ბურთების გამოტანას, მთელი საქართველო საკუთარ გულს და ტელევიზორის ეკრანს აწყდებოდა. ნამდვილად არ დავდებ თავს იმაზე, რომ საქართველოს ნაკრების ყველაზე ემოციური, ყველაზე თავგადაკლული გულშემატკივარი ვარ. რეპორტიორის სტატუსმა და მრავალწლიანმა გამოცდილებამ ემოციის მოთოკვა-კონტროლიც მასწავლა. ამის მიუხედავად, პირველი ტაიმის შემდეგ გული მართლა ცუდად გამიხდა და იძულებული გავხდი, ამ მაღალი სტენოკარდიული რისკის შემცველი თამაშის მეორე ტაიმში საერთოდ გამომერთო ტელევიზორი. ასაკით დამძიმებული ნამდვილად არ ვარ, არც წნევას ვიზომავ და ზუსტად არც ვიცოდი, გული რა ადგილას მქონდა. ჩემზე რომ ასეთი მძიმე გავლენა მოახდინა ამ მასხარაობამ, დარწმუნებული ვარ, სხვა, გაცილებით სუსტი ჯანმრთელობის ქართველ ქომაგებს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ. აქედან დასკვნა: ის, მაიმუნობა, რომელიც საქართველოს "ნაკრებმა" გვიჩვენა, საკუთარი ხალხის, საკუთარი ქომაგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ელემენტებს შეიცავს. შეიძლება კონკრეტულად გუშინ საღამოს



*ბერბატოვმა ჰეთ–თრიკი შეასრულა.*

მეტ-ნაკლებად ყველა ქომაგი გადარჩა, მაგრამ გარკვეული პერიოდით რომ სიცოცხლე დაგვაკლდა, ეჭვგარეშეა.

თამაშის გარჩევას აზრი არა აქვს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სოფიამდე ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ მივდიოდით. ამ მდგომარეობამდე ბევრი კომპონენტისა და ნიუანსის თანხვედრამ მიგვიყვანა - ფეხბურთის ფედერაციაში არსებული არასწორი მენეჯმენტით დაწყებული, მთავარი მწვრთნელის სასელექციო შეცდომებით, არასათანადო ფსიქოლოგიით და ფეხბურთელების არაპროფესიონალიზმით დამთავრებული.

სოფიაში ჩაფრენილ საქართველოს ნაკრებს ავტობუსიც კი არ დახვდა და ფეხბურთელებს სასტუმრომდე ტაქსებით მოუხდათ მისვლა. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი ზუსტად ასახავს იმ ყოფას, რომელშიც ეროვნულ გუნდს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უწევს ყოფნა. კიდევ რამდენიმე დეტალი: თბილისში დაბრუნდა ოთარ გაბელიას 21 წლამდელთა ნაკრები, რომელმაც შედარებით წარმატებით იასპარეზა ირლანდიაში, სადაც საკვალიფიკაციო მატჩში მასპინძლების გუნდთან 1:1 ითამაშა და ქულა ჩამოიტანა. ჩამოსვლისთანავე ახალგაზრდულის ფეხბურთელებს... სათამაშო ფორმები ჩამოართვეს, გუშინვე გარეცხეს და... 17 წლამდელთა ნაკრები ამ ფორმით გაუშვეს საკვალიფიკაციო ტურნირში. გგონიათ, ეს პრობლემები მხოლოდ ახალგაზრდულ გუნდებშია? მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მუდამ იდგა სათამაშო ფორმის პრობლემა.

მედიის, შესაბამისად, საზოგადოების სრული იგნორირება, ბიუჯეტის, რბილად რომ ვთქვა, არცთუ ეფექტური განაწილება, ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობა, მუდმივი შიდააშლილობა - ასეთია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინა ხელმძღვანელობის მთავარი მახასიათებლები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სოლიდური დაფინანსების მიუხედავად, ოთხწლიანი ვადა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკური ცენტრი "ბასა", რომელიც ახალკაცის გუნდმა თითქმის დამთავრებული გადაიბარა, ფინიშის ხაზზე გაეყვანათ და ეროვნულ ნაკრებს საკუთარ ბაზაზე სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრების ჩატარება შესძლებოდა. დღემდე ეს ბაზა სერიოზულ რეკონსტრუქციას საჭიროებს. როდესაც ეს დეტალები ერთმანეთს ერთვის და ფეხბურთელები ხედავენ ნაკრებისადმი ფედერაციის დამოკიდებულებას, პასუხისმგებლობის, მოტივაციის და კონცენტრაციის დეფიციტი უჩნდებათ. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ეს გამამართლებელ საბუთად შეიძლება გამოდგეს, მაგრამ ეს დეტალები რაღაც წარმოდგენას ქმნის იმ ვითარებაზე, რომელშიც მუშაობა უხდებოდათ ფეხბურთელებს, კუპერს და მის თანაშემწეებს.

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს, რომელმაც საზოგადოების მთელი რისხვა საკუთარ თავზე მიიღო.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს გაიოზ დარსაძეს შევხვდი და მაშინვე გონებაში ამოტივტივდა სიტყვა - დეჟავიუ. დაახლოებით სამი წლის წინ დარსაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნული ნაკრები სოფიაში ბულგარეთთან ზუსტად 2:6 დამარცხდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ დარსაძის ნაკრებს 6 გოლის "მისაღებად" 90 წუთი დასჭირდა, კუპერის შეწგირდებმა კი იგივე საქმეს ერთი ტაიმი "ამყოფინეს". დრო გადის, მწვრთნელები და ფეხბურთელები იცვლებიან, ჩვენ კი არაფერი გვშველის.

ყველაზე დიდ პრობლემას კი იმაში ვხედავ, რომ ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას უმძიმესი მემკვიდრეობა დაუტოვეს, რის გამოსწორებასაც, სამწუხაროდ, არა მხოლოდ დიდი ენერგია, ფინანსები და სწორი მენეჯმენტი დასჭირდება, არამედ დროც, რის ყველაზე სერიოზულ დეფიციტსაც განვიცდით.

## "თბილისი" ლისაბონში გაემგზავრა

ხელბურთში საქართველოს ჩემპიონი თბილისის "თბილისი" პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც ევროპის ფედერაციის თასის ორ მეთექვსმეტედფინალურ მატჩს ადგილობრივ "ბენფიკასთან" გამართავს. ლისაბონში თამაშები 17 და 18 ოქტომბერს ჩატარდება. "თბილისმა" პირველ ეტაპზე კვიპროსული "პაფოსი" ორივე მატჩში დაამარცხა. თანაც ორივე შეხვედრა სტუმრად გამართა.

"ბენფიკა" "პაფოსიზე" გაცილებით ძლიერი კლუბია და მისი დამარცხება ქართული გუნდისთვის იოლი არ იქნება, თუმცა, "თბილისის" ხელბურთელები დიდ გამოცდილებას შეიძენენ. ქართველმა ხელბურთელებმა დასკვნითი შეკრება თბილისში, "სკას" დარბაზში გაიარეს.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მამუკა მჟავანაძემ ლისაბონში ეს ხელბურთელები იახლა:

**მეკარეები**: კორნელი ანდრიაძე, ალექსანდრე გონჩაროვი

**მოედნის მოთამაშეები**: ტიტე კალანდაძე, ლევან გელაშვილი, გიორგი წიწივაძე, ვანო ქარდავა, უჩა მაისურაძე, ომარ ქუთათელაძე, ოთარ ამირანაშვილი, გიორგი იობაშვილი, აკაკი ყაველაშვილი, გიორგი სამარღანიშვილი, ირაკლი თევზაძე, შალვა თოდაძე.

http://www.sport.gov.ge/

### 19 წლამდელები ელიტრაუნდს მიღმა დარჩნენ

საქართველოს 19 წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც გელა შეყილაძე ხელმძღვანელობს, 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში მოხვედრა ვერ მოახერხა. მე-12 ჯგუფის დასკვნით მატჩში ქართველები ჩერნოგორიას ხვდებოდნენ და, გამარჯვების შემთხვევაში, სანუკვარ საგზურსაც მოიპოვებდნენ. თუმცა, მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა და ჩვენმა ბიჭებმა ჯგუფში მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს. ჩერნოგორიელები შეხვედრის მე-18 წუთზე სტეფან დენკოვიჩის გოლის წყალობით დაწინაურდნენ, საქართველოს ნაკრებმა კი 32-ე წუთზე ჯანო ანანიძის შედეგიანი დარტყმის წყალობით გაათანაბრა ანგარიში. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის მეორე მატჩში, შვედები უკრაინელთა დამარცხებას ვერ ახერხებდნენ, ჩერნოგირიელებს ელიტრაუნდში გასასვლელად ყაიმიც აძლევდათ ხელს, რისთვისაც მაქსიმუმი გაიღეს. დაძაბული გამოდგა მატჩის ბოლო წუთები. ქართველი ახალგაზრდები მთელი ძალით გადავიდნენ შეტევაზე. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში ჩერნოგორიელებმა ზედიზედ სამი ყვითელი ბარათი მიიღეს, თუმცა, ეს ჩვენს გუნდს დიდად ვერ დაეხმარა. საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა შვედეთში გამართულ მინი-ტურნირში ერთადერთხელ, ისიც ევროპის ჩემპიონ უკრაინასთან წააგო, თუმცა, ტურნირს მაინც გამოეთიშა.

**ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 19 წლამდე ფეხბურთელთა შორის. მე-12 ჯგუფი. "სტარკე არვიდი" (ლიუნგსკილე) შვედეთი**

**საქართველო - ჩერნოგორია 1:1 (1:1)**

**საქართველო:** ნიორაძე, კვასხვაძე, კვირკველია, ბრაჭული, ელიზბარაშვილი, ძალამიძე, ანანიძე, შეყილაძე, ჩაფიძე, გუგუჩია (კაჭახიძე, 61, ქურდობაძე, 75), კობახიძე (კაკუშაძე, 75).

**მწვრთნელი:** გელა შეყილაძე.

**ჩერნოგორია:** დაბოვიჩი, ზონჯიჩი, მატიჩი, სავიჩი, სიმუნოვიჩი, ნიკოლოჩი, ვესოვიჩი (ბულატოვიჩი, 82), სჩეკიჩი, მარაში (აიკოვიჩი, 55), დენკოვიჩი, კაჩიჩი (ფილიპოვიჩი, 46).

**მწვრთნელი:** მიოდრაგ რადულოვიჩი.

**გოლები:** დენკოვიჩი (18), ანანიძე (32).

**გაფრთხილება**: დენკოვიჩი (18), ფილიპოვიჩი (57), სავიჩი (62), შეყილაძე (63), ვესოვიჩი (64), ძალამიძე (69), მატიჩი (71), სიმუნოვიჩი (94), ზონჯიჩი (94), აიკოვიჩი (95).

**მსაჯი:** სიმონ ლი ევანსი (უელსი).

### ფაჩულიამ თამაში გამოტოვა

"ატლანტა ჰოუქსმა" მორიგი საგამოფენო მატჩი გამართა და ამჯერად "მემფისი" დაამარცხა - 111:96. გუნდის გამარჯვებაში წვლილი არ შეუტანია ზაზა ფაჩულიას, რომელიც ატლანტელთა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ტრავმის გამო არ ათამაშა. ზაზას ბარძაყი აქვს დაჭიმული და ვუდსონმა არ გარისკა.

### ცინცაძე საბერძნეთის თასის გათამაშებას გამოეთიშა

გიორგი ცინცაძისთვის საბერძნეთის სათასო ოდისეა დასრულდა. მისი "ტრიკალა" თასის გათამაშებას გამოეთიშა. სალონიკის "პაოკთან" გასვლით მატჩში ტრიკალელები 83:89 დამარცხდნენ. ცინცაძის ანგარიშზე კი ერთადერთი ქულა იყო. ქართველი კალათბურთელის კლუბი საბერძნეთის ჩემპიონატის პირველ ტურში ათენის აეკ-ს ეთამაშება. ეს მატჩი 24 ოქტომბერს გაიმართება.

### იმერული დერბი გადაიდო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ გაითვალისწინა ს/კ "ზესტაფონის" თხოვნა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩის გადატანის შესახებ. ცნობილია, რომ უმაღლესი ლიგის ერთპიროვნული ლიდერის შემადგენლობის რვა ფეხბურთელი ქვეყნის ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებ გუნდებში არიან გამოძახებული. ზურაბ მამალაძე, უჩა ლობჟანიძე და ნიკოლოზ გელაშვილი ექტორ რაულ კუპერმა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასკვნით მატჩებში სათამაშოდ გამოიძახა, როინ კვასხვაძე, გიორგი ხიდეშელი და მურთაზ დაუშვილი ოთარ გაბელიამ 21 წლამდელთა რიგებში შეიყვანა, ხოლო კახა მეშველიანი და მამუკა კობახიძე გელა შეყილაძემ იახლა 19 წლამდელებში, რომლებიც კონტინენტის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასასვლელ ჯგუფურ ტურნირზე შვედეთში გაემგზავრნენ. პროფლიგის გადაწყვეტილებით, დამდეგ შაბათს ზესტაფონში გასამართი მატჩი ადგილობრივ კლუბსა და "სამტრედიას" შორის 18 ოქტომბერს გაიმართება. შეხვედრა 15.00 საათზე დაიწყება.

## თავისუფლები ხასავიურტის ტურნირზე იჭიდავებენ

18-19 ოქტომბერს რუსეთის ქალაქი ხასავიურტი "საკონტინენტთაშორისო თასს" უმასპინძლებს. ტრადიციულ საერთაშორისო გუნდურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს უძლიერესი ათამდე ნაკრები, მათ შორის, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული გუნდი.

ქართული დელეგაცია დაღესტანში 15 ოქტომბერს, განაცხადში მყოფი ორი წევრის გარეშე გაემგზავრა. ოლიმპიურ პრიზიორ გიორგი გოგშელიძესა (96 კგ) და ქართული დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს მალხაზ ჯორბენაძეს რუსულმა მხარემ ვიზა არ მისცა. ჯორბენაძე "საკონტინენტთაშორისო თასზე" მსაჯად იყო მიწვეული.

**საქართველოს ნაკრები:**
55 კგ - ვლადიმერ ხინჩეგაშვილი
60 კგ - მალხაზ ქურდიანი
66 კგ - შალვა აბაჯევი
74 კგ - კობა კაკალაძე
84 კგ - ბექა ჭელიძე
96 კგ - ბელდუხ გავაშელიშვილი
120 კგ - გიორგი საკანდელიძე
მწვრთნელი: **დავით ხურცია**

http://www.sport.gov.ge/

## ქართველი სუმოისტები პოლონეთში გამოვლენ

საქართველოს სუმოისტთა ნაკრები გუშინ პოლონეთში, ღია ჩემპიონატზე საასპარეზოდ გაემგზავრა. ეს ტურნირი მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპია. ჩემპიონატზე აბსოლუტური წონითი კატეგორიის სუმოისტები მოსინჯავენ ძალებს. საქართველოს სახელს ორი სპორტსმენი დაიცავს: ავთანდილ ცერცვაძე და ზაზა ბალაშვილი. ქართველ სუმოისტებს პოლონეთში სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე გაჰყვა. ავთანდილ ცერცვაძემ წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, ზაზა ბალაშვილი კი ევროპის ახალგაზრდულის ბრინჯაოს პრიზიორი და გასული წლის ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულია.

http://www.sport.gov.ge/

## ჩარლი დევისი მუნდიალს მიღმა დარჩა

აშშ-ის ნაკრების ფეხბურთელი ჩარლი დევისი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს გამოტოვებს. მეტიც, ფორვარდმა, შესაძლოა, საერთოდ დაასრულოს საფეხბურთო კარიერა. ჩარლი დევისი მძიმე ავტოკატასტროფაში მოყვა. ფრანგული "სოშოს" ლეგიონერს წვივისა და ბარძაყის ძვლები აქვს მოტეხილი, ხოლო იდაყვის სახსარი - დაზიანებული. ფორვარდს ვაშინგტონში ოპერაცია ჩაუტარდა. მისი მდგომარეობა ისევ მძიმეა, მაგრამ სტაბილური. დევისს კიდევ რამდენიმე ქირურგიული ჩარევა დასჭირდება. "ასეთი ტრავმების მოშუშებისთვის, როგორც წესი, ექვსიდან თორმეტ თვემდეა საჭირო. თუ ჩარლის ფიზიკური მომზადების დონეს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფეხბურთში მისი დაბრუნების შანსი დიდია", - ამბობს აშშ-ის ნაკრების ფიზიოთერაპევტი დენ კოლბაკი. თუმცა იმის შანსი, რომ დევისმა მუნდიალზე მოახერხოს თამაში, ძალზე მცირეა.

## ტაცვიობა კისლინგზე

გერმანული ფეხბურთის იმედად შერაცხული ლევერკუზენის "ბაიერის" ფეხბურთელი შტეფან კისლინგი ევროპული გრანდების დავის საგნად იქცა. ახლა კისლინგი ბუნდესლიგის გათამაშების მთავარი ბომბარდირია (6 გოლი). 25 წლის თავდამსხმელისადმი რამდენიმე ინგლისური და ესპანური კლუბი იჩენს ინტერესს. "მისით დაინტერესებულია შვიდი კლუბი, მათ შორის, ინგლისისა და ესპანეთის წამყვანი კლუბები, ასევე მიუნხენის "ბაიერნი". თავად შტეფანსაც რომელიმე ბობოლა კლუბში სურს გადასვლა." აგენტის თქმით, კისლინგის შეძენის მსურველთაგან ყველაზე კარგი შანსი უნდა ჰქონდეს ლონდონის "არსენალს", რომლის მწვრთნელი არსენ ვენგერი ნიჭიერი ფორვარდის გადაბირებას ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ცდილობდა, მაშინ, როცა ის "ნიურნბერგში" თამაშობდა.

**ალექსმა ოთხი წლით გააგრძელა კონტრაქტი**

"ჩელსის" ბრაზილიელმა მცველმა ალექსმა ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ოთხი წლით გააგრძელა. 27 წლის სამხრეთამერიკელ ფეხბურთელს მიმდინარე სეზონში ლონდონელთა რიგებში ერთი თამაშიც არ ჩაუტარებია, რადგან აგვისტოში საზარდულის ტრავმა მიიღო და ვარჯიში ცოტა ხნის წინ განაახლა. "ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დიდხანს არ მიფიქრია. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რაც შეიძლება, სწრაფად დავბრუნდე მოედანზე. ჯერჯერობით საშუალო სათამაშო ფორმაში ვარ. ვფიქრობ, ორკვირიანი ვარჯიშის შემდეგ 100 პროცენტით მზად ვიქნები", - განაცხადა ალექსმა.

# აფრიკაში, მონტევიდეოს გავლით



ოთხშაბათს გაიმართა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები. ფაქტობრივად დასრულდა ჯგუფური ეტაპის გათამაშება და გაირკვა გუნდების უმრავლესობა, რომლებსაც აფრიკულ მუნდიალზე თამაშის უფლება მიეცათ. სანამ ოთხშაბათის მთავარ თემაზე გადავიდოდეთ, გაგაცნობთ იმ გუნდების ჩამონათვალს, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური დაიბევეს: სამხრეთ აფრიკა (მასპინძელი), იაპონია, ჩრდილო კორეა, სამხრეთ კორეა, ავსტრალია (აზია), განა, კოტ დ`ივუარი (აფრიკა), ჰოლანდია, ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, დანია, იტალია, სერბეთი, შვეიცარია, სლოვაკეთი (ევროპა), ბრაზილია, პარაგვაი, ჩილე, არგენტინა (სამხრეთ ამერიკა), აშშ, მექსიკა, ჰონდურასი (ცენტრალური ამერიკა).

მას შემდეგ, რაც შავ კონტინენტზე შესარჩევი ციკლი დასრულდება, ამ გუნდებს დაემატებიან ევროპული და ამერიკული პლეი-ოფებიდან გასული ნაკრებები და აფრიკული გუნდები.

ოთხშაბათის მთავარ მოვლენას ურუგვაის დედაქალაქმა მონტევიდეომ უმასპინძლა. სამხრეთ ამერიკის ჯგუფში რთული ვითარება შეიქმნა - არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ მუნდიალზე ვერ გავიდოდა არგენტინა ან ურუგვაი (ეს ორი გუნდი მონტევიდეოში ხვდებოდა ერთმანეთს).

მარადონას შეგირდებმა შეუძლებელი შეძლეს - მატჩის 84-ე წუთზე ბოლატის მიერ გატანილი გოლის წყალობით "ალბისელესტემ" გაიმარჯვა და სამხრეთ აფრიკაში გასამართი მუნდიალის საგზური დაიბევა. ურუგვაის ნაკრებს კი მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი შეუნარჩუნა ჩილეს ეროვნულმა გუნდმა, რომელმაც ეკვადორის ნაკრები დაამარცხა. ახლა ორგზის მსოფლიო ჩემპიონები ცენტრალური ამერიკის ჯგუფში მეოთხე ადგილზე გასულ გუნდთან პლეი-ოფის მატჩების გამართავენ მუნდიალის საგზურის მოსაპოვებლად.

ევროპაში ჯგუფური ეტაპი დასრულდა. გასამართი დარჩა მხოლოდ პლეი-ოფის მატჩები. ჯგუფური ეტაპის ბოლო დღემ სენსაციების გარეშე ჩაიარა. მოიგო თითქმის ყველამ, ვისაც ეს მოგება სჭირდებოდა. ახლა უკვე ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდები ითამაშებენ პლეი-ოფებში. ოღონდ მეორე ადგილზე გასულებიდან ერთი ყველაზე უარესი მუნდიალს მიღმა დარჩა. ეს უიღბლო ნორვეგიის ნაკრებია.

ევროპულ ზონაში პლეი-ოფებში გავიდნენ: რუსეთი, უკრაინა, ბოსნია, საფრანგეთი, ირლანდია, საბერძნეთი, პორტუგალია, სლოვენია. აშკარაა, რომ საინტერესო მატჩები გველის. თუმცა, საყურადღებოა ერთი დეტალი: ფიფას პრეზიდენტის განცხადებით, პლეი-ოფების წილისყრისას მოხდება გუნდების განთესვა, რაც ბევრს არ მოსწონს. ამის წინააღმდეგ ირლანდიელთა თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ გაილაშქრა კიდეც, მაგრამ ტრაპატონის პროტესტის გამო ფიფა წესების შეცვლას არ აპირებს. ასე რომ, თითქმის გამორიცხულია, პლეი-ოფში საფრანგეთი პორტუგალიის ნაკრებს შეხვდეს.

## ლარსონს "სელტიკში" იწვევენ

38 წლის შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი, როგორც ჩანს, კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა და სამწვრთნელო საქმიანობის შესწავლა სურს.

ახლა ის "ჰელსინბორგში" ირიცხება და კლუბთან კონტრაქტი ნოემბერში უმთავრდება, რის შემდეგაც სამწვრთნელო კურსებს გაივლის. თუმცა, თავადვე ამბობს, შვედეთში სწავლა არ მინდაო: "სამშობლოს დავტოვებ და, სავარაუდოდ, ბრიტანეთში გავივლი კურსებს. სერიოზულად ვარ მონდომებული და იმედი მაქვს, მწვრთნელის ამპლუაში წარმატებას მივაღწევ".

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, დიდი შანსია, ლარსონმა გლაზგოს "სელტიკში" იმუშაოს, ოღონდ რა თანამდებობაზე, ჯერ უცნობია. თავად შვედი აცხადებს, რომ ასეთი პერსპექტივა ძალიან ხიბლავს:

"ყველამ იცის, რასაც ნიშნავს "სელტიკი" ჩემთვის. ადრე თუ გვიან, ამ კლუბში აუცილებლად ვიმუშავებ," - აცხადებს შვედი, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები სწორედ შოტლანდიურ "სელტიკს" შეალია. ამ გუნდის მაისურით ლარსონს 221 მატჩში 174 გოლი აქვს გატანილი.

## ბუტს "ბაიერნში" სურს დარჩენა

მიუნხენის "ბაიერნის" ვეტერანმა მეკარემ იორგ ბუტმა განაცხადა, რომ თავის ახლანდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება სურს. შეგახსენებთ, რომ კონტრაქტი ბუტს "ბაიერნთან" 2010 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს.

"სიამოვნებით დავრჩებოდი აქ კიდევ ერთი წლით და მერე კიდევ ერთითაც. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს დონეზე თამაშს შევძლებ", - აღნიშნა ვეტერანმა მეკარემ.

# გიორგი ხიდეშელი: "ირლანდიაში მოგება შეგვეძლო"

თეა დოლიძე

ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, 21 წლამდელთა გუნდი ბოლო პერიოდში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. თურქეთის დიდი ანგარიშით დამარცხების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურში ირლანდიასთან ფრედ - 1:1 ითამაშა და ჯგუფში მოწინავე ადგილის დამკვიდრების რეალური შანსი შეინარჩუნა. თუმცა, ამ თამაშიდან ოთხი დღის შემდეგ ოთარ გაბელიას შეგირდებმა დანიასთან ამხანაგური შეხვედრა - 1:3 დათმეს. ევროპაზე ჩვენი ასპარეზობის ბედი ნოემბერში გადაწყდება. სამწუხაროა, რომ თბილისში თამაშს ორი ყვითელი ბარათის გამო "ზესტაფონის" ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი მცველი გიორგი ხიდეშელი დააკლდება. 21 წლის ფეხბურთელი რეგულარულად ხვდება ახალგაზრდული ნაკრების განაცხადში და კლუბის ძირითად ფეხბურთელად ითვლება.

**- გიორგი, საუბარი დავიწყოთ ირლანდიაში გამართულ მატჩზე. თურქეთთან მოგებული თამაშის შემდეგ გულშემატკივარი თქვენგან მეტს ელოდა. როგორ შეაფასებ დუბლინში ჩატარებულ მატჩს?**

- ჩემი აზრით, მშვენიერი მეორე ტაიმი ჩავატარეთ, რასაც ვერ ვიტყვი პირველ ნახევარზე. გოლი 28-ე წუთზე გავუშვით. ჩვენი კუთხურის შემდეგ მასპინძლებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს და გოლი გავიდა. ირლანდიის ასეთ დალაგებულ თამაშს არ ველოდით. პირველ ტაიმში მომენტი თითქმის არ გვქონია. სტანდარტულებით თუ ვახერხებდით სახიფათო მომენტების შექმნას.

**- ჩვენმა ნაკრებმა მატჩის ბოლო წუთზე გაიტანა გოლი. მანამდე თუ გქონდათ ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი?**

- პირველი ტაიმი რომ დამთავრდა, გასახდელში გაბელიამ კარგად დაგვარიგა და "ჩვენი" თამაში დავიწყეთ. ამას გარდა, მეორე ტაიმში ირლანდიელები დაიღალნენ. ფიზიკურად კარგად ვიყავით მომზადებული და ამ მხრივ ვაჯობეთ. მოგებაც თავისუფლად შეგვეძლო. არ შემიძლია არ ვთქვა ივანიშვილის ულამაზეს გოლზე, რომელიც კლიმიაშვილისა და ყენიას აქტიურობას მოჰყვა. ორი შეხებით გიორგიმ ბურთი კარის შორეულ კუთხეში დაარტყა. მერე კიდევ შევქმენით ერთი მომენტი და შეგვეძლო მოგვეგო, მაგრამ არ გაგვიმართლა.

**- ორი ყვითელი ბარათის გამო შენ და ყენია მომდევნო მატჩს გამოტოვებთ. უხეშად ითამაშე თუ რატომ გაგაფრთხილეს?**

- 14 ნოემბერს თბილისში ვერ ვითამაშებ. გული დამწყდა მეორე ყვითელის გამო. მთლიანობაში უხეში თამაში გამოდგა. სულ მსაჯმა ექვსი გაფრთხილება მოგვცა. სამი ყვითელი ირლანდიელებმაც მიიღეს.

**- როგორ ფიქრობ, რატომ წააგეთ დანიასთან?**

- სამწუხაროდ, დანიასთან წავაგეთ, მაგრამ ეს ამხანაგური მატჩი იყო და ამით ევროპაზე ჩვენი თამაშის შანსები არ შემცირებულა. ახლა მთლიანად ოფიციალურ თამაშებზე ვართ კონცენტრირებული. იმედია, ევროპაზე თამაშის მიზანს მივაღწევთ.

**- 14 ნოემბერს ისევ შეხვდებით ირლანდიას, რომელთან თამაშის გამოცდილება უკვე გაქვთ. შემდეგ შვეიცარიას სტუმრად გაეჯიბრებით. ფლობთ თუ არა რაიმე ინფორმაციას შვეიცარიელების შესახებ?**

- შვეიცარიის თამაში ნანახი გვაქვს. იმედი მაქვს, მათი დამარცხება არ გაგვიჭირდება. რაც შეეხება ირლანდიას, დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარი გვერდში დაგვიდგება, როგორც ეს თურქეთთან იყო.

**- რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს... "ზესტაფონი" ჩემპიონატში პირველ ადგილზეა და სულ ერთი ქულით უსწრებს "ოლიმპს". ასეთი თანაბარი ბრძოლის პირობებში ალბათ ძნელია პირველობა.**

- პირველობა ნამდვილად დავიმსახურეთ. სტაბილურად ჩავამთავრეთ პირველი წრე. წაგებაც კი არ გვაქვს. ჩვენს კონკურენტებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, თუმცა, ერთს ვიტყვი: "ზესტაფონს" ყველა პირობა აქვს შექმნილი ჩემპიონობისთვის. მწვრთნელი და მთელი კლუბი ბევრს ვმუშაობთ, თავდაუზოგავად ვშრომობთ. იმედია, ჩემპიონატის ბოლოს შედეგი ლოგიკური იქნება.

**- მომდევნო ტურში, 18-ში, თქვენი მეტოქე "სამტრედია" იქნება. როგორ აფასებ შანსებს?**

- "სამტრედია" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. ეს "დინამოსთან" ყველამ დავინახეთ, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ყველაფერი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. გუნდს დღეს ვუერთდები და გულშემატკივარს ვპირდები, რომ "სამტრედიასთან", სხვა ფეხბურთელებთან ერთად, ბოლომდე დავიხარჯები.

**I. ქ. თბილისის N166 საჯარო სკოლა (მისამართი:ქ. თბილისი, ა.წერეთლის გამზირი N42) აცხადებს კონკურსს სკოლის ბალანსზე რიცხული, შენობის: 86კვ.მ. ფართი 1 სართულზე - სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისათვის; 322 კვ.მ და 142 კვ.მ ფართი დარბაზები - სპორტული და ქორეოგრაფიული წრეების ფუნქციონირებისათვის;**

20 კვ.მ. მუსიკალური სტუდიის ფუნქციონირებისათვის;

312 კვ.მ. სტადიონი სპორტული წრეების ფუნქციონირებისათვის.

იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე. იჯარის ვადა: 3 წელი. საკონკურსო პირობებია: ეკოლოგიური, სანიტარულ - ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა;. საიჯარო ფართში ელექტოენერგიის, წყლის განმხოლოება, დაკავებული ფართის მიხედვით ზამთრის პერიოდში პროპორციულად გაზის საფასურის გადახდა; კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1.განცხადება; 2.ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; 3.გადამხდელის მოწმობის ასლი; 4.საქმიანობის მოკლე დახასიათება. 2009 წლის 16 ნოემბერს 11:00 საათამდე; წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 16 ნოემბერს 13:00 საათზე. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ა. წერეთლის გამხ. 42, 166-ე საჯარო სკოლა.

II. I.Qქ. თბილისის N21 საჯარო სკოლა (მისამართი: ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქ. N7) აცხადებს კონკურსს "ქ.თბილისის N21 საჯარო სკოლის" ბალანსზე რიცხული: 200 კვ.მ. ფართი 1 სართულზე - სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისათვის; 88.00 კვ.მ ფართი- ქორეოგრაფიული წრეების ფუნქციონირებისათვის; იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, **იჯარის ვადა**: 3 წელი. **საკონკურსო პირობებია**: **ეკოლოგიური, სანიტარულ - ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა; საიჯარო ფართში ელექტოენერგიის, წყლის განმხოლოება, დაკავებული ფართის მიხედვით ზამთრის პერიოდში პროპორციულად გაზის საფასურის გადახდა; ბუფეტის ფართის კონკურსში მონაწილე გამარჯვების შემთხვევაში წინასწარ იხდის 1 წლის საიჯარო თანხას.Gგანაცხადები მიიღება**: 2009 წლის 16 ნოემბრის 11:00 საათამდე; **წარმოდგენილი წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 16 ნოემბრის 13:00 საათზე.** დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგე მისამართზე: ქალაქი თბილისი, პეტრიაშვილის ქ. N7, 21-ე საჯარო სკოლა, საკ. ტელ. 899531646

## შპს "თბილმეტრომშენი" თავის ბალანსზე რიცხული ჯართის რეალიზაციის მიზნით აცხადებს აუქციონს

სხვადასხვა სახის ჯართი (მექანიზმების, მოწყობილობების და სხვა) - 30 ტონა.

დაუმუშავებელი ჯართის 1 ტნ. საწყისი სარეალიზაციო ფასია 240 ლარი. ცვლილება შესაძლებელია მოხდეს საბაზრო ფასების შეცვლის შემთხვევაში.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლია რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

განცხადების მიღება (დალუქულ პაკეტებში) მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების დღემდე 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10.00 საათიდან 12.00 საათამდე.

სააუქციონო წინადადებები წარდგენილი უნდა იქნეს შ.პ.ს. "თბილმეტრომშენში" მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. N8 მე-3 სართული, შესყიდვების განყოფილება.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 30 ოქტომბერს 12 საათზე ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. N8 მე-3 სართული შ.პ.ს. "თბილმეტრომშენი"-ს ადმინისტრაციული შენობა.

**შპს "თბილმეტრომშენი"-ს საბანკო რეკვიზიტები:**

სს "ბანკი რესპუბლიკა" სადგურის ფილიალი ა/ა 600003605000555, ბანკის კოდი 220101759, საიდენტიფიკაციო კოდი 202886332, ან სს "საქართველოს ბანკი" ც/ფ ა/ა 01546769, ბ/კ 220101502.

აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია გამოსასყიდი თანხის რაოდენობა და გადახდის ვადა.

სარეალიზაციო ქონების და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "თბილმეტრომშენში".

საკონტაქტო ტელეფონი: 95-05-36; 95-14-07.

## განცხადება
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, გალაკტიონის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია ქ. თბილისში, გალაკტიონის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2009 წლის 15 დეკემბერი (ჩათვლით).

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2009 წლის 4 ნოემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ქ. თბილისში, გალაკტიონის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოები. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 5 ნოემბრის 10-დან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

7. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

b) საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს;

g) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

a) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

b) ინფორმაციას ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიურ სამუშაოთა შესრულების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

d) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ;

e) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ზ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

თ) ცნობას მომსახურე ბანკიდან რომ პრეტენდენტს საბანკო ანგარიშზე აქვს თანხა სატენდერო წინადადების 10 პროცენტის ოდენობით, ან გახსნილი აქვს ამავე ოდენობის საკრედიტო ხაზი.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, მისი დისვალიფიკაცია შესაძლებელია ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე მუხლით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია, გარდა მერვე მუხლის 8.3. პუნქტის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ტელ: 92-04-09; 93-11-90; 92-04-10; 93-11-40.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის
გამგეობის სატენდერო კომისია

# უილიამსი "ტოიოტას" დაშორდა




უილიამსმა დაადასტურა, რომ ამ სეზონის დასრულებისთანავე შეწყვეტს "ტოიოტასთან" პარტნიორულ ურთიერთობას, რომელიც ორ კომპანიას შორის 2007 წლის სეზონის დასაწყისში დაიწყო. მათი გაყრა მოსალოდნელიც იყო, რადგან ინგლისური გუნდის ხელმძღვანელობა არ მალავდა, რომ იაპონურ გუნდთან ურთიერთობის შეწყვეტა სურდა.

გუნდის შეფმა სერ ფრენკ უილიამსმა "ტოიოტას" მადლობა მოახსენა იმ თანამშრომლობისთვის, რომელიც იაპონურმა კომპანიამ მის გუნდს ბოლო სამი სეზონის განმავლობაში გაუწია.

"ჩვენი გუნდისთვის მეტად მძიმე პერიოდში "ტოიოტა" გვერდით დაგვიდგა და ძრავებით მომარაგება ითავა. ღირსეული პარტნიორი გამოდგა, რადგან ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა ჩვენს დამოუკიდებლობას და უმაღლესი დონის ტექნიკურ პროდუქტს გვაწვდიდა, ზუსტად ისეთს, როგორსაც საკუთარ გუნდს. ვამაყობთ იმით, რომ ასეთ შესანიშნავ კომპანიასთან ვთანამშრომლობდით. თანამშრომლობისთვის მათ დიდ მადლობას ვუხდით. განსაკუთრებით მადლიერნი ვართ იმ ინჟინრების და ტექნიკოსების, რომლებიც ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენს გუნდთან ერთად დაუღალავად შრომობდნენ", - ამბობს სერ ფრენკ უილიამსი.

თავისი აწ უკვე ყოფილი პარტნიორის მისამართით რევერანსები არც "ტოიოტა მოტორსპორტის" შეფმა ტადაში იამაშინამ დაიშურა. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ პარტნიორობით საბოლოოდ ორივე გუნდი ნახავს სარგებელს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი კომპანიის ძრავით ჩაანაცვლებს "უილიამსი" იაპონურ აგრეგატებს. ჯერჯერობით "რენოსა" და "კოსუორტის" ვარიანტები განიხილება.

*მერაბ ლორთქიფანიძე*
*http://formula1ge.blogspot.com/*

# ბექჰემი "მილანში" ბრუნდება




ინგლისის ნაკრებისა და ამერიკული "ლოს ანჯელეს გელექსის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი უახლოეს მომავალში შეუერთდება იტალიურ "მილანს" და ამ კლუბში, იჯარის წესით, კიდევ რამდენიმე თვეს გაატარებს. ამ ინფორმაციას თავად დევიდი ავრცელებს. ფეხბურთელის თქმით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია და ის უკვე "მილანის" ფეხბურთელია.

ბექჰემის "მილანში" გადასვლა დევიდსაც ხელს აძლევს და "როსონერისაც". ამერიკული მხარისთვის ეს ტრანსფერი არ იყო ბოლომდე მისაღები, თუმცა, როგორც ჩანს, ისევე როგორც შარშან, შეთანხმება ახლაც მოხერხდება. გასულ სეზონში დევიდი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში იჯარის წესით გადაბარგდა მილანურ გრანდში, სეზონის ბოლოს კი ამერიკაში დაბრუნდა.

"ბექსისთვის" "მილანში" გადასვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქმე ის არის, რომ ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ფაბიო კაპელოს მაინცდამაინც გულზე არ ეხატება აშშ-ის საფეხბურთო ჩემპიონატი და იქ მოთამაშე ფეხბურთელის ნაკრებში გამოძახებასაც არ აპირებს. რაღა უნდა ითქვას იმ შემთხვევაზე, როცა ამერიკაში საფეხბურთო შესვენებაა და დევიდი საერთოდ პრაქტიკის გარეშეა დარჩენილი. ამ ვითარებაში თუ "ბექსმა" სასწრაფოდ არ გამონახა ევროპაში რაიმე კლუბი, მსოფლიო პირველობაზე ველარ გაემგზავრება. ასე რომ, თუ ბექჰემი "მილანში" გადაბარგდა, აფრიკულ მუნდიალზე გამგზავრების დიდი შანსი ექნება. თანაც, მომავალი კონტინენტის პირველობა უკვე ასაკში შესული ბექჰემისთვის დიდი შანსია. როგორც იცით, საფეხბურთო კარიერის მანძილზე დევიდმა საკლუბო დონეზე თითქმის ყველაფერი მოიგო. ფეხბურთელის ჯილდოების კოლექციას სანაკრებო ტიტული აკლია. კაპელოსთან ერთად კი ინგლისის ნაკრები სამხრეთაფრიკული მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება.

ეს რაც შეეხება ბექჰემს. ახლა "მილანზე" ვთქვათ. "როსონერი" იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ ნებისმიერი მაღალი კლასის ფეხბურთელი დიდ დახმარებას გაუწევს. ბექჰემი კი ნამდვილად არ არის ურიგო ფორმაში. მან გასულ სეზონშიც დაამტკიცა, რომ "მილანისთვის" დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

"ტრანსფერი თითქმის შემდგარია. არაერთხელ მითქვამს, რომ "მილანში" დავბრუნდები, თუ ეს იტალიური კლუბის მესვეურებს ენდომებათ. "როსონერის" ხელმძღვანელები კი სულ ამბობდნენ, დევიდის დაბრუნება გვინდაო. ვიცი, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. შემიძლია ვთქვა, რომ გარიგება 95 პროცენტით შეთანხმებულია. ვერ ვხედავ ვერავითარ მიზეზს იმისა, რომ გარიგება ჩაიშალოს", - განუცხადა დევიდმა იტალიელ ჟურნალისტებს.

# შსს სრული სვლით

ზურაბ თალაკვაძე

დუდუ დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მემორიალი დაიწყო. ახალი გუნდებით, ძველი მოლოდინით და ბევრი სხვა სიახლითაც. "თბილავიამშენი" და ნტდ რაოდენობრივად მაინც შეცვალეს "ჭიათურამ" და "სოხუმმა", ხოლო "ხუთი" კი მხოლოდ პირობითადაა ასეთი, რადგან შარშანდელი (და წლევანდელი) შინაგან საქმეთა სამინისტროს ნდობით აღჭურვილი კოლექტივია.

თსუ რომ ყოველთვის იბრძვის, ეს არახალია. იომეს, ირბინეს, ჩაყარეს სტუდენტებმა "მაკაბისთანაც", სადაც გუნდის შეფი ჯამლეტ ხუხაშვილი "ახალი გიორგი შერმადინის" წარდგენას ცდილობს საკალათბურთო სამყაროსთვის, თუმცა რამდენადაც კარგი ბიჭი არ უნდა იყოს გიორგი რევაზიშვილი, "პანათინაიკოსის" წევრამდე ჯერ აუუუუუ...ანუ, ძაან ბევრი აშორებს.

აქტიური იყო ახალი, ძველი "სტუდენტი" ბესიკ ლეჟავა, რომელმაც 26 ქულა მოკრიფა, მაგრამ ათი სამიანიდან მხოლოდ 2 გამოიყენა.

მაგარი დაწყობილი გუნდია სასოფლო, სადაც მიხეილ კობეშავიძეს კარგი, რაფინირებული შემადგენლობა ჰყავს. ანუ ის რუსტერი, რომლითაც შარშან სუპერლიგის ფინალისტობა შეირგო. მინუს მიშა ბერიშვილი და გიორგი ყველაშვილი. პლუს რეზო დიდია, რომელმაც ყოფილი თანაგუნდელის, ლეჟავასი არ იყოს, მაგრად ითამაშა, მაგრამ შორიდან რაც ისროლა (ანუ სულ შვიდჯერ), კალათის გარდა ყველგან ჩაუშვა.

სასოფლოს გუნდი წელს ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნება, საბოლოო შედეგს კი სულ ბოლოს ვიხილავთ. გუნდი ყველა რგოლში მშვენივრადაა დაბალანსებული და სამწვრთნელო შტაბიც სოლიდური ჰყავს.

"ჭიათურას" კი ტურნირზე გამოსვლას ვულოცავთ.

მაგრად მაინტერესებდა ტიტულოვანი სახელ-გვარებით მორთული შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის გამოსვლა.

შედეგი? ახალგაზრდა, მებრძოლ "დინამოსთან" გუნდს დაგეგმილი გამარჯვების მოპოვება არ გასჭირვებია, შეცდომაც (ახლადშეკრებილი გუნდის კვალობაზე, ცოტა) მხოლოდ 12 დაუშვა, ვისაც უნდა ჩაეგდო, ყველამ ჩააგდო, მოსახსნელიც მოიხსნა, მაგრამ...

"რუსთავთან" სანახევარფინალო ჯახის ტოლფას მატჩში კახა შენგელიას გუნდს მეტი ყურადღება მართებს დაცვაში. "დინამოს" არ ჰყავს მასპინძლებივით სწრაფი, მობილური შემადგენლობა, სადაც პირველ შეტევაში ყველა მირბის. "დინამოს" არ ჰყავს კოტე ტულუში, რომელიც ერთი-ერთზეც და ზონური დაცვის წინააღმდეგაც რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ ეფექტურია. და "დინამო" მუდმივად არ ვარჯიშობს იმ დარბაზში, სადაც მემორიალი იმართება.

"ხუთის" რამდენიმე ლიდერს აშკარად ზედმეტი წონის პრობლემა აქვს, მომდევნო, ანუ დღევანდელ შეხვედრაში კი ალბათ, უფრო მართებული იქნება "რუსთავისთვის" პოზიციური, ნელი კალათბურთის დაპირისპირება, ვიდრე მიშა ჩიტაშვილის რითმში თამაში. ტყუპი ბერიშვილების კოლოსალური გამოცდილება, გიორგი ნიკოლაძის სისწრაფე, გიორგი მარკოიშვილის სიზუსტე და გუნდის უპირატესობა სიმაღლეში - ამ კომპონენტების სწორად გადანაწილების შემთხვევაში, "ხუთი" იქნებ ფინალშიც უპრობლემოდ გავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პრობლემები შეექმნება. და მაინც, პირველი ნაბიჯი წარმატებული იყო, მეორე კი...ვნახოთ.

"რუსთავმა" კი მარტო პირველ მეოთხედში აომა "სოხუმი", მერე კი გადაკეტა ყველაფერი და მოიგო უპრობლემოდ.

ვეტერანებმაც კარგად იბურთავეს, მაგრამ განსაკუთრებით მაინც სამი ახალგაზრდის თამაშს გამოვყოფ - კაკო დვალიშვილის, ლევან ხმელიძის და განსაკუთრებით, ზურაბ მაჭავარიანის. ამ ბიჭმა საშუალო სროლაზეც რომ მეტი იმუშავოს, საერთოდ ფასი არ ექნება.

**A ჯგუფი**

**თსუ - მაკაბი 126:78**
28:15, 44:16, 31:22, 23:25

**საუკეთესო მოთამაშე (24 საათის ვერსიით):** დავით ბარბაქაძე (თსუ).

**სსაუ - ჭიათურა 95:59**
24:7, 9:12, 37:15, 25:25

**საუკეთესო მოთამაშე (24 საათის ვერსიით):** ბექა წივწივაძე (სსაუ).

**B ჯგუფი**

**რუსთავი - სოხუმი 107:51**
24:16, 31:8, 20:12, 32:15

**საუკეთესო მოთამაშე (24 საათის ვერსიით):** ზურაბ მაჭავარიანი (რუსთავი).

დინამო - ხუთი 66:101
20:32, 14:25, 19:25, 13:19

**საუკეთესო მოთამაშე (24 საათის ვერსიით):** გიორგი ნიკოლაძე (ხუთი).

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა
"ოფთალმიჯი"
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი
მოძრავი საოპერაციო ბლოკით
სიახლე!
მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

საქმე N2/857-09

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

# საქართველოს სახელით

## სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

**“13” ოქტომბერი 2009 წელი ქ. თბილისი**
**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**
**განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე**
**განმცხადებელი -** შპს „პლასტიკი”
**დირექტორი -** იასე სიხარულიძე

**დაინტერესებული პირი -** სს „პლასტიკის” აქციონერები (აქციონერთა რეესტრი 19.08.2009 წლის მდგომარეობით)**:** ალექსი ასლამაძე, თამილა გელდიაშვილი, გურამ ჩახვაშვილი, სულიკო გუბელიძე, ბეჟან ჯოხაძე, ზოია ვალიევა, გოდერძი ბატატუნაშვილი, ნიკოლოზ გვათუა, ზაზა დავითაძე, ჯონდო ჯაველიძე, ცისანა ცხოვრებოვა, ქეთევან ღლონტი, ტარიელ ბერიძე, ირა ბერაძე, ანასიკო მეტრეველი, ირინა კონევეცკაია, ანჟელა ესაიანი, ანზორ მირიანაშვილი, ქუჩიკ ჩიქოვანი, რაისა ჩაჩიბაია, თამარა ცხოვრებაშვილი, ტარიელ კოპალიანი, ვოლფ ნეიმანი, დარეჯან ნიშნიანიძე, ნორა ჯოხაძე, თინა სახვაძე, შალვა მაღრაძე, ლია ბუცხრიკიძე, ლილი აფციაური, ვასილ ლავრელაშვილი, დავით გვილავა, მანანა ყველიაშვილი, ლუბა მესტვირიშვილი, მიხეილ ბოიაჯიანი, გურამ თოიძე, გაბრიელ მამინაშვილი, არჩილ თვაური, გურამ მაისურაძე, მარია ნაცვლიშვილი, თამარა ცარციძე, მერაბ სარდლიშვილი, ეთერ ხაბელაშვილი, ანიკო ბიბილაძე, ზურაბ ზაქრაძე, მურმან გოგბერაშვილი, ზაურ ქსოვრელი, ეთერ ნარიმანიძე, ნადეჟდა პავლიაშვილი, ჯულიეტა პაპაიანი, გიორგი გაგნიძე, მერაბ გულიაშვილი, ანდრეი მაზმანიანი, ტარიელ მაღრაძე, გივი იორამაშვილი, ალექსანდრა კოტოვიჩი, ვიქტორია ხოპერსკაია, გაზამფარ ეფენდიევი, გოჩა ფოფხაძე, ელგუჯა ჯიმშელეიშვილი, ნოდარ ბარაჩაშვილი, ნუგზარ ქაჯაია, ოლგა ბეზნიკინა, იური ნოზაძე, ალექსანდრე გოგუაშვილი, ქსენია კოზანაშვილი, თინა მჭედლიანი, თენგიზ პაპაშვილი, ალექსანდრე გავაკეთაშვილი, ნიკოლოზი გოგაძე, ვიქტორ პუზანოვი, ნიკოლოზი კარიჭაშვილი, ზურაბი ლიპარიძე, ლევან ყალიჩავა, ელენა გაბელაშვილი, ალექსანდრე კირაკოსიანი, ვასილ ლომსაძე, ნათელა ხუბუკელაშვილი.

**მოთხოვნის არსი -** აქციათა სავალდებულო მიყიდვა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს „პლასტიკი”-ს აქციონერებისათვის - ალექსი ასლამაძის, თამილა გელდიაშვილის, გურამ ჩახვაშვილის, სულიკო გუბელიძის, ბეჟან ჯოხაძის, ზოია ვალიევას, გოდერძი ბატატუნაშვილს, ნიკოლოზ გვათუას, ზაზა დავითაძის, ჯონდო ჯაველიძის, ცისანა ცხოვრებოვას, ქეთევან ღლონტის, ტარიელ ბერიძის, ირა ბერაძის, ანასიკო მეტრეველის, ირინა კონევეცკაიას, ანჟელა ესაიანის, ანზორ მირიანაშვილის, ქუჩიკ ჩიქოვანის, რაისა ჩაჩიბაიას, თამარა ცხოვრებაშვილის, ტარიელ კოპალიანის, ვოლფ ნეიმანის, დარეჯან ნიშნიანიძის, ნორა ჯოხაძის, თინა სახვაძის, შალვა მაღრაძის, ლია ბუცხრიკიძის, ლილი აფციაურის, ვასილ ლავრელაშვილის, დავით გვილავას, მანანა ყველიაშვილის, ლუბა მესტვირიშვილის, მიხეილ ბოიაჯიანის, გურამ თოიძის, გაბრიელ მამინაშვილის, არჩილ თვაურის, გურამ მაისურაძის, მარია ნაცვლიშვილის, თამარა ცარციძის, მერაბ სარდლიშვილის, ეთერ ხაბელაშვილის, ანიკო ბიბილაძის, ზურაბ ზაქრაძის, მურმან გოგბერაშვილის, ზაურ ქსოვრელის, ეთერ ნარიმანიძის, ნადეჟდა პავლიაშვილის, ჯულიეტა პაპაიანის, გიორგი გაგნიძის, მერაბ გულიაშვილის, ანდრეი მაზმანიანის, ტარიელ მაღრაძის, გივი იორამაშვილის, ალექსანდრა კოტოვიჩის, ვიქტორია ხოპერსკაიას, გაზამფარ ეფენდიევის, გოჩა ფოფხაძის, ელგუჯა ჯიმშელეიშვილის, ნოდარ ბარაჩაშვილის, ნუგზარ ქაჯაიას, ოლგა ბეზნიკინას, იური ნოზაძის, ალექსანდრე გოგუაშვილის, ქსენია კოზანაშვილის, თინა მჭედლიანის, თენგიზ პაპაშვილის, ალექსანდრე გავაკეთაშვილის, ნიკოლოზ გოგაძის, ვიქტორი პუზანოვის, ნიკოლოზ კარიჭაშვილის, ზურაბ ლიპარიძის, ლევანი ყალიჩავას, ელენა გაბელაშვილის, ალექსანდრე კირაკოსიანის, ვასილ ლომსაძის და ნათელა ხუბუკელაშვილისათვის - განცხადებისა და თანდართული საბუთების, ასევე სასამართლო უწყების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხი.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2009 წლის 28 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა შპს „პლასტიკმა” (დირექტორი იასე სიხარულიძე) სს „პლასტიკის” აქციონერთა მიმართ აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე მოთხოვნით.

შპს „პლასტიკი” არის სს „პლასტიკი”-ს 137319 ცალი ჩვეულებრივი სახელობითი აქციის ანუ საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების 96.9246 პროცენტის მფლობელი. „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაცვით მას სურს განახორციელოს დანარჩენი აქციონერებისაგან აქციათა სავალდებულო მიყიდვა (გამოსყიდვა). აღნიშნულის თაობაზე, კანონით დადგენილი წესების დაცვით, გამოქვეყნდა განცხადება გაზეთ „24 საათში” 2009 წლის 15 ივნისს.

განმცხადებლის მითითებით, აქციათა გამოსყიდვის საღრიცხვო თარიღად მიჩნეულ უნდა იქნას რეგისტრატორისათვის აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარებიდან მე-15 სამუშაო დღე (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო).

**სასამართლომ დაინტერესებულ პირთათვის - სს „პლასტიკის” -ს აქციონერებისათვის განცხადებისა და თანდართული საბუთების საჯარო შეტყობინებით ჩაბარების საკითხის განხილვისას დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტები:**

შპს „პლასტიკმა” 2009 წლის 28 ივლისს აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე მოთხოვნით განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

შპს „პლასტიკი”-ს განცხადება აქციათა მიყიდვის თაობაზე 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინებით მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში.

